თავდასხმა ჟურნალისტზე A2

ათი შესაძლო სიურპრიზი 2005 წლისთვის A5

წერილები მთავრობას B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 28 დეკემბერი, 2004 წელი. №308 (857)

ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

### "საოკეანო სანაოსნოს" ყიდვის მსურველებს დამატებითი ვადა მიეცათ



ხელისუფლება სანაოსნოს ბედს 10 იანვარს გადაწყვეტს.

A4

უცხოეთი

### ახალი ეპოქის დასაწყისი



მომავალი წლიდან უკრაინაში ახალი ხანა ახალ პრეზიდენტთან ერთად დაიწყება

A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A6

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

ამინდი

| | 28/12 | 29/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | 14 |
| ქუთაისი | 18 | 18 |
| ბათუმი | 19 | 19 |
| სოხუმი | 16 | 17 |
| ფოთი | 18 | 19 |
| თელავი | 14 | 12 |
| ზუგდიდი | 18 | 19 |
| გორი | 13 | 12 |
| ახმეტა | 14 | 12 |
| ჭიათურა | 14 | 14 |
| გაგრა | 15 | 15 |
| სამტრედია | 18 | 19 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7700 |
| ევრო | 2.3941 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4058 |
| რუბლი | 0.0637 |

# მოპარვას გადარჩენილი დამოუკიდებლობა

## ანაბრების საიდუმლო

წერილი მეორე

პაატა ვეშაპიძე

### დემურ დვალიშვილის თვითმკვლელობა

ქვეყნის და ხალხის ძარცვამ იმდენად დაუფარავი სახე მიიღო, რომ ხელისუფლება იძულებული შეიქნა, განტევების ვაცი მოეძებნა. ასეთი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სწორედ ის კაცი აღმოჩნდა, ვინც ყველაზე ჩუმად იყო და უმაღლეს ხელისუფალთა ბრძანებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდა. დემურ დვალიშვილი ეროვნული ბანკიდან როგორც დამნაშავე, ისე გაუშვეს, თუმცა ის უფრო შემსრულებელი იყო. მან ბევრი რამ იცოდა, მაგრამ პრესასთან ურთიერთობას გაურბოდა. "კავკასიონს" ინტერვიუზე ერთი თვის მოლაპარაკებების შემდეგ დათანხმდა (ეს ინტერვიუ დაიბეჭდა "24 საათის" გუშინდელ ნომერში).

1994 წლის იანვრის ერთ სუსხიან დღეს, "კავკასიონის" რედაქციაში (ასე მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს ორ საკლასო ოთახს, რომელშიც გაზეთი იყო განთავსებული) შემოვიდა გამხდარი, მკაცრი გამომეტყველების, საშუალო ტანის კაცი, რომელსაც ხელში ეკავა სიძველისგან გაქუცული ტყავის პორტფელი. ვერაფრით წარმოიდგენდი, რომ ეს იყო ქვეყნის მთელი ფინანსების საჭეთმპყრობელი. დვალიშვილი პაუზებით საუბრობდა, ყველა სიტყვას ზომავდა. აშკარა იყო, რომ ბევრი იცოდა, მაგრამ, მიუხედავად წყენისა, ენას კბილს აჭერდა. ინტერვიუმ მაინც შემოინახა რამდენიმე ჩინოსნის გვარი და მათ მიმართ გამოთქმული ბრალდებები. "270 მილიარდია გაცემული ცხრა თვეში, ბოლო ორ თვეში კი 400 მილიარდი გაიცა," - 1993 წლის მონაცემების და ჩინოსანთა გვარების დასახელებით დვალიშვილი მიანიშნებდა, რომ ხშირად თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ასრულებდა ხელისუფალთა ბრძანებებს.

1994 წლის 9 სექტემბერს დემურ დვალიშვილმა თავი მოიკლა. როგორც ჩანს, მორალურ პასუხისმგებლობას ვერ გაუძლო. თვითმკვლელობისკენ იგი სამი წელი მიდიოდა. ცნობილია, რომ მას ჰქონდა რვეული, რომელშიც კრედიტმავნებლობის სრული სურათი იყო აღბეჭდილი. ეს რვეული დღესაც საგულდაგულოდაა დამალული და თუკი სიმართლის დადგენის ნება იქნება, დვალიშვილის ჩანაწერები ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ზურაბ ჟვანიას მთავრობამ ორი პარლამენტის მდინარეში სამჯერ გაიარა



ეჭვს არ იწვევს, რომ პარლამენტი 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტსაც "წარბშეუხრელად" დაამტკიცებს.

იური ლობოდინის ფოტო

*პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და მისმა მთავრობამ წელს უკვე მესამედ მიიღო პარლამენტის ნდობის ვოტუმი. პირველად ეს მიმდინარე წლის 17 თებერვალს მოხდა, როდესაც წინა მოწვევის პარლამენტი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მეორედ და მესამედ კი პრემიერის გუნდს "ვარდების რევოლუციის" შემდეგ არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ დაუჭირა მხარი. 133 მომხრე, 7 წინააღმდეგი, - ასეთი შედეგი დაფიქსირდა გუშინ, როდესაც მთავრობის განახლებული შემადგენლობისა და მისი სამოქმედო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადებას ეყარა კენჭი.*

გიორგი ასანიშვილი

**"თქვენ წინა ეპოქაში ჩარჩით,"** - ასეთია ზურაბ ჟვანიას პასუხი მისი ოპონენტების ბრალდებებზე, რომელიც პრემიერ-მინისტრს "მემარჯვენე ოპოზიციამ" და რესპუბლიკელებმა წაუყენეს. ივლიანე ხაინდრავას, დავით გამყრელიძის და ბიძინა გუჯაბიძის გამოსვლებმა ისე აღაშფოთა მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი, რომ მათთვის ქოქოლას დაყრას თითქმის ნახევარი საათი მოანდომა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პარლამენტი - საგარეო საქმეთა სამინისტრო: კონფრონტაცია გრძელდება

გიორგი ასანიშვილი

როგორ უნდა იყოს ჩაცმული ქართველი დიპლომატი, - ეს საკითხი იქცა პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომის ერთ-ერთ მთავარ განსასჯელ თემად. აღნიშნულ საკითხზე პოლემიკის მიზეზი კი ის გახდა, რომ ამას წინათ, რწმუნებათა სიგელების გადაცემის დროს, რუსეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვალერი ჩეჩელაშვილი პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან აუდიენციაზე ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი გამოცხადდა.

**"ოპერიდან გამოტანილი ჩოხები დიპლომატების უნიფორმად არ გამოდგება. უნდა შემუშავდეს ერთიანი ფორმა, რომლის ტარება ელჩისთვის სავალდებულო იქნება,"** - მოითხოვს ჩეჩელაშვილის ჩაცმულობით აღშფოთებული საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი. მას მთლიანად ეთანხმება ჩოხა-ახალუხის ფასის კარგად მცოდნე, ვანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან ხურციძე, რომლის თქმითაც, რუსეთში საქართველოს ელჩი "მინი-ჩოხაში" იყო გამოწყობილი.

გაბაშვილსაც და ხურციძესაც მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ დიპლომატებს ჩოხა-ახალუხი ეცვათ, მაგრამ იქვე მიუთითებენ, რომ ეს სამოსი გემოვნებით უნდა იყოს შერჩეული. **"ჩვენი ელჩი ჩოხითა და ხანჯლით რომ მიადგა, ვლადიმირ პუტინი იმიტომ ელაპარაკებოდა წყნარად,"** - პირველ "დადებით შედეგებზე" საუბრობს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

თუმცა, ქართველი დიპლომატების ახალ უნიფორმას ყველა როდი მიესალმება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დღის შეკითხვა

განიცადა თუ არა თქვენმა ოჯახმა მატერიალური ზარალი საბჭოთა კავშირის დროს შემნახველ სალაროებში შეტანილი თანხის სახით? გჯერათ თუ არა, რომ ეს ფული, ადრე თუ გვიან, უკან დაგიბრუნდებათ?

**რეზო მამულაშვილი,** *ინჟინერი, 57 წლის:*

დანაკარგი ანაბრების სახით, ჩვენი ახალი ხელისუფლების დარად, მემკვიდრეობით მერგო. დედაჩემს ყოველთვიურად შეჰქონდა დანაზოგი შემნახველ სალაროში. იგი თავისი პატარა შვილიშვილის კეთილდღეობაზე წინასწარ ზრუნავდა. საბოლოოდ საკმაო რაოდენობის თანხა შეაგროვა, მაგრამ, ფული, როგორც მოგეხსენებათ, აღარ დააბრუნეს.

წინა ხელისუფლების დროს საბოლოოდ ვიყავი შეგუებული, რომ ეს თანხა სამუდამოდ დაიკარგა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დიდი იმედი გამიჩნდა, რომ მოსახლეობა კუთვნილ ფულს ეტაპობრივად მიიღებდა. მოგეხსენებათ, ხელისუფლებაში მოსვლამდე ნაციონალური მოძრაობა აქცენტს სოციალურ საკითხებზე აკეთებდა. მჯეროდა, რომ მთავრობის სოციალური პროგრამიდან ერთ-ერთი პრიორიტეტული ანაბრების თემა იქნებოდა.

რევოლუციიდან ერთი წლის თავზე იმედი გამინელდა. ვხედავ, რომ ხელისუფლებას სხვა პრიორიტეტები აქვს. მჯერა, რომ ამ ეტაპზე უპირველესი ამოცანა ჯარის აღმშენებლობა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებამ არც მოსახლეობის სოციალური ინტერესები უნდა დაივიწყოს. ეს ხელისუფლება ვალდებულია, მოაგვაროს პრობლემები, რომლებიც წინა ხელისუფლებისაგან მემკვიდრეობით მიიღო.

ჩემი აზრით, ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო ამ თანხის დაბრუნებას ვერ მოახერხებს. 2010 წლიდან, წესით, შესაძლებელი უნდა გახდეს პრობლემის გადაჭრა. მნიშვნელოვანია, როგორი კოეფიციენტით მოხდება თანხის დაბრუნება. იმედია, ხელისუფლება ამ შემთხვევაში სამართლიანი იქნება და მოსახლეობის ვალს სიმბოლურად კი არა, რეალურად გაისტუმრებს.

**ეკატერინე კოზაევა,** *პედაგოგი, 53 წლის:*

მთელი ოჯახის დანაზოგი ბანკში შემქონდა, რათა ჩემი შვილები სკოლის დასრულების შემდეგ ფინანსურად, მეტ-ნაკლებად, უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ. 1990-1992 წლებისთვის ბანკში ჩემს ანგარიშზე ირიცხებოდა, დაახლოებით, 30 ათასი მანეთი. ხოლო 1994 წელს, შევარდნაძისაგან იმედმიცემულმა, შემნახველ სალაროში 350 ათასი მანეთი მივიტანე (იმ ხანად სახლი გავყიდე და თითქმის ღია ცის ქვეშ დავრჩი).

ამ ბოლო დროს ხელისუფლება აცხადებს, რომ იგი ეთნიკურ უმცირესობებს საგანგებო ყურადღებას დაუთმობს. იქნებ, იმ თანხის ნაწილი მაინც მომცენ, რათა სახლი შევიძინო და საკუთარი ჭერი მქონდეს. ცოტა ხანს დაველოდები, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ ჩემთვის სასიკეთო არაფერი მოხდა, იძულებული ვიქნები, საცხოვრებლად რუსეთში წავიდეთ.

**ანა გაუარაშვილი,** *ექიმი-ნევროლოგი, 33 წლის:*

ჩვენს ოჯახს იმდენი დანაზოგი არ რჩებოდა, რომ თანხა შემნახველ სალაროში შეეტანა. ისე, ჩემი აზრით, ადამიანმა ფული ბანკში არასოდეს არ უნდა შეიტანოს.

არ მჯერა, რომ ანაბრების საკითხი მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყდება. რამდენადაც ვიცი, ხელისუფლება ნორმალურად არ იძიებს, სად წავიდა ის თანხა.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 მთავარი თემა | A8 მთავარი თემა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 წერილები მთავრობას | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# დღის შეკითხვა

პირველი გვერდიდან

მეტიც, ადამიანები, რომლებზეც ამბობენ (სიორიძე, ჩხარტიშვილი), რომ ანაბრებთან დაკავშირებულ საბანკო მაქინაციებში არიან გარეული, თავს მშვენივრად გრძნობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ძნელად წარმომიდგენია, რომ ჩვენმა ლატაკმა სახელმწიფომ ამხელა თანხის გასტუმრება შეძლოს.

**ნინო წულაია,** *დიასახლისი, 36 წლის, იძულებით გადაადგილებული პირი:*

სამწუხაროდ, ჩვენმა ოჯახმა სოლიდური თანხა შეიტანა ბანკში. მაშინ გაგრაში ვცხოვრობდით. ქვეყანაში სიტუაცია სტაბილური იყო და ვერც კი წარმოგვედგინა, რომ ამგვარი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო.

ასეთ დუხჭირ ცხოვრებაში დაკარგული ფულის დაბრუნების სურვილი იმდენად დიდია, ზოგჯერ იმედი მომეცემა. პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, რაღა დაგიმალოთ და, არ მჯერა, რომ ეს ხელისუფლება მაინც გააკეთებს რაიმეს ხალხისთვის. ყოველ შემთხვევაში, ერთი წლის თავზე ოპტიმიზმის საფუძველი არ მომეპოვება.

**ირმა მანჯგალაძე,** *ეკონომისტი, 26 წლის:*

ჩვენმა ოჯახმა ოთხი ათას მანეთამდე შეიტანა ბანკში. გვინდოდა, პროცენტული დანამატებით გვესარგებლა.

არ მჯერა, რომ ამ თანხას დაგვიბრუნებენ. არა მგონია, ამ ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიღებული პრობლემის მოსაგვარებლად ზედმეტად აიტკიოს თავი.

**დავით გიორგაძე,** *მძღოლი, 41 წლის:*

დიახ, ჩვენ შევიტანეთ თანხა სალაროში. მაშინ ასეთ დასასრულს ვერავინ წარმოიდგენდა.

მჯერა თუ არა? რა ვიცი, ამ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

**ნაზი ბერიძე,** *დიასახლისი, 65 წლის:*

სამწუხაროდ, ასეთი ნაბიჯი გადავდგი...

ამ თანხის დაბრუნების როგორ უნდა მჯეროდეს, თუნდაც, "რუსთავი-2"-ზე გადაცემული სიუჟეტის შემდეგ? იქ შევარდნაძის ისეთი "რეჩი" მოვისმინე, ასპროცენტიანი იმედი რომ მქონოდა, ყველაფერი გამიქარწყლდებოდა. თურმე, ყველაფერში დვალიშვილი ყოფილა დამნაშავე, იმ კაცმა კიდევ თავი მოიკლა. "ახლა თქვენ გამოიკვლიეთ, ვინ არის დამნაშავეო," - ასეთი იყო შევარდნაძის საუბრის დედააზრი.

სასიკეთოს არაფერს რომ არ უნდა ველოდო, ამის საფუძველს ანაბრების საკითხზე მომუშავე საპარლამენტო კომისიაც მაძლევს. ფაქტობრივად, მან ვერაფერი გამოიკვლია. კომისია კონკრეტულ დამნაშავეს ვერ ასახელებს და ამბობს, რომ ყველაფერი მაშინდელი სისტემის ბრალია. ჩემი აზრით, კომისიის დასკვნა ამ ხელისუფლების პოზიციაა. ერთი სიტყვით, არც ძველი ხელისუფლება გვწყალობდა და ხეირს არც ახლისგან უნდა ველოდოთ.

**მარინა მიმინოშვილი,** *დიასახლისი, 48 წლის:*

იმ წლებში სახლი გავყიდეთ. სწორედ მაშინ გამოაცხადეს, თუ სალაროში თანხას შემოიტანთ, გაგიორმაგდებათო. ამ მაცდურმა წინადადებამ მოგვხიბლა და ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა.

მე მგონი, ეს ხელისუფლება ფულს არ დაგვიბრუნებს. იმიტომ, რომ "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო პროგრამაში ამგვარი რამ დაფიქსირებული არ ყოფილა. ხელისუფლება, რომელიც ჯერჯერობით იმას არ ასრულებს, რასაც ხალხს შეჰპირდა, ანაბრების პრობლემას როგორ მოაგვარებს? მე, პირიქით, ჟურნალისტებისგან მოველი ამაზე პასუხს.

**დემურ ბურდულაძე,** *იურისტი, 32 წლის:*

ჩემმა მშობლებმა შეიტანეს მცირეოდენი დანაზოგი, რასაკვირველია, პროცენტული დანაზოგების ხათრით. შეიძლება დაგვიბრუნონ... არა, არ მჯერა... მოდით, დავტოვოთ ორმოცდაათი - ორმოცდაათზე. თუ პრობლემა დადებითად გადაწყდა, რა თქმა უნდა, "კაპიკებს" მოგვცემენ.

**ზურაბ ჯგუბურია,** *პარლამენტარი:*

ჩემს შემთხვევაში საქმე უფრო რთულად არის. მსგავსი რამ ისტორიას არ მოსწრებია და დღემდე ვერავინ ამიხსნა, რატომ გამიუფასურდა სავალუტო თანხა. ეს ვერც ყოფილი "ექსიმბანკის" მემკვიდრემ, "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" და მისმა ხელმძღვანელობამ ვერ ამიხსნა. 1981-1985 წლებში "იუნესკო"-ში ვმუშაობდი და ჩემი საკმაოდ სოლიდური ხელფასის ნაწილი ბანკში გადავრიცხე. ამ წლებში დოლარის კურსი მაღალი იყო. თავიდან თანხა მოსკოვში, "ვნეშეკონომბანკის" სათავო ოფისში მქონდა. შემდეგ, ეს პროცესები რომ დაიწყო, 1991 წელს თანხის ნაწილი (17-18 ათას დოლარამდე) გადმოვრიცხე "ეკონომბანკის" თბილისის განყოფილებაში. შემდეგ აფხაზეთის ომში ვიბრძოდი. 1993 წელს, როცა სოხუმიდან გამოვედით, ამბობდნენ, რომ ანაბრებთან დაკავშირებით რაღაცებს აზუსტებენო. მაშინ ზაზა სიორიძე იყო "ექსიმბანკის" პრეზიდენტი. შემდეგ სიორიძე გახდა სახელმწიფო მეთაურის თანაშემწე ეკონომიკის საკითხებში, ბოლოს იგი პარლამენტში მოღვაწეობდა ხანგრძლივად. 1994 წელს ედუარდ შევარდნაძეს მიაღებინეს განკარგულება, რომ ეს ყველაფერი სახელმწიფოს შიდა ვალი იყო, რომელიც თითქოსდა სადღაც დაიკარგა. სინამდვილეში, ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება. დოლარები უგზო-უკვლოდ არ ორთქლდება, თუ ვილაცამ არ მიითვისა. ერთი სიტყვით, ჩემი დიდძალი თანხიდან ერთი დოლარიც არ ამილია. სხვათა შორის, ჩემმა ოჯახმა დანაზოგი მანეთებშიც იზარალა.

პირდაპირ გეტყვით, ეს ფული ხალხს ვერ დაუბრუნდება. აქ საუბარია უზარმაზარ თანხაზე, რომელიც, თავის მხრივ, დიდ მაქინაციებს უკავშირდებოდა. თავდაპირველი ღირებულებით ამ თანხის დაბრუნება შეუძლებელია. გარკვეული კოეფიციენტებით, ისიც დროის გარკვეულ მონაკვეთში, კიდევ შეიძლება თანხის გაცემა. მაგრამ დღევანდელი ობიექტური ვითარების გათვალისწინებით, ჩვენი სახელმწიფო ამას ვერ მოახერხებს. სამწუხაროდ, ის თანხა ვერ დაგვიბრუნდება.

*ვერიკო თევზაძე*

# პოლიტიკოსები ანაბრების შესახებ

***ნინო ბურჯანაძე,*** *პარლამენტის თავმჯდომარე:* ანაბრების საკითხი აუცილებლად იქნება სესიაზე განხილული, მითუმეტეს, მისი გააქტუალებიდან გამომდინარე... როგორი იქნება პარლამენტის პოლიტიკური ნება, მოეთხოვებათ თუ არა პასუხი კონკრეტულ დამნაშავეებს, ამას ხვალ დაინახავთ.

***ნიკო ლეკიშვილი,*** *დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე:* ყველაფრის შესწავლა შეიძლება. თუმცა, მას შემდეგ 11 წელი გავიდა და ამდენად, ძნელი სათქმელია, არსებობს თუ არა კიდევ საჭირო მასალები. ამიტომ, ობიექტური სურათის დადგენა შეიძლება გაძნელდეს. მაგრამ უნდა შევეცადოთ, რომ ამ საკითხს ერთხელ და სამუდამოდ გაეცეს პასუხი.

***გიგა ბოკერია,*** *იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:* ანაბრების გაუფასურების საკითხში დამნაშავეების დასჯის პოლიტიკური ნება ხელისუფლებაში ნამდვილად არსებობს. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს მოსახლეობისთვის ანაბრების დაბრუნება შესაძლებელია, ტყუილი და დემაგოგიაა. ამის მინიმალური შანსიც კი არ არსებობს. როდესაც ევროკავშირში შევალთ, შესაძლოა, შემუშავდეს რაღაც პროგრამა, მაგრამ ესეც საეჭვოა.

***ზურაბ ნოღაიდელი,*** *ფინანსთა მინისტრი:* მე ვერაფერს გეტყვით. ამ საკითხს საპარლამენტო კომისია სწავლობს და პასუხს ის მოგცემთ.

***დავით ზურაბიშვილი,*** *ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილე:* ეჭვგარეშეა, რომ თავის დროზე მოხდა დანაშაული. ხალხი და ქვეყანა გაიძარცვა. უზარმაზარ თანხებზეა ლაპარაკი. თუ არ ვცდები, საუბარია 10 მილიარდ დოლარზე. თუმცა, ანალოგიური რამ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც მოხდა. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ეს ცოტა ძნელ საქმედ მეჩვენება, - წელიწადში სახელმწიფომ ასი მილიონიც რომ გადადოს, პროცესი 100 წელიწადს გასტანს. გამორჩევით თანხის დაბრუნებაც დაუშვებელია: დაიწყება, რატომ იმას და მე არაო... დამნაშავეების გამოვლენა კი შესაძლებელი და აუცილებელია. რატომაც არა? ერთი მოხსენება ვასილ მაღლაფერიძეს უკვე მზადა აქვს და ის საკმაოდ საინტერესო მასალებს შეიცავს.

***ირაკლი იაშვილი,*** *"მემარჯვენე ოპოზიცია":* ანაბრების გაუფასურება მარტო საქართველოში არ მომხდარა. მაგალითად, ლიტვის მთავრობამ პირდაპირ განუცხადა თავის მოსახლეობას, რომ ეს არის ხარკი, რომელიც დამოუკიდებლობის მიღებისთვის გადავიხადეთ და ამ ფულის არსებობა დაივიწყეთო. თუ ჩვენ გვინდა, რომ კონკრეტული პირები აღმოვაჩინოთ, ვის გამოც ეს მოხდა, შეიძლება ისინი ვიპოვოთ. ოღონდ მათი ბრალი მხოლოდ ის იქნება, რომ გარდაუვალი პროცესები დააჩქარდა. თუ ვინმემ ოდნავ მაინც იცის, რა ხდებოდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, საკითხს ასეთი რაკურსით არ დააყენებს. საკითხის დასმა შეიძლება მხოლოდ ასე: პროცესი დაჩქარდა ორი თვით ან ერთი წლით. ამ შემთხვევაშიც, ვიღაცების გვარები ამოტივტივდება და ეს მორიგი სკანდალის თემად გადაიქცევა. ჭეშმარიტი დამნაშავეების პოვნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დავიწყებთ იმის კვლევას, ვინ გასცა ან ვისი რეკომენდაციით გაიცა კრედიტები.

***კახა კუკავა,*** *"კონსერვატორი":* მე მგონია, რომ ხელისუფლებას არ ეყოფა პოლიტიკური ნება, ანაბრების გაუფასურების საკითხი ობიექტურად შეისწავლოს და დამნაშავეები დასაჯოს. მიხედვად ამისა, ჩვენ მაინც დიდი ინტერესით ველოდებით ვასიკო მაღლაფერიძის მოხსენებას. ვნახოთ: თუ მასში ნათქვამი იქნება, რომ დამნაშავეები არიან გარდაცვლილი დვალიშვილი ან ქვეყნიდან გაქცეული ადამიანები, ეს იქნება ნამდვილი დამნაშავეებისთვის ხელის დაფარება, ხოლო თუ საქმეები აღიძვრება და სამართლებრივი პროცედურები დაიწყო, ამას, რა თქმა უნდა, მივესალმებით... მე ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლების გარიგება მხოლოდ ვანო ჩხარტიშვილთან შედგა. შეიძლება, ჩხარტიშვილი საერთოდ არაფერ შუაშია. უბრალოდ ხალხში ასეთი აზრი მუსირებს. ვინაიდან მას აქვს თავისი პარტია, ფრაქცია და ტელევიზია, როგორც ჩანს, ხელისუფლება მას მაინც ანგარიშს უწევს. ამიტომაც არის ეჭვი, რომ მასთან რაღაც საიდუმლო გარიგება დაიდო... ერთ-ერთი ბრალდება თავად ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგაც არის მიმართული: ადრე არაერთხელ ითქვა, რომ მან გაიტანა 102-მილიარდიანი კრედიტი კუპონებით.

***ივლიანე ხაინდრავა,*** *რესპუბლიკური პარტია:* ანაბრების საკითხი ჩემი თემა არ არის, ვერაფერს გეტყვით.

***ლევან ბერძენიშვილი,*** *განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე:* როდესაც ვასილ მაღლაფერიძე პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარდგება, ანაბრების გაუფასურების საკითხში ბევრი რამ გამოჩნდება. არ მინდა, მის მიერ გაწეულ სამუშაოს წინ გავუსწრო. თუმცა, მე მაინც სკეპტიკურად ვუყურებ იმას, რომ ყველა კითხვას პასუხი გაეცემა. შეიძლება იყოს რამდენიმე მკვეთრი განცხადება, მაგრამ რა ინტერესიც აქვს ხალხს, - სამართლიანობის აღდგენა, მატერიალური სარგებლის მიღება და სხვა, - ეს არ მოხდება. ამიტომ საკითხი სპეკულაციურ თემად რჩება.

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო

FM 107.4

„ვითამაშოთ რაგბი და ვიყოთ ერთად მესამე ტაიმში"

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები, სათასო თამაშები; მიმდინარე, დასრულებული და დაუსრულებელი მატჩების შედეგები - როკი და როკვა ქართულად. ყველაფერი პირდაპირ ეთერში; შაბათ-კვირას, ექვსიდან - ღამის 2-საათამდე - როკი და ფეხბურთი მწვანე ტალღაზე

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე 32-43-46; 32-43-47




წამყვანები
არჩილ ბენაშვილი, გაგა გობრონიძე, მინდია გაბაშვილი, ირაკლი დანელია

26 დეკემბრის გადაცემის სტუმრები:

გიორგი მამარდაშვილი - საქართველოს რაგბის კავშირის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი
ნიაზ მამრიკიშვილი – რაგბის მხარდამჭერთა ლიგის წევრი, ტექნიკური კომიტეტის თანამშრომელი

გიორგი მამარდაშვილი: „უმაღლესი ხარისხის ამაღლევებელი რაგბი მინდორზე და მოედნის მიღმა — ეს დევიზი უნდა დამკვიდრდეს ქართულ საკლუბო და თავისთავად სანაკრებო რაგბიში".

ნიაზ მამრიკიშვილი: „რაგბი ვაქციოთ ცხოვრების წესად და მისი მეშვეობით დავამკვიდროთ ცხოვრების ჯანსაღი წესი ქართველ მოზარდებსა და ახალგაზრდებში. დამიჯერეთ – მრავალი პრობლემაც მოიხსნება".

# ზურაბ ჟვანიას მთავრობამ ორი პარლამენტის მდინარეში სამჯერ გაიარა

პირველი გვერდიდან

პრემიერისთვის მართლაც ძალიან ძნელი უნდა ყოფილიყო თავის შეკავება და ბრალდებებზე აუღელვებლად პასუხის გაცემა, როდესაც დავით გამყრელიძემ ლამის აპოკალიფსური სურათი დახატა, ხოლო ივლიანე ხაინდრავამ მთავრობა სიტყვის გატეხვაში და მოსახლეობისთვის მიცემული დანაპირების არშესრულებაში დაადანაშაულა.

**"ერთი წლის განმავლობაში ერთი და იგივე პირების სხვადასხვა პოსტებზე გადანაცვლება სერიოზულ ეჭვებს იწვევს... ხელისუფლების ფავორიტებს პატიობენ ყველაფერს, სხვებს კი, - არაფერს... ვარდების რევოლუციისადმი მიძღვნილი ფილმებიდან და კლიპებიდან აორთქლდა დავით ბერძენიშვილი...",** - საკმაოდ ვრცელი იყო რესპუბლიკელების ბრალდებათა ჩამონათვალი.

რაც შეეხება "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერს, ხელისუფლება მანაც უამრავ ამქვეყნიურ ცოდვაში დაადანაშაულა, საზღვაო სანაოსნოს იაფად გაყიდვიდან დაწყებული და უმუშევრად დარჩენილი ადამიანების მიმართ უყურადღებობის გამოჩენით დამთავრებული.

დავით გამყრელიძის გამოსვლამ სახელისუფლებო გუნდის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია.

**"ისეთი სურათი დახატეთ, წინა ხელისუფლების დრო გამახსენდა. თუმცა, მაშინ მსგავსი განცხადებების კეთებით თავს არ იწუხებდით,"** - ნოემბრის რევოლუციის დღეებში გამოჩენილი სისუსტე გაუხსენა პარლამენტის თავმჯდომარემ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერს.

**"დავით გამყრელიძეს შევარდნაძის მმართველობა ყველაფერს ერჩივნა,"** - თითქმის იგივე დასკვნას აკეთებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე, რომელსაც ოპოზიციის მხრიდან მთავრობის კრიტიკა უსაგნოდ მიაჩნია. რადგან **"365 დღის განმავლობაში რისი გაკეთებაც შეიძლებოდა** (მაგრამ 2004 ხომ ნაკიანი წელია? - გ.ა)**, მთავრობამ ყველაფერი გააკეთა".**

მთავრობისთვის "ძირის გამოთხრას" ოპოზიცია ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანიას სიტყვით გამოსვლამდე შეეცადა: დავით გამყრელიძის მტკიცებით, ვინაიდან გადახალისებულ მთავრობაში უშიშროების მინისტრი წარმოდგენილი არ არის, ეს ნიშნავს, რომ მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადებას კანონის დარღვევით ეყრება კენჭი.

ანალოგიური განცხადება გაკეთდა "მემარჯვენე ოპოზიციის" გუშინდელი პარტნიორის - რესპუბლიკელების მხრიდანაც. მაგრამ სახელისუფლებო გუნდი ოპოზიციის ამ ნაბიჯს მომზადებული შეხვდა: იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა და სხვებმა განმარტეს, რომ მთავრობის სტრუქტურა და მასში ცვლილებების შეტანა, კონსტიტუციის მიხედვით, სხვა კანონით რეგულირდება, ამ კანონში სათანადო ცვლილებები (უშიშროების სამინისტროს გაუქმება) კი პარლამენტმა უკვე შეიტანა.

დავით გამყრელიძე სახელისუფლებო ფრაქციის ცდუნებას მაინც შეეცადა და მას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა შესთავაზა.

**"ჩვენ ხმების ერთი მეხუთედი არა გვაქვს. ამიტომ, შემოგვიერთდით, ერთად მივმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს და რა ვერდიქტსაც ის გამოიტანს, ყველანი დავემორჩილოთ,"** - სთხოვა გამყრელიძემ საპარლამენტო უმრავლესობას.

თუმცა, სახელისუფლებო გუნდი არც ისეთი გულუბრყვილო აღმოჩნდა, რომ ოპოზიციონერის წინადადება აეტაცებინა.

**"ჯერ მთავრობას გამოვუცხადოთ ნდობა და ამ ნაბიჯის კანონიერების თაობაზე მივმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს,"** - ნიკა გვარამიას ამ კონტრშეთავაზებას ოპოზიციამ ველარაფერი დაუპირისპირა...

ნერვების აშლის ფასად ნდობამოპოვებული მთავრობა დღეს კიდევ ერთ გამარჯვებას მოიპოვებს: ეჭვს არ იწვევს, რომ პარლამენტი 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტსაც "წარბშეუხრელად" დაამტკიცებს.

# პარლამენტი - საგარეო საქმეთა სამინისტრო: კონფრონტაცია გრძელდება

პირველი გვერდიდან

**"ეს არ არის პატრიოტიზმის გამოხატულება. პატრიოტობა, ჯობია, სხვა საქმეში გამოვიჩინოთ,"** - აცხადებს პარლამენტარი ვასილ მაღლაფერიძე, რომელიც კლასიკურ სტილს - შარვალ-კოსტიუმს - ანიჭებს უპირატესობას.

დიპლომატიური უწყება ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მეორედაც ჩავარდა დეპუტატების "ყბაში": პარლამენტარების განსჯის საგნად იქცა საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულება, რომ ელჩებმა და კონსულებმა დეპუტატების წერილობით შეკითხვებს "დედა-უწყებასთან" შეთანხმების გარეშე არ უპასუხონ.

თავად სალომე ზურაბიშვილმა ამ თემაზე ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კი ასეთი კომენტარი გააკეთა: "მე რამდენადაც ვხვდები, განკარგულებაში სულ სხვა რამ წერია, ქალბატონ სალომეს სურვილი კი სხვა იყო. განკარგულებას მინისტრის მოადგილე აწერს ხელს და ამიტომ უკეთესი იქნება, თუ მინისტრი და მისი მოადგილე პოზიციას შეაჯერებენ. ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო მის მიმართ დაქვემდებარებულ უწყებებზე კოორდინირებულ დაქვემდებარებას ახორციელებდეს, მაგრამ საელჩოები მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროსი არ არის. ამიტომ, ჩვენთვის ინფორმაციის მოწოდების კუთხით, მათი შეზღუდვა მიუღებელია. პარლამენტის წევრებს სრული უფლება აქვთ, საელჩოებიდან ნებისმიერი ინფორმაცია მოითხოვონ და საელჩოები ვალდებულები არიან, ეს ინფორმაცია მოგვაწოდონ. თუ ამის ხელის შეშლის სურვილთან გვაქვს საქმე, ეს კატეგორიულად მიუღებელია, ხოლო თუ სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯი კოორდინირების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, ამის შესახებ დოკუმენტში უნდა ჩაიწეროს".

# თავდასხმა ჟურნალისტზე

თავისუფლების ინსტიტუტი 26 დეკემბერს ბათუმში გაზეთ "აჭარის" კორესპონდენტ ირაკლი ცეცხლაძეზე თავდასხმას აპროტესტებს.

"აჭარაში, დემოკრატიის განვითარების კუთხით, პირველყოფილი წყობილებაა. ის, რაც 90-იან წლებში თბილისში ხდებოდა, დღეს ბათუმში ხდება. ჟურნალისტის ცემის ფაქტი, ერთი მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ აჭარაში სიტყვის თავისუფლების ჩანასახი გაჩნდა, მაგრამ მეორე მხრივ, ამან ცხადყო ისიც, რომ აჭარაში არ არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც მზად არიან, ამ თავისუფლებას შეეგუონ," - განუცხადა "24 საათს" თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა გიორგი მელაძემ.

რეგიონული გაზეთის "აჭარას" კორესპონდენტს ირაკლი ცეცხლაძეს ორი უცნობი საკუთარი სახლის შესასვლელთან დაესხა თავს. ყოველგვარი შელაპარაკებისა და მუქარის გარეშე, მათ ჟურნალისტი სასტიკად სცემეს. ცეცხლაძის თქმით, თავდასხმა მის მიერ გაზეთ "აჭარის" 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას უკავშირდება. პუბლიკაციაში - "უშიშროებას მხოლოდ მესაზღვრეთა დასვრილი ხელები შერჩა" - ჟურნალისტი აჭარის საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსს, დევი გოგუას და რამდენიმე მაღალჩინოსანს, კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, კორუფციასა და უკანონო ქმედებებში სდებს ბრალს.

თავისუფლების ინსტიტუტი ხელისუფლებისგან არა მხოლოდ ამ კონკრეტულ ფაქტზე, არამედ ჟურნალისტებზე ბოლო დროს მომხდარ თავდასხმებზე სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს.

"ჩვენ სპეციალური წერილით მივმართავთ სამართალდამცავებს, რათა მათ ეს ფაქტი გამოიძიონ და დამნაშავეები დასაჯონ," - აცხადებენ თავისუფლების ინსტიტუტში.

*24 საათი*

# სააკაშვილმა პირველმა მიულოცა ვიქტორ იუშენკოს

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატს ვიქტორ იუშენკოს ქართველი ხალხის სახელით პირველმა მიულოცა არჩევნებში გამარჯვება.

აღნიშნული მილოცვით სააკაშვილმა იუშენკოს არჩევნების დასრულების შემდეგ, ერთ-ერთი უკრაინული ტელეარხის საშუალებით მიმართა და განაცხადა, რომ საქართველო მხარს უჭერდა უკრაინელ ხალხს არჩევნების მთელი პერიოდის განმავლობაში.

პრეზიდენტის თქმით, მან უარი განაცხადა, ჩასულიყო უკრაინაში სამხედრო აღლუმზე არჩევნების პირველი ტურის დროს, რათა ორაზროვან სიტუაციაში არ აღმოჩენილიყო.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ესაუბრა ქართველ დამკვირვებლებს უკრაინაში და მოხარულია, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა და უკრაინელმა ხალხმა გაიმარჯვა.

პრეზიდენტი თავს ბედნიერად თვლის, რომ ქართველი ხალხის სახელით პირველი ულოცავს პრეზიდენტობას "თავის მეგობარს ვიქტორ იუშენკოს."

უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ორშაბათ დილისთვის საარჩევნო ბიულეტენების 95 პროცენტი დაითვალა. არსებული მონაცემებით, ოპოზიციის ლიდერს ვიქტორ იუშენკოს მხარი ამომრჩევლების 54,75 პროცენტმა, ხოლო უკრაინის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ იანუკოვიჩს - 43,46 პროცენტმა დაუჭირა.

იუშენკომ საპრეზიდენტო არჩევნებში თავი უკვე გამარჯვებულად გამოაცხადა, იანუკოვიჩის მომხრეები კი არჩევნებში დამარცხებას არ აღიარებენ და ამომრჩეველთა ხმების პარალელურ დათვლას ახორციელებენ.

*პრაიმ-ნიუსი*

*მოკლედ*

## ირაკლი ბათიაშვილი უშიშროებაში დაკითხეს

საქართველოს უშიშროების (მაშინდელი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის) ყოფილი მინისტრი ირაკლი ბათიაშვილი 27 დეკემბერს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილში დაკითხეს.

ბათიაშვილი ამ ფაქტს მის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ დევნად მიიჩნევს და აცხადებს, რომ უშიშროებამ მასზე, დიდი ხანია, მეთვალყურეობა დააწესა.

დაკითხვის საბაბად მან დაასახელა ერთ-ერთი ახალგაზრდის "პროვოკაციული განცხადება, რომელიც მას თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტში, კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძისა და მისი მოადგილის დავით კირკიტაძის ხალხმა დააწერინა", შემდეგ კი რეაგირებისთვის უშიშროების სამინისტროში გადააგზავნეს.

ბათიაშვილის თქმით, განცხადებაში აღნიშნულია, თითქოს იგი განცხადების ავტორს აშინებდა და მასზე ზეწოლას ახორციელებდა.

უშიშროების ყოფილი მინისტრი არ უარყოფს, რომ ამ ახალგაზრდასთან რესტორანში პოლიტიკურ საკითხებზე მართლაც ჰქონდა საუბარი, თუმცა არავითარ დაშინებას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

*მედია-ნიუსი*

## მოსკოვში აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარების გეგმა მზადდება

დსთ-ს ქვეყნების კვლევით ინსტიტუტში მზადდება სპეციალური გეგმა, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებისა და რუსეთთან მიერთებისთვის სამართლებრივი ბაზის შექმნას ითვალისწინებს.

გეგმის მიხედვით, ეს პროცესი იმავე სცენარით უნდა განხორციელდეს, რომლის შესაბამისადაც ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკების წარმოშობა და შემდგომი აღიარება მოხდა, - აცხადებს ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა დავითაია.

მისივე ინფორმაციით, დსთ-ს ქვეყნების კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები კონსულტაციებს იმ უცხოურ ინსტიტუტებში გადიან, სადაც იუგოსლავიის ომისშემდგომი მოწყობის საკითხებზე მუშაობდნენ.

როგორც დავითაია აღნიშნავს, გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კანონპროექტი ახალი მიწების მიერთების შესახებ, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები დაიწყო, რის გამოც მოსახლეობას საშუალება არ მიეცა, არჩევანი გაეკეთებინა და რუსეთთან მიერთების სურვილი გამოეთქვა. სწორედ ამიტომ, პროექტის მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს კითხვით: გსურთ თუ არა, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევიდეს.

ამასთან, აქცენტი კეთდება აფხაზეთში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც. როგორც დავითაია აცხადებს, მზადდება დოკუმენტაცია, თითქოს აფხაზეთის ტერიტორიაზე ომამდეც რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობდნენ.

დსთ-ს ქვეყნების კვლევით ინსტიტუტში გეგმაზე მუშაობა უახლოეს ხანში დასრულდება და იგი განსახილველად რუსეთის დუმას წარედგინება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მოპარვას გადარჩენილი დამოუკიდებლობა

## ანაბრების საიდუმლო

პირველი გვერდიდან

### იქნებ დრო მოვიდა?

დვალიშვილის ინტერვიუს "კავკასიონის" მომდევნო ნომერში წერილით უპასუხა თენგიზ სიგუამ (წერილს "24 საათის" დღევანდელ ნომერში გთავაზობთ).

მიუხედავად იმისა, რომ სიგუა და დვალიშვილი უკვე "ყოფილები" იყვნენ, "კავკასიონში" გამოქვეყნებული წერილი იყო გაგრძელება მთავრობის და ეროვნული ბანკის დაპირისპირებისა, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ეს ბრძოლა სადღაც 1993 წლის მაისში ზედაპირზე ამოტივტივდა.

პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა და ვიცე-პრემიერი რომან გიცირიძე მკაცრად აკრიტიკებდნენ ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. მინისტრთა კაბინეტი მიიჩნევდა, რომ ეროვნულმა ბანკმა, გაუმართლებლად დაბალი საპროცენტო განაკვეთის კრედიტებით, ქართული კუპონის სწრაფი გაუფასურება გამოიწვია. დვალიშვილი თავის პოლიტიკას ამართლებდა იმით, რომ კერძო ბიზნესს უწყობდა ხელს და რუსული რუბლის კურსის დაცემას ცდილობდა. მინისტრთა კაბინეტმა ოფიციალურად მოითხოვა, რომ კუპონი ყოფილიყო ერთადერთი ლეგალური საგადასახადო ვალუტა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ დვალიშვილმა ამას "საშიში ნაბიჯი" უწოდა.

პარლამენტი ორად იყო გაყოფილი - ნაწილი მთავრობის, ნაწილი დვალიშვილის მხარეს. ეროვნულ ბანკს მხარს უჭერდნენ "მწვანეები", რომელთაც, კომპანია "თრიალეთის" სახელზე გამოტანილი ჰქონდათ კრედიტი - 102 მილიარდის ოდენებით. მწვანეების მტკიცებით, ამ კრედიტით საქართველოს ბიუჯეტს 100 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. ისინი ბრალს სდებდნენ მინისტრთა კაბინეტს მომგებიანი ეკონომიკური პროექტის ჩაგდებაში. შევარდნაძე ჯერ თავს იკავებდა დებატებში მონაწილეობისაგან, მოგვიანებით კი ღიად დაიკავა ეროვნული ბანკის მხარე. დებატები და ბრალდებები იმით დასრულდა, რომ შეიქმნა საპარლამენტო კომისია, რომელიც ეროვნული ბანკის ქმედებებს გამოიძიებდა.

1994 წლის მაისში საქართველოში დაბრუნდა ყოფილი ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე. თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ იგი კარგა ხანს იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მონაწილეობდა სხვადასხვა კონფერენციებში, ხვდებოდა მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებს, ცნობილ ეკონომიკურ ექსპერტებს. სამშობლოში დაბრუნებას ყოფილმა ვიცე-პრემიერმა სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა. მან საქართველოში შექმნილ ვითარებას უკანონობის აპოთეოზი უწოდა და ამის მიზეზად ხელისუფალთა უსუსურობა დაასახელა. **"დღეს ხელისუფლებაში არ არის კაცი, ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შესრულებას და დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას,"** - განაცხადა მან და დასძინა, რომ ხელისუფლების გადადგომა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა რეგრესის შეჩერებისთვის. ამავე პრესკონფერენციაზე რომან გოცირიძე შეეხო მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებსაც და აღნიშნა, რომ ვიცე-პრემიერად მუშაობის პერიოდში მას შეიძლება, ჰქონდა შეცდომები, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედების ფაქტს მისი მხრიდან არასოდეს ჰქონია ადგილი. **"ჩემზე შეთითხნილი ჭორების ავტორი ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი დემურ დვალიშვილია,"** - დასძინა ყოფილმა ვიცე-პრემიერმა. აქვე რომან გოცირიძემ გააკეთა განცხადება, რომელიც მეტად საყურადღებოა დღევანდელობისთვისაც. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ხელთა აქვს ზევრი ფუნქციონერის დანაშაულებრივი ქმედების ფაქტები, რომლებზეც, როცა დრო მოვა, აუცილებლად აღიძვრება საქმე ("კავკასიონი" 12 მაისი, 1994წ.).

მას შემდეგ ათ წელიწადზე მეტი გავიდა. რევოლუციით შეიცვალა ის რეჟიმი, რომლის ფუნქციონერებიც ძარცვავდნენ ქვეყანას და ხალხს. იქნებ დრო მოვიდა?

### სამანეთო ზონა და ეროვნული ვალუტა

იმავე პრესკონფერენციაზე რომან გოცირიძე გამოთქვამს საგულისხმო მოსაზრებებს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკაზე და მოჰყავს უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციები. ყოფილი ვიცე-პრემიერის ინფორმაციით, აშშ-ში გამართულ კონფერენციაზე აბსურდული უწოდეს სამანეთო ზონის აღდგენის თავად იდეას და გამორიცხეს მისი შექმნის შანსიც კი. რომან გოცირიძემ მოიყვანა იმ დროის ცნობილი ექსპერტის ჯეფრი საქსის სიტყვები: **"ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა საქართველო და ყაზახეთი, თუ დაიწყებენ რუსეთის წინაშე მუხლზე ხოხვას სამანეთო ზონაში დაბრუნებისათვის, დაკარგავენ როგორც ეკონომიკას, ასევე დამოუკიდებლობასაც."**

ყოფილი ვიცე-პრემიერი შემთხვევით არ ეხება ამ თემას. დებატები ეროვნული ვალუტის შემოღების მომხრეებსა და სამანეთო ზონაში დაბრუნების ლობისტთა შორის დიდი ხანია, მიმდინარეობდა, პოლემიკის პიკი კი 1994 წლის მეორე ნახევარზე მოდის, როდესაც ჰიპერინფლაცია შედარებით შეჩერდა.

1994 წლის აგვისტოში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დასტურით, საქართველოს მთავრობის მრჩევლად მუშაობას იწყებს ოკლაჰომას უნივერსიტეტის პროფესორი ლუის ედრინგტონი (მისი მოწვევაც რომან გოცირიძის დამსახურებაა). ნოემბერში "კავკასიონი" აქვეყნებს ინტერვიუს ამერიკელ სპეციალისტთან. საინტერესოა მისი დაკვირვება: **"შენიშნავდით, რომ სულ ახლახან, დროის მცირე მონაკვეთში ძალიან სწრაფად დაეცა კუპონის ფასი. რა მოხდა? ფერმერებს მოსავლის ასაღებად მიეცათ ნაღდი ფული - კუპონები** (იგულისხმება კახეთში ყურძნის დამზადებაზე გაცემული თანხები). **ეს ფული ბანკში არ დაბრუნებულა, რაც მთავრობას პრობლემად ექცა... ფერმერები კუპონის შენახვას დოლარის შეძენას ამჯობინებენ.**

**ნორმალურ შემთხვევაში ფერმერი თავის შემოსავალს ჩადებდა ბანკში და მთელი წლის მანძილზე გამოიყენებდა. მაგრამ აქ ასე არ მოხდა, რადგან ბანკის პროცენტი დაბალია, დეპოზიტები შეიძლება გაიყინოს. ამიტომ ფერმერს ურჩევნია კუპონი დოლარზე გადაცვალოს - ასე ის უფრო მშვიდად იგრძნობს თავს.**

**ამიტომ საბანკო სისტემა უნდა შეიცვალოს, უნდა გაიზარდოს საპროცენტო განაკვეთი ბანკში და აღდგეს ნდობა საბანკო სისტემების მიმართ - ამის შემდეგ დოლარის საყიდლად ადამიანი ბაზარს აღარ მიაშურებს და ფული ბანკს დაუბრუნდება.**

**ვფიქრობ, ცენტრალური ბანკის ახალი პრეზიდენტი ამ პრობლემებს სათანადოდ მოაგვარებს."**

მართლაც, საკრედიტო აურზაური ნელ-ნელა ცხრებოდა, რადგან ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი ჯიუტობდა და კრედიტებს არ გასცემდა. კუპონი, 1993 წლის ჰიპერინფლაციის შემდეგ, სავაჭრო ურთიერთობებიდან პრაქტიკულად განდევნილი იყო. რუსული მანეთისა და დოლარის მასამ კერძო ჯიბეებში გადაინაცვლა და მიმოქცევაში მათი მოცულობა იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ ფასები საქონელზე და მომსახურებაზე არანორმალურად დაეცა - უბრალოდ, ხალხს მეტის გადახდა არ შეეძლო. ქვეყანას ნამდვილი ფული სჭირდებოდა.

ეროვნული ვალუტის შემოღების მომხრეები, ბანკის პრეზიდენტის მეთაურობით, ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია კუპონის გამყარება და შემდგომში ეროვნულ ვალუტაზე გადასვლა და მისი კურსის შენარჩუნება (ამ მექანიზმის შესახებ დღევანდელ ნომერში დაწვრილებით საუბრობს ნოდარ ჯავახიშვილი, რომელსაც საპატიმროში დავუკავშირდით). მათ კი, ვინც კარგად აითვისა "მალფუჭებადი" რუსული ფულის და კუპონის კონვერტაციის მანიპულაციები, სიცილად არ ჰყოფნით ეროვნულ ვალუტაზე საუბარი. არიან ისეთნიც, ვინც საბჭოთა კავშირის ნოსტალგიას ფარულად ატარებს და სამანეთო ზონაში დაბრუნება მათ მონატრებას ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს.

1994 წლის 3 თებერვალს თბილისში ვიზიტით ჩამოდის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი. ერთ-ერთი შეთანხმებით იქმნება კომისია, რომელმაც უნდა მოამზადოს საქართველოს სამანეთო ზონაში შესვლის საკითხი. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს ბიუჯეტი უნდა დაამტკიცოს რუსეთის ფედერაციის ცენტრალურმა ბანკმა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამავე ვიზიტის ფარგლებში კანონდება რუსული სამხედრო ბაზების ყოფნა საქართველოში, ფაქტობრივად, საქართველო ნებაყოფლობით აბარებს დამოუკიდებლობას. **"სამანეთო ზონაში შესვლის თაობაზე ხელისუფლების პოზიცია დღეს არ ჩამოყალიბებულა, ასეთი მოსაზრება დიდი ხანია, არსებობს და ის პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფო ატარებდა და ატარებს, ის უმოქმედობა და, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, მიზანმიმართული ქმედებაც კუპონის გაუფასურებისთვის შეგნებულად კეთდებოდა,"** - ამბობს "კავკასიონისთვის" მიცემულ ინტერვიუში ვახტანგ ხმალაძე ("კავკასიონი", 9 თებერვალი, 1994წ.). ამავე ინტერვიუში ვახტანგ ხმალაძე კონკრეტულ ბრალს სდებს სახელმწიფოს მეთაურსა და პარლამენტის სპიკერს კუპონის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებში და მოჰყავს ციტატები: **"აუცილებლად უნდა შევიდეთ სამანეთო ზონაში!"** (ვახტანგ გოგუაძე); **"ან დავიღუპოთ კუპონთან ერთად, ან გადავრჩეთ..."** (ედუარდ შევარდნაძე). მრავალწერტილის ნაცვლად სახელმწიფოს მეთაური მანეთს გულისხმობდა.

სამანეთო ზონის მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი კუპონის გამყარება იქნებოდა. ეროვნული ბანკის მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ, რაც კრედიტების პრაქტიკულად შეჩერებაში და ემისიის შეზღუდვაში გამოიხატა, თავისი შედეგი გამოიღო - "მანეთუმეთა" გულის გასახეთქად, 1994 წლის ბოლოს კუპონმა გამყარება დაიწყო. კარგი დინამიკით იგი სწორედ რუსული მანეთის მიმართ გამოირჩეოდა.

**"თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ კუპონის კურსი რუსულ რუბლთან მიმართებაში დღითიდღე იზრდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება სწორი არჩევანი გამოდგა,"** - წერს "კავკასიონი" 1995 წლის 19 იანვარს და იქვე მოჰყავს კუპონის კურსის დინამიკა ერთი კვირის განმავლობაში:

**11 იანვარი**
1 აშშ დოლარი - 1 260 000 კუპონი
1 გერმანული მარკა - 807 173 კუპონი
1 რუსული რუბლი - 295 კუპონი
**13 იანვარი**
1 აშშ დოლარი - 1 260 000 კუპონი
1 გერმანული მარკა - 819 244 კუპონი
1 რუსული რუბლი - 290 კუპონი
**18 იანვარი**
1 აშშ დოლარი - 1 285 000 კუპონი
1 გერმანული მარკა - 835 444 კუპონი
1 რუსული რუბლი - 286 კუპონი

ისინი, ვინც სამანეთო ზონაში შესვლით აპირებდნენ საფინანსო განუკითხაობის ახალი ტალღის აგორებას და კიდევ უფრო გამდიდრებას, დამარცხებისთვის იყვნენ განწირულნი, მაგრამ ძარცვის ახალ სქემებზე გამალებით ფიქრობდნენ.

და მოიფიქრეს კიდეც - პრივატიზება და ვაუჩერები იქცა ქვეყნისა და მოსახლეობის ძარცვის ახალ საშუალებად. ხელისუფლებამ აქაც სრული უმოქმედობა გამოიჩინა და საერთო სიმდიდრე პრაქტიკულად ისევ იმათ ხელში აღმოჩნდა, ვინც სულ ცოტა ხნის წინ ასე უმოწყალოდ "გაპარსა" მოსახლეობა. როგორც ეკონომიკის სპეციალისტები მაშინვე ამბობდნენ, ხელისუფლებას რომ მართლა ჰქონოდა საერთო სახალხო ქონების სამართლიანად განაწილების სურვილი, ამისათვის არაერთი სქემის გამონახვა შეიძლებოდა. მარტო იმის თქმაც საკმარისია, რომ პრივატიზების პროცესში, აქციების გაცემის საშუალებით, შესაძლებელი იყო გაუფასურებული ანაბრების შედარებით სრულფასოვანი კომპენსირება. ძლიერთა ამა ქვეყნისათა ყურად არ იღეს არც ერთი რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით, რადგან თავად კარგავდნენ იაფ და მსუყე ლუკმას.

მაგრამ ამის შესახებ შემდეგ წერილში...

თემის გაგრძელება A7 გვერდზე



# ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

**პატივცემულო მომხმარებელო,**

ბუნებრივი გაზის გამოყენების დროს მომხდარი ავარიებისა და უბედური შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ძირითადად გამოწვეულია მომხმარებელთა მხრიდან გაზის უსაპრთხო გამოყენების წესების დარღვევებით.

მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ განუხრელად დაიცვათ ბუნებრივი გაზის გამოყენების წესები:

1. ბინაში შესვლის, ყოფნის ან გაზის ხელსაწყოების გამოყენების დროს თუ შეიგრძნობტ დაზის სუნს, დაუყოვნებლივ სეწყვიტეთ გაზის ხელსაწყოებით სარგებლობა, გადაკეტეთ გაზის გამშვები მილისა და ხელსაწყოების ყველა ონკანი, არ აანთოტ ასანთი, არ მოწიოთ სიგარეტი , არ ჩართოთ და გამორთოთ ელექტროხელსაწყოები, განათება, გაანიავეტ სათავსი (დააღეთ კარები, ფანჯრები) და გამოიძახეტ გაზის საავარიო სამსახური - 04;
2. არ მოახდინოთ გაზსადენებისა და გაზის ხელსაწყოების ჩახერგვა სხვადასხვა საგნებითა და ნივთებით;
3. გაზის ხელსაწყოებით სარგებლიბის დროს პერიოდულად გაანიავეთ სათავსი;
4. არ დაუშვათ გაზქურის თავზე და გაზსადენზე თოკების გაბმა თეთრეულის გასაშრობად;
5. გაზით გამთბობი ან გამდინარე წყალგამაცხელებლებით სარგებლობის დაწყებამდე შეამოწმეთ კვამლსადენისა და სავენტილაციო არხებში წნევის ხარისხი, ანთებული ასანთი მიიტანეთ წყალგამაცხელებლის ხუფთან და სავენტილაციო არხის ცხაურთან, თუ ალი არ შეიტაცება (გადაიხრება) ხუფის ქვეშ ან ცხაურის შიგნით და დარჩება ვერტიკალურ მდგომარეობაში - არ ისარგებლოთ გამთბობი წყალგამაცხებლებით;
6. გაზის მოწოდების მოულოდნელი შეწყვეტის სემთხვევასი დაუყოვნებლივ გადაკეტეთ გაზის გამშვებ მილზე და ხელსაწოებზე ყველა ონკანი;
7. ტავისდროულად წარუდგინეთ გაზის მეურნეობას საკვამლე-სავენტილაციო არხების ვარგისიანობის აქტები (აგურის არხების შემთხვევაში კვარტალში ერთხელ, ასბოცემენტის არხების დროს - წელიწადში ერთხელ);
8. დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად;
9. იქონიეტ გაზის ხელსაწყოები ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში. უზრუნველყავით მათი მოვლა (გაწმენდა-გასუფთავება) და შენახვა;
10. ნუ დაამონტაჟებინებთ გაზის ხელსაწყოებს შემთხვევით პირებს. სს "თბილგაზში" მოქმედებს "ცხელი ხაზი", რომელსაც შეგიძლიათ მიმართოთ გაზიფიკაციის საკითხებზე ტელეფონით **20-04-04** და მიიღოთ ამომწურავი პასუხები;

პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების უსაფრთხო ექსპლოატაციაზე ეკისრება მობინადრეებს.

**კატეგორიულად აკრაძალულია**

1. გაზის მრიცხველზე ლუქის ახსნა, მრიცხველის შეჩერება, გახსნა, ანათვლის ჩამოყრის მცდელობა, თვითნებური მოხსნა, გადაადგილება, მისი გვერდის ავლით, ნებისმიერი ხელსაწყოთი ბუნებრივი გაზის გამოყენება (დატაცება);
2. ყველა სახის არასერტიფიცირებული, არასტანდარტული დათვითნაკეთი ხელსაწყოებით ბუნებრივი გაზის გამოყენება;
3. საცხოვრებელ სახლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში, გაზით მომუშავე ყველა ყველა სახეობის გამათბობელ და წყალგამაცხელებელ ხელსაწყოთა მონტაჟი და ექსპლოატაცია, რომელთა გამოყენებისას, გაზის წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსოდან და წვის პროდუქტები სათავსოშივე რჩება, აგრეთვე, რომელთაც არ გააჩნია საკვამლე სავენტილაციო არხები;
4. გაზქურით სათავსოს (სამზარეულო, ბინა) გათბობა;
5. ანთებული გაზქურის და გამდინარე და წყალგამაცხელებლის უმეთვალყურეოდ დატოვება;
6. გაზის ხელსაწყოების თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეკეთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების, მეტლახის ფილების ქვეშ მოქცევა, სავენტილაცია ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
7. გაუმართავი გაზის ხელსაწყოების, ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
8. გაზსადენიდან ან გაზის ხელსწყოებიდან გაზის გაჟონვის აღმოჩენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება;
9. დასაძინებლად ან დასასვენებლად იმ სათავსოების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა იმ ოთახებისა, რომლებშიც შეიძლება დაყენებულ იქნას სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამთბობი ღუმელები;

**პატივცემულო მომხმარებლებო!**
**გთხოვთ განუხრელად დაიცვათ გაზის უსაფრთხო გამოყენების წესები.**

## დსთ-ს ეკონომიკა ციფრებში

### საქართველოში კერძო მშენებლობების ტემპი მნიშვნელოვნად დაეცა

*დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სტატისტიკის კომიტეტმა 2004 წლის იანვარ-სექტემბერში დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ტენდენციები შეაფასა. კომიტეტში მიაჩნით, რომ 2004 წლის იანვარ-სექტემბერში თანამეგობრობის ქვეყნებში ძირითადი მაკროეკონომიკური ტენდენციები მთლიანობაში ხელსაყრელ ხასიათს ატარებდა. ყველა ქვეყანაში, ინფლაციისა და უმუშევრობის ზომიერი დონეების ფონზე, ეკონომიკის რეალურ სექტორში გრძელდებოდა წარმოების მოცულობების ზრდა, რაც ხელს უწყობდა მათი ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შემდგომ სტაბილიზაციას.*

**მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წარმოება** თანამეგობრობის ქვეყნებში რამდენადმე უფრო მაღალი ტემპებით იზრდებოდა, ვიდრე 2003 წლის შესაბამის პერიოდში. წარმოების ზრდა ეკონომიკის ძირითად დარგებში, გარკვეულწილად, განპირობებული იყო სამომხმარებლო მოთხოვნის, აგრეთვე, ინვესტიციებზე მოთხოვნის ზრდით. მშპ თანამეგობრობის ქვეყნებში საშუალოდ გაიზარდა 8 პროცენტით, მრეწველობის პროდუქციის მოცულობა - 8 პროცენტით, ინვესტიციები ძირითად კაპიტალში - 14 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვა - 12 პროცენტით.

მსოფლიო ფასების საკმაოდ მაღალი დონის შენარჩუნებამ ხელი შეუწყო დსთ-ს ქვეყნების საგარეო სავაჭრო ოპერაციების მოცულობების შემდგომ ზრდას, რამაც მათ საშუალება მისცა, სახელმწიფო ბიუჯეტი შეევსოთ და ოქროს რეზერვები გაეზარდათ (განსაკუთრებით - რუსეთს). შენარჩუნებული იყო აშშ დოლარის მიმართ ეროვნული ვალუტების კურსების შედარებით სტაბილური დონეები.

სტატისტიკის კომიტეტში აღნიშნავენ, რომ წარმოების შემდგომ გრძელვადიან ზრდას აფერხებს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორების არასაკმარისი აქტიურობა, ასევე ბევრი მეურნე სუბიექტის არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა და მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობა. ადგილობრივი ინვესტორებისთვის შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს კრედიტებზე შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი და ეკონომიკის დაკრედიტების მოკლევადიანი ხასიათი.

მიუხედავად იმისა, რომ თანამეგობრობის ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის ტემპები წინ უსწრებდა სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპებს, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონე უკიდურესად ნელა მაღლდება.

საინტერესოა, რომ საქართველოში **ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა** 22 პროცენტით გაიზარდა, რითიც საქართველო მოწინავეთა რიგებში აღმოჩნდა, რადგან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სტატისტიკის კომიტეტის ინფორმაციით, 2004 წლის ცხრა თვეში თანამეგობრობის ქვეყნებში ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა საშუალოდ 14 პროცენტით გაიზარდა.

სამაგიეროდ, "შინაური ინვესტიციების" მიხედვით, საქართველო დსთ-ს ქვეყნებს საკმაოდ ჩამორჩება. ძირითად კაპიტალში, ინვესტიციების საერთო მოცულობაში, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საკუთარი სახსრების ხარჯზე დაფინანსებული ინვესტიციების წილმა შეადგინა: მოლდოვაში - 65 პროცენტი, ყაზახეთში - 60 პროცენტი, ბელარუსში - 57 პროცენტი, ყირგიზეთში - 40 პროცენტი, სომხეთში - 19 პროცენტი, საქართველოში - 15 პროცენტი.

2004 წლის ცხრა თვეში უცხოური კომპანიებისა და ერთობლივი საწარმოების სახსრებით ბელარუსში განხორციელდა ძირითად კაპიტალში ინვესტიციების 4 პროცენტი, სომხეთში - 7 პროცენტი, მოლდოვაში - 16 პროცენტი, ყირგიზეთში - 21 პროცენტი, ტაჯიკეთში - 22 პროცენტი, ყაზახეთში - 25 პროცენტი, საქართველოში - 75 პროცენტი.

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე, საშუალოდ, თანამეგობრობის ქვეყნებში აშენდა და ექსპლუატაციაში გადაეცა 11 პროცენტით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე 2003 წლის ანალოგიურ პერიოდში. საცხოვრებელი ფართობის მიხედვით, საქართველოში სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაა - ჩვენში ეს მაჩვენებელი შარშანდელზე 31 პროცენტით ნაკლებია, რაც უკანონო ქონების წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლით უნდა იყოს განპირობებული.

**რაც შეეხება საგარეო სვაჭრო ურთიერთობებს,** დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ოპერაციების მოცულობა, სომხეთის გარდა, თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში გაიზარდა. აზერბაიჯანში, რუსეთში, საქართველოსა და უკრაინაში, იმპორტთან შედარებით, იზრდება დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა.

დსთ-ს სტატკომიტეტის მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ბელარუსის, მოლდოვას და საქართველოს ექსპორტი ორიენტირებულია დსთ-ს ქვეყნების ბაზრებზე, მათი წილი ექსპორტის მთელ მოცულობაში შეადგენს 50 პროცენტს და მეტს. ბელარუსის, ტაჯიკეთის, უკრაინისა და ყირგიზეთის იმპორტის მთელ მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი (53-დან 72 პროცენტამდე) დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტს უკავია.

დსთ-ს ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39,4 პროცენტი, მათ შორის, ექსპორტის - 52,4 პროცენტი, იმპორტის - 34,7 პროცენტი.

საქართველოში ამავე პერიოდში დსთ-ს ქვეყნების ურთიერთშორის ვაჭრობა სტაბილურად მაღალი ტემპებით ვითარდება და მისი მოცულობა 2004 წლის იანვარ-აგვისტოში, 2003 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშუალოდ, 41 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის ექსპორტი - 42 პროცენტით, იმპორტი - 40 პროცენტით.

2004 წლის იანვარ-აგვისტოში, 2003 წლის იანვარ-აგვისტოსთან შედარებით, დსთ-ს ქვეყნების მიერ მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბაზრებზე ექსპორტირებულია საშუალოდ 26 პროცენტით მეტი საქონელი, ხოლო იმპორტირებულია 31 პროცენტით მეტი. თუ თანამეგობრობის ქვეყნების ურთიერთვაჭრობაში საექსპორტო ოპერაციები უფრო მაღალი ტემპებით იზრდება, ვიდრე საიმპორტო, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ოპერაციების შემთხვევაში პირიქითაა - იმპორტი ამ ქვეყნებიდან იზრდება უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე ექსპორტი ამ ქვეყნებში; ეს ტენდენცია შეინიშნება აზერბაიჯანში, რუსეთში, საქართველოში, სომხეთში, ტაჯიკეთში და ყაზახეთში.

## თურქები საქართველოში

ბათუმს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ტრაბზონის გუბერნატორი ჰუსეინ იავუზდემირი და სავაჭრო პალატის წარმომადგენელთა დელეგაცია ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაშია, აგრეთვე, საქართველოს გენერალური კონსული ტრაბზონში ნიკოლოზ გოგიტიძე. ვიზიტის მიზანია საპრივატიზაციო, სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმეში ინვესტორთა დაინტერესება და რეგიონში მოზიდვა. გაიმართება ერთობლივი შეხვედრა სავაჭრო პალატის, ბათუმის მერიის, ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და ბათუმში მყოფ თურქ ინვესტორებთან. სტუმრები ასევე დაათვალიერებენ ბოტანიკურ ბაღს, ზღვისპირა პარკს, ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

გუშინ ჰუსეინ იავუზდემირი და თურქ ბიზნესმენთა დელეგაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ მიიღო.

აჭარაში თურქული ინვესტიციების მოზიდვასთან ერთად, შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის მიმოსვლის გამარტივების შესაძლებლობებზეც იმსჯელეს. როგორც ჟურნალისტებს ტრაბზონის გუბერნატორმა განუცხადა, "ინვესტიცია ოქროს კვერცხია, რომელსაც ქათამი სხვაგან დებს და მას გაფრთხილება სჭირდება." სტუმრის განმარტებით, თურქი ბიზნესმენები ინვესტიციებს აჭარაში იმ შემთხვევაში ჩადებენ, თუ უსაფრთხოების მყარი გარანტიები ექნებათ.

დელეგაცია ბათუმიდან 28 დეკემბერს გაემგზავრება.

გუშინ ღამით კი, საქართველოს სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით უკვე თურქეთის ტრანსპორტის მინისტრი ბინალი ილდირიმი ეწვია. თურქი მინისტრი საქართველო-თურქეთის შერეული სატრანსპორტო კომისიის მეშვიდე სხდომას დაესწრება, რომელიც დღეს გაიხსნა და სამ დღეს გაგრძელდება. როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, სამუშაო შეხვედრებზე ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო ურთიერთობების, მათ შორის, სატრანზიტო გადაზიდვებისთვის შეთანხმებული პოლიტიკის გატარების, სატრანსპორტო დარგებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების, სატრანსპორტო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები განიხილება.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** მიმდინარე წლის 28 დეკემბრიდან ქუთაისი ელექტროენერგიას გრაფიკით მიიღებს. როგორც საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის დასავლეთის ცენტრალური ფილიალის ქუთაისის მომსახურების ცენტრის მენეჯერმა ერეკლე ბაქრაძემ 27 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ელექტროენერგიით მომარაგების ლიმიტების ასეთი ფორმა კომპანიას საშუალებას მისცემს, 10-12-საათიანი გრაფიკით მიაწოდოს დენი მომხმარებლებს, ხოლო სასიცოცხლო ობიექტები ელექტროენერგიას 24 საათის განმავლობაში მიიღებენ. საღამოს საათებში ქუთაისი 60 მეგავატს მიიღებს, რაც ქალაქის სრულად განათების საშუალებას იძლევა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ნაძალადევის რაიონში ჩოდრიშვილის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები, "თბილგაზის" აბონენტები დღეს დედაქალაქის გაზგამანაწილებელი კომპანიის შენობასთან საპროტესტო აქციას გამართავენ. როგორც "ინტერ-პრესს" მოსახლეობამ განუცხადა, რამდენიმე თვეა, მათ ბუნებრივი აირი არ მიეწოდებათ. ამის მიუხედავად, გაზმომარაგების აღდგენაზე არავინ ზრუნავს და ზამთრის პირობებში სიცივეში უწევთ ყოფნა. "ზაფხულში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო, რის გამოც გაზმომარაგება შეგვიწყდა. დღემდე ბუნებრივი აირი ვერ გვალირსეს, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ თხოვნით მერიასა და "თბილგაზს" რამდენჯერმე მივმართეთ," - აცხადებენ აბონენტები. **ინტერ-პრესი**

## სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობებში უამრავი ბარიერია

*საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობების კვლევის შედეგებს აქვეყნებს. ვაჭრობის განვითარების პროცესისა და კანონმდებლობის სრულყოფის გზაზე არსებობს მთელი რიგი ბარიერები, რაც ხელს უშლის რეგიონში არსებული პოტენციალის სრულ რეალიზაციას - ასეთია შვიდთვიანი კვლევის ძირითადი დასკვნა.*

ეთერ მამულაშვილი

მეტიც, როგორც ხსენებულმა კვლევამ აჩვენა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კანონმდებლობა და პროცედურები, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთთან შეუსაბამობაში მოდის, რაც რეგიონში სავაჭრო პოტენციალს კიდევ უფრო ასუსტებს. კერძოდ: აზერბაიჯანი, სომხეთისა და საქართველოსგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არ არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, რის გამოც ამიერკავკასიის ქვეყნების საბაჟო ტარიფები არაერთგვაროვანია. სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, სომხეთში დღეს ყველაზე დაბალი საბაჟო გადასახადები მოქმედებს, აზერბაიჯანის საბაჟო განაკვეთები კი რეგიონში ყველაზე მაღალია.

ყველაზე მეტი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი, რომელიც საბაჟო და საზღვრის კვეთის პროცედურებს არეგულირებს, საქართველოში მოქმედებს. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის შეფასებით, ისინი სრულყოფილად ვერ არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებსაც კი.

სომხეთში საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტაციის რაოდენობა, საქართველოსთან შედარებით, თითქმის ორჯერ, ხოლო აზერბაიჯანთან მიმართებაში სამჯერ მეტია.

სამაგიეროდ, აქციზით დასაბეგრი საქონლის ნუსხა საქართველოში, სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ორ ქვეყანასთან შედარებით, უფრო გრძელია.

კიდევ უფრო ვრცელია საქართველოში იმ საქონლის ნუსხა, რომელიც სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საბაჟო გადასახადისგან მთლიანად არის გათავისუფლებული.

ჩატარებული კვლევებიდან ისიც ირკვევა, რომ სამივე ქვეყნის ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის.

ხსენებულმა კვლევამ ერთი საინტერესო რამ აჩვენა: სამივე ქვეყნის საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ტვირთები არასათანადოდ კონტროლდება და, შესაბამისად, ტვირთების დიდი ნაწილი აღურიცხავია. მაგალითად, სომხეთის საბაჟოს მონაცემებით, გასული წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში საქართველოდან სომხეთში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 4 მილიონ 700 ათას აშშ დოლარს აღწევდა, მაშინ, როცა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, ეს ციფრი 7 მილიონ აშშ დოლარს ბევრად აღემატებოდა. კიდევ უფრო მკვეთრი იყო სხვაობა საქართველოსა და აზერბაიჯანის საბაჟო უწყებების მიერ გავრცელებულ ციფრებს შორის. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, 2001 წელს აზერბაიჯანიდან ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული იმპორტის ღირებულება 103 მილიონ დოლარს აჭარბებდა, აზერბაიჯანულმა მხარემ კი დროის იგივე პერიოდში საქართველოში განხორციელებული ექსპორტის ღირებულება მხოლოდ 73 მილიონ 200 ათასი დოლარი დააფიქსირა.

**"სარკისებური შედარების მეთოდით გამოვლინდა სერიოზული განსხვავებები ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებში, რაც რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. საბაჟოებზე დღემდე არსებობს სერიოზული ტექნიკური პრობლემები, თუმცა ციფრებს შორის მკვეთრი განსხვავების მთავარი მიზეზი ის არის, რომ ტვირთების დიდი ნაწილი არალეგალურია. თუკი ამხელა ტექნიკური შეცდომა არსებობს, მაშინ ეს ხალხი აქ არ უნდა მუშაობდეს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წევრმა ნიკო თევდორაშვილმა.

ამ კვლევაში ჩართული იყვნენ სამივე ქვეყნის მეწარმეები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ხელისუფლების მიერ კანონმდებლობასა და საზღვრის კვეთის პროცედურებში შეტანილი ხშირი ცვლილებები მათ სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

სხვათა შორის, ეს პრობლემა, მეწარმეების გარდა, სამივე ქვეყნის მებაჟეებსაც სერიოზულად აღელვებთ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის არსებობა რეგიონში აღნიშნული კვლევის შემდეგ კიდევ უფრო ნათელი გახდა: არ სრულდება საერთაშორისო ხელშეკრულებების გარკვეული ნაწილი. მეტიც, როგორც ნიკო თევდორაშვილი ამბობს, ხშირია შემთხვევები, როცა ზოგიერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას თავად ხელმომწერი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები არღვევენ.

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია" ხსენებულ კვლევას სომხეთსა და აზერბაიჯანში პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მიმდინარე წლის მაისიდან მოყოლებული, ატარებდა და როგორც პროექტის დირექტორი ნიკო თევდორაშვილი ამბობს, კვლევა მომავალ წელსაც გაგრძელდება. ეს კვლევა პროექტის "სამხრეთ კავკასიაში ვაჭრობის ხელშეწყობის" ფარგლებში მიმდინარეობს, რომლის მიზანიც არის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების იმპორტ-ექსპორტთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პროცედურების სისტემატიზაცია და ანალიზი, რეგიონული ვაჭრობის, ინფორმაციის გაცვლისა და ეფექტური გადაწყვეტის გზების გამოვლენა, ექსპორტ-იმპორტის რეგულირებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რეკომენდაციების შემუშავება და რეგიონულ ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურების ქვეყნებს შორის შესაბამისობაში მოყვანა.

ამავე პროექტის ფარგლებში, გარდა იმისა, რომ გამოვა სპეციალური ბიულეტენები, სულ მალე დაიწყება "ონ-ლაინ" კონსულტაციები მეწარმეებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის, რომლებიც რეგიონულ ვაჭრობაში ჩართული არიან.

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა სომხეთთან, 2000-2003 წ.წ. (მლნ. აშშ დოლარი)**

| წლები | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|---|---|---|---|---|
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 27,1 | 22,7 | 28,2 | 48,8 |
| ექსპორტი | 13,7 | 12,3 | 20,3 | 42,4 |
| იმპორტი | 13,4 | 10,4 | 7,9 | 6,4 |
| სალდო | 0,3 | 1,9 | 12,4 | 36,0 |

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა აზერბაიჯანთან, 2000-2003 წ.წ. (მლნ. აშშ დოლარი)**

| წლები | 2000 | 2001 | 2002 | 2003 |
|---|---|---|---|---|
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 76,7 | 83,8 | 109,0 | 110,1 |
| ექსპორტი | 21,3 | 10,6 | 30,1 | 15,2 |
| იმპორტი | 55,4 | 73,2 | 78,9 | 94,9 |
| სალდო | -34,1 | -62,6 | -48,8 | -79,7 |

## "საოკეანო სანაოსნოს" ყიდვის მსურველებს დამატებითი ვადა მიეცათ

თამარ ივანიძე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს "საოკეანო სანაოსნოს" შესყიდვით დაინტერესებულ კომპანიებს დამატებითი მასალების წარმოსადგენად ვადა მომავალი წლის 10 იანვრამდე გაუგრძელა.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ ნათია თურნავამ განაცხადა, დღეს "საოკეანო სანაოსნოს" გასხვისებაზე გამოცხადებული ტენდერით გათვალისწინებული განაცხადების მიღების ვადა იწურებოდა. ამ დროისთვის სანაოსნოს პრივატიზებისადმი ინტერესი ოთხმა უცხოურმა კომპანიამ გამოხატა: Aquamarine Ltd-მ, Co-Arma Sheller-მა, Holdings Ltd-მ და Green-oak Group-მა რომელთაგან ყველაზე მაღალი ფასი - 107 მლნ აშშ დოლარი Green-oak Group-მა წარმოადგინა. Green-oak შპს "ნაფტრანსის" 82,8 პროცენტის მფლობელია, "ნაფტრანსი" კი ბათუმის ნავთობტერმინალის ერთპიროვნული მეპატრონეა. ამასთან, კომპანია "საოკეანო სანაოსნოს" 72 მლნ აშშ დოლარის ვალის გასტუმრებასაც კისრულობს.



ვახო ბასილაიას ფოტო

*ხელისუფლება სანაოსნოს ბედს 10 იანვარს გადაწყვეტს.*

შეგახსენებთ: "საოკეანო სანაოსნოს" ბალანსზეა 15 გემი, რომლებიც 98 მლნ აშშ დოლარად არის შეფასებული; 5,5 მლნ აშშ დოლარი ღირებულების, შპს "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის" ბარცხანის სარეზერვუარო პარკი, 1,5 მლნ-დოლარიანი შპს "ბათუმის ნავთობაზა" და 2 მლნ დოლარად ღირებული 52 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც Green-oak Group-ს გრძელვადიანი იჯარით აქვს აღებული.

**"ჩვენ მონაწილე კომპანიებს "საოკეანო სანაოსნოს" შესახებ დამატებითი ინფორმაციები წარვუდგინეთ. 10 იანვრამდე სანაოსნოს შესასყიდად კონკრეტული კომპანიებისგან კონკრეტული თანხების შემოთავაზებას ველოდებით,"** - განაცხადა თურნავამ.

მინისტრის პირველი მოადგილის თქმით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 10 იანვარს გადაწყვეტს, რა ფორმით განხორციელდება სანაოსნოს პრივატიზაცია - გამოცხადდება კონკურსი თუ პირდაპირი მიყიდვის წესით მოხდება მისი გასხვისება.

ასეთი პოზიცია საქართველოს ხელისუფლებამ მას შემდეგ დაიკავა, რაც სანაოსნოს ირგვლივ სერიოზული აჟიოტაჟი ატყდა და ოპოზიციამ მთავრობა ფარულ გარიგებებში დაადანაშაულა.

## საახალწლოდ გილაურს 24-საათიან ენერგომომარაგებას სთხოვენ

საქართველოს პარლამენტი დღეს სამთავრობო საათზე ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს მოუსმენს. როგორც პარლამენტარებმა ბიუროს სხდომაზე აღნიშნეს, საინტერესოა ენერგეტიკის მინისტრის პოზიცია წინასაახალწლო პერიოდში საქართველოს ენერგომომარაგებასთან დაკავშირებით.

პარლამენტარ გიორგი ხევიაშვილის მტკიცებით, მთავრობას საქართველოს 24-საათიანი ელექტრომომარაგება შეუძლია, თუმცა ამას არ აკეთებს.

**"დასაჭერია ყველა, თუ საქართველოს 24-საათიანი ელექტრომომარაგება მართლაც შესაძლებელია და ეს არ კეთდება,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ხევიაშვილის რეპლიკაზე.

გიორგი ხევიაშვილმა ასევე მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხიდან ენერგეტიკის მინისტრის კანდიდატურის ცალკე გამოყოფა და კენჭისყრაზე მისი ცალკე დაყენება მოითხოვა. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის მხრიდან მკაცრი პოზიციის დაფიქსირების შემდეგ, ხევიაშვილმა თავის განცხადებას "ხუმრობა" უწოდა.

პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე ნიკა გილაურს პარლამენტარი გიორგი ნაცვლიშვილი გამოესარჩლა. მისი განცხადებით, ენერგეტიკის მინისტრს ოცდაოთხსაათიანი მომარაგების უზრუნველყოფა არანაირად არ შეუძლია.

**"თუ ახალ წელს და მომდევნო 14 დღის განმავლობაში საქართველოს 24-საათიანი ელექტრომომარაგება ექნება, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ 15 იანვრიდან არც ერთ რაიონს და, მათ შორის - თბილისს, ელექტროენერგია არც ერთი წუთით აღარ მიეწოდება,"** - განაცხადა ნაცვლიშვილმა.

*24 საათი*

## "ჰოლანდიის ჯგუფის" წევრი ქვეყნების შეხვედრა საქართველოში

2005 წლის 11-12 ივნისს საქართველოში პირველად გაიმართება მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული "ჰოლანდიის ჯგუფის" წევრი ქვეყნების შეხვედრა.

როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ეს იქნება მსოფლიო ბანკთან და სსფ-სთან არსებული "ჰოლანდიის ჯგუფის" წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრთა და სახელმწიფო ბანკების მმართველთა სამუშაო შეხვედრა. საქართველოს, აგრეთვე, ეწვევა სსფ-ს მმართველი დირექტორი როდრიგო დე რატო.

თბილისში "ჰოლანდიის ჯგუფის" წევრი ქვეყნების შეხვედრის გამართვა 2004 წლის ოქტომბერში, ვაშინგტონში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელისა და სსფ-ს და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეხვედრაზე გადაწყდა.

როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ასეთი დონის შეხვედრა საქართველოში პირველად იმართება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები მხარს უჭერენ ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებულ სტრუქტურულ რეფორმებს და ეკონომიკურ პოლიტიკას.

თბილისში "ჰოლანდიის ჯგუფის" წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები განიხილავენ ამ ქვეყნებში არსებულ პრობლემატურ საკითხებს, შეაჯერებენ მოსაზრებებს და შეიმუშავებენ მოქმედების ერთიან სტრატეგიას სსფ-ს და მსოფლიო ბანკის ყოველწლიური შეხვედრისათვის.

"ჰოლანდიის ჯგუფში" 12 ქვეყანაა გაწევრიანებული: ჰოლანდია, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, საქართველო, ხორვატია, კვიპროსი, ისრაელი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, სომხეთი, მოლდოვა და მაკედონია. ანალოგიური შეხვედრები ყოველწლიურად სხვადასხვა სახელმწიფოში იმართება, 2004 წელს ის ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ქალაქ სარაევოში შედგა.

*24 საათი*

კომპანიებისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ!

საახალწლო საჩუქრები

Ritter SPORT
Confetteria Raffaello
FERRERO ROCHER

თუ გსურთ ღირსეული საახალწლო საჩუქარი გაუკეთოთ თქვენს კოლეგებს, მეგობრებსა და ახლობლებს, დაგვიკავშირდით და ჩვენ ადგილზე მოგაწვდით კომპანიების ფერერო (FERRERO) და რიტერ სპორტი (Ritter SPORT) უმაღლესი ხარისხის შოკოლადის პროდუქციას.

სადისტრიბუციო კომპანია "სიესტა"
ტელეფონი: ოფისი: 53 69 04
893 91 35 41
899 31 98 31
ფაქსი: 53 71 16
ელ-ფოსტა-nsimonova@siesta.ge

სერტიფიცირებულია

# ახალი ეპოქის დასაწყისი

*უკრაინის გაჭიანურებული "ნარინჯისფერი" ეპოპეა, როგორც იქნა, დასასრულს მიუახლოვდა. კვირას ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის განმეორებითი კენჭისყრის გამარჯვებული ცნობილია. სხვათა შორის, ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში, არჩევნების ხელახალი ტურის (რიგით მესამე) დანიშვნასთან ერთად, ნათელი გახდა, რომ იუშენკოს საბოლოო, მასთან ერთად კი უკრაინაში დემოკრატიის გამარჯვებამდე ბევრი არაფერი უკლდა. მაშ ასე, ოფიციალური მონაცემები ასეთია:* ***იუშენკო -*** *დაახლოებით* ***52 პროცენტი,*** *ხოლო* ***იანუკოვიჩი -*** *დაახლოებით* ***44 პროცენტი.*** *ასე რომ, უკრაინის ოპოზიციის ლიდერმა თითქმის 8 პროცენტიანი უპირატესობით გაიმარჯვა და მიუხედავად იანუკოვიჩის შტაბის გუშინდელი განცხადებებისა (რასაც ჟირინოვსკის მოწოდებაც ერთვოდა თან), რომ არ ეთანხმებიან კენჭისყრის შედეგებს, აშკარაა, ყველაფერი დასრულდა და წინააღმდეგობას აზრი აღარ აქვს. მომავალი წლიდან კი უკრაინაში ახალი ხანა ახალ პრეზიდენტთან ერთად დაიწყება. მაგრამ, ბუნებრივია, იუშენკოს პრეზიდენტად არჩევა დემოკრატიისა და უკრაინის ევროინტეგრაციის უპირობო გარანტი სულაც არ არის. აი, ახალი, ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლის დასაწყისად კი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს.*



*მომავალი წლიდან უკრაინაში ახალი ხანა ახალ პრეზიდენტთან ერთად დაიწყება.*

იუშენკოს გამარჯვება იმედის მომცემია, თუმცა რეფორმატორული ძალების ტრიუმფის მომენტშიც კი არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იუშენკოს პრეზიდენტად არჩევის ფაქტი ძირეულ გარდატეხას თავისთავად არ გულისხმობს. "ნარინჯისფერებმა" მხოლოდ შესაძლებლობა მიიღეს, ასეთი გარდატეხა უახლოესი თვეების (იქნებ წლებისაც?) განმავლობაში განახორციელონ. საინტერესოა, რა შანსები აქვთ მათ ამისთვის?

უახლოეს მომავალში იუშენკომ უნდა მიაღწიოს ურთიერთგაგებას სერიოზულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძალებთან და სახელისუფლებო სტრუქტურებთან. მისი საარჩევნო დანაპირების რეალიზაცია დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს იგი მეორე მხარესთან (პირობითად) შეთანხმებას - რუსეთთან, ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებთან და რუსულენოვან თანამოქალაქეებთან, ოლიგარქებთან და ძველი რეჟიმის წარმომადგენლებთან (ანუ კუჩმასა და მის გარემოცვასთან) და ა.შ.

ამავდროულად, მის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საკმაოდ ჭრელი და არაერთგვაროვანი ოპოზიციური სპექტრისგან ერთიანი და ქმედითი სახელისუფლებო გუნდის ჩამოყალიბება წარმოადგენს.

გარდა ამისა, რუსეთის ფაქტორი კვლავაც პირველ ადგილს დაიკავებს მისი მმართველობის დასაწყისში. ჯერ კიდევ უცნობია, რა სახის "ისტორიულ კომპრომისზე" მოუწევს უკრაინის ახალ ხელისუფლებას კრემლთან წასვლა, რათა ქვეყნის დეცენტრალიზაცია არ დაუშვას. მართალია, რამდენიმე დღის წინ იუშენკომ აღნიშნა, რომ რუსეთი კვლავაც სტრატეგიული პარტნიორი იქნება უკრაინისთვის და რომ იგი პირველ საპრეზიდენტო ვიზიტს რუსეთში განახორციელებს, მაგრამ ჯერჯერობით არ არის ნათელი თავად პუტინის პოზიცია, ანუ ის, თუ რა სახის თანამშრომლობას დასჯერდება იგი. მოკლედ, რუსი პოლიტოლოგის სერგეი კარაგანოვის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, იუშენკოს ხელისუფლებაში მოსვლა მოსკოვს "ოპტიმიზმის არცთუ ძლიერ საფუძველს აძლევს", მაგრამ "პანიკის საფუძველიც", ჯერჯერობით, არ ჩანს. "იქნება სირთულეები, შეიძლება ქვეყნებს შორის დაახლოების ნაცვლად პირუკუ პროცესებიც განვითარდეს, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი კატასტროფული სცენარების განვითარება არ არის მოსალოდნელი," - ამბობს კარაგანოვი.

ამასობაში გამოიკვეთა მოვლენათა განვითარების ორი ძირითადი სცენარი.

იუშენკო შეიძლება გახდეს წარმატებული რეფორმატორი - ეკონომიკური რეფორმების, დემოკრატიზაციის, სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლების გაძლიერებითა და კორუფციასთან ბრძოლით მას შეუძლია, პოსტსაბჭოთა სივრცეში ცვლილებების ეფექტური მოდელი შექმნას. პირველი წარმატება იქნება ხალხისთვის ხელისუფლების ნდობის დაბრუნება.

იმ შემთხვევაში კი, თუ იუშენკო არაფრისმომცემ კომპრომისებზე წავიდა, შეიძლება "ნარინჯისფერი" რევოლუცია კრახითაც დასრულდეს.

პოსტრევოლუციურ უკრაინაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს დასავლეთმაც. კერძოდ, ევროკავშირმა უკრაინის რეფორმების გზაზე დაყენებაში ასისტენტის ფუნქცია უნდა იტვირთოს. ამ ეტაპზე უკრაინამ დასავლეთისგან სამი რამ უნდა მიიღოს:

პირველ რიგში, ესაა - შესამჩნევი დახმარება. ამისთვის, თავდაპირველად, უკრაინის საერთაშორისო ვალდებულებების გადავადებაც საკმარისი იქნებოდა.

მეორე - უკრაინისთვის უნდა ჩამოყალიბდეს ევროსტრუქტურებში გაწევრიანების რეალური გეგმა. ყოველ შემთხვევაში, ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის რამდენიმეწლიანი გეგმა (4-5 წელი) მაინც უნდა ჩამოყალიბდეს.

და მესამე, ევროკავშირსა და უკრაინას შორის თანამშრომლობა ორიენტირებული უნდა იყოს განხორციელებული რეფორმების შედეგებზე. თუ კიევმა რეალური რეფორმები და არა მარტო ზედაპირული ცვლილებები განახორციელა, ევროკავშირმა ფართოდ უნდა გაუღოს მას კარი, - წერდა გუშინ გერმანული "დერ ტაგეშპიგელი".

# ათი შესაძლო სიურპრიზი 2005 წლისთვის

მარტინ ჰიუფნერი
"გლობალისტ" (აშშ)

2005 წლის ეკონომიკური პროგნოზები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავს. მსოფლიოში კვლავინდებურად იქნება ეკონომიკური ზრდა, თუმცა მისი ტემპები რამდენადმე შენელდება. ფასები უმნიშვნელოდ გაიზრდება. საპროცენტო განაკვეთი დაბალ ნიშნულზე დარჩება, მაგრამ მომავალი წლის ბოლოსთვის აიწევს. დოლარი კვლავაც განაგრძობს შესუსტებას. ეს ყველაფერი საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს. თუმცა, ყოველთვის სრულიად მოულოდნელად ხდება ხოლმე. რა სიურპრიზი შეიძლება მოგვიტანოს 2005 წელმა? ქვემოთ მოყვანილ მოვლენებს ერთმანეთთან ძალიან მცირე (თუ საერთოდ რაიმეგვარი) კავშირი აქვს. ზოგიერთი მათგანი პოზიტიურია, ზოგი - ნეგატიური და სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთ რამეს მართლაც ექნება ადგილი. პირიქით, შესაძლოა, ასეთი რამ არც არასოდეს მოხდეს. უბრალოდ, გამოთქმულია ჰიპოტეტური მოსაზრებები, თუ რა ძირეული ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს რაიმე კონკრეტულ მოვლენას.

***სიურპრიზი №1: ერაყში სამოქალაქო ომი დასრულდება***

ქვეყანაში მშვიდობა დაისადგურებს. ერაყის აღდგენა მძლავრ იმპულსს შექმნის ეკონომიკური განვითარებისათვის მთელს მსოფლიოში. ერაყი კვლავ გადაიქცევა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყნად. მისი პოლიტიკა მთელს რეგიონში მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს (მათ შორის, ისრაელსა და პალესტინას შორის). ამერიკის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი გადადგება, ხოლო პრეზიდენტი ბუში შიდაპოლიტიკურ საკითხებს მეტ ყურადღებას დაუთმობს.

***სიურპრიზი №2: ჩინეთში ეკონომიკური ზრდის ტემპები მკვეთრად შემცირდება - 9-დან 2 პროცენტამდე.***

ქვეყნის სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ სულ უფრო გაამწვავა მისი სტრუქტურული დისბალანსი. ჩინეთი ფოლადისა და ენერგომატარებლების დეფიციტს განიცდის. სხვა დარგებში, მაგალითად, საცხოვრებელ და სამრეწველო მშენებლობაში, წინა წლებში განხორციელებული გიგანტური ინვესტიციების გამო წამგებიანი სიმძლავრეები იქმნება. ზრდის ფარგლებს მიღმა ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი რჩება; მისი მოსახლეობა სიღატაკის წინააღმდეგ ჯანყდება. ხელისუფლება იძულებულია, სოფლის მცხოვრებთა მხარდამჭერი მასშტაბური პროგრამები დანერგოს, რაც ხელს შეუწყობს ინფლაციას. ჩინური ფულადი ერთეულის (იუანის) გამყარების ნაცვლად, ხდება მისი დევალვაცია.

***სიურპრიზი №3: რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ავად გახდება და თანამდებობიდან გადადგომა მოუწევს.***

იწყება არეულობა ქუჩებში და მისი მემკვიდრის კანდიდატურისთვის მწვავე პოლიტიკური ბრძოლა გაჩაღდება. მთელი ამ ქაოსის ფონზე, "იუკოსის" ყოფილი ხელმძღვანელი მიხაილ ხოდორკოვსკი ციხიდან გამოდის, ცდილობს თავისი ნავთობიმპერიის აღორძინებას და უერთდება საპრეზიდენტო მარათონს - მის წინასაარჩევნო კამპანიას უკრაინული "ფორთოხლის რევოლუცია" შთააგონებს.

***სიურპრიზი №4: ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსი თავისთავად დაიშლება.***

აშშ და ევროკავშირი დაასკვნის, რომ მათ ინტერესებს უფრო ცალ-ცალკე შეიარაღებული ძალების ყოფნა მიესადაგება. ევროპაში შეიქმნება ახალი კონტინენტალური არმია, რომელიც ევროკავშირის წევრი-ქვეყნების შეიარაღებული ძალებისგან შედგება.

***სიურპრიზი №5: ევროპის კონსტიტუცია ძალაში შევა.***

ევროკავშირის პირველ პრეზიდენტად დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრს, ტონი ბლერს აირჩევენ. ეს ევროპის კონტინენტის განვითარებას ახალ იმპულსს შესძენს. ლისაბონის პროცესი - მოწოდებული ათწლეულის ბოლოს ევროკავშირის ეკონომიკის მსოფლიოში ყველაზე მაღალტექნოლოგიურ და კონკურენტუნარიანად გადაქცევისკენ - პრიორიტეტულ მნიშვნელობას შეიძენს. მიზნად დასახავენ, რომ 2006 წლისთვის გაუსწრონ აშშ-ს, ეკონომიკური ზრდის ტემპებით. გაერო-ს უშიშროების საბჭოში ის ადგილები, რომლებიც საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს ეკუთვნოდა, ევროკავშირთან გადავა. გერმანია გამოითხოვს თავის განაცხადს, რომელიც უშიშროების საბჭოში მუდმივ წევრობას უკავშირდებოდა.

***სიურპრიზი №6: ნავთობის ფასი ერთ ბარელზე 25 დოლარამდე დაეცემა.***

ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო - მანამდე წამგებიანი - მუშაობას დაიწყებს. მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების გამო, მიწოდების ზრდას მოთხოვნის შემცირება მოჰყვება. წამყვანი სამრეწველო სახელმწიფოები სტრატეგიულ მარაგს გაზრდიან, ნავთობზე ფასის მკვეთრი დაცემის თავიდან ასაცილებლად. ახალი ნახშირის ელექტროსადგურებისა და ატომური ელექტროსადგურების ხელახალი ამუშავების გეგმები "საქაღალდეში" ჩაიდება.

***სიურპრიზი №7: ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონგრესის ინიციატივით, კონსტიტუციაში შესწორებას მიიღებენ, რომელიც ფედერალურ ხელისუფლებას აუკრძალავს დეფიციტური ბიუჯეტით მართვას.***

ანტიკრიზისული პოლიტიკის გატარებაზე მთელი პასუხისმგებლობა ფედერალური რეზერვების სისტემას დაეკისრება. შეიცვლება ფედერალური რეზერვების სისტემის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის ვადაც (ეს შესწორება მიღებისთანავე შევა ძალაში): თანამდებობა სამუდამო გახდება, უზენაესი სასამართლოს წევრობის მსგავსად. ალან გრინსპენი, რომელმაც 2006 წლის დასაწყისისთვის უნდა დატოვოს ფედერალური რეზერვების სისტემის თავმჯდომარის თანამდებობა, ბოლომდე დარჩება თავის პოსტზე.

***სიურპრიზი №8: გერმანიაში - ევროპის ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ ქვეყანაში (თუმცა, აქვე აღინიშნება, ნაწილობრივ, ყველაზე მდორე ეკონომიკური ზრდა ევროპაში) ფედერალურ ხელისუფლებასა და მიწების მთავრობებს შორის უფლებამოსილებათა ხელახალი გადანაწილება მოხდება, შემოიღებენ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას.***

შედეგად, ბოლო მოეღება კოალიციური მთავრობების ეპოქას და ხელისუფლება პოლიტიკური რეფორმების გასატარებლად მეტ შესაძლებლობას მიიღებს. საპენსიო ასაკი 70 წლამდე გაიზრდება. ჯანდაცვის სისტემა რადიკალურ რეფორმირებას დაექვემდებარება - დაბეგვრა მკვეთრად შემცირდება. ევროკავშირის ფარგლებში გერმანია გადავა დაბეგვრის დაბალი დონის მქონე ქვეყანათა კატეგორიაში. საზღვარგარეთ გატანილი კაპიტალი გერმანიაში დაბრუნდება. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ევროკავშირის წევრი-ქვეყნები მოითხოვენ, რომ გერმანიამ გადასახადები გაზარდოს.

***სიურპრიზი №9: სავალუტო ბაზრები ევროსადმი ნდობას დაკარგავენ.***

2005 წლის დასასრულს ევრო 1,04 დოლარის ეკვივალენტი იქნება. ასეთ პირობებში, აშშ-ს საგადასახადო ბალანსის დეფიციტის უკიდურესი გაზრდის აღკვეთის მცდელობით, პრეზიდენტი ბუში ევროპულ საქონელზე ამკრძალავ ტარიფებს შემოიღებს. ამერიკულ ავიაკომპანიებს კონცერნ "ეარბასისგან" თვითმფრინავების ყიდვა აეკრძალებათ.

***სიურპრიზი №10: მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ტრანსნაციონალური აშშ-ში ბაზირებული სამრეწველო-ფინანსური კორპორაცია გაკოტრდება.***

შედეგი: ბაზრები ეკონომიკის განვითარების დადებითი ტენდენციების სიმტკიცის შესახებ თავდაჯერებას დაკარგავს. საფონდო ბირჟები დეზორიენტირებული გახდება, აქციების ფასი მკვეთრად დაეცემა. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ღირებულება მთელ მსოფლიოში დაიწყებს შემცირებას. ფედერალური რეზერვების სისტემა საპროცენტო განაკვეთებს შეამცირებს. გაიზრდება უმუშევრობის დონე.

***მოამზადა
კოტე ელიზბარაშვილმა***

## სულის რეაბილიტაცია

*"ჩემი ლექსები ჩემი ტკივილი, ჩემი სიწმინდე და ჩემი სიხარულია, რომელიც მინდა, თქვენც გაგიზიაროთ", - ეს სიტყვები ფსიქიატრიული საავადმყოფოს რეაბილიტაციის ცენტრის პაციენტმა გუშინ კავკასიურ სახლში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე თქვა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნინო ბერელიძე

არასამთავრობო ორგანიზაციის, "კავშირი - თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის", ინიციატივით, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის იმ პაციენტებისათვის, რომლებიც ლექსებს წერენ, საკუთარი სულის პოეზიას ქმნიან, კავკასიურ სახლში ლიტერატურული საღამო გაიმართა. ამ ადამიანების დიდი სურვილი ის არის, რომ საზოგადოებამ მოუსმინოს, რადგან მათთვის სულიერი რეაბილიტაცია, საზოგადოების გაგების და ყურადღების გარეშე, წარმოუდგენელია. საღამოს ახალგაზრდა პოეტებიც დაესწრნენ. **"ამ ლექსების მოსმენის შემდეგ გიჩნდება კითხვა: ჩვენ ვართ ჭკვიანები, ესენი კი?.. მათში იმდენი სიწმინდე, იმდენი სიყვარული და იმდენი გულწრფელობაა, მსგავსი რამ ცხოვრებაში არასოდეს გვექნება",** - აღნიშნა პოეტმა გორგი ბუნდოვანმა.

**"ექვსი წელია, პერიოდულად დავდივარ სარეაბილიტაციო ცენტრში. ექიმებს მიაჩნიათ, რომ ჩემი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მოჭარბებული მუზების ბრალია. მე კი მაინც მგონია, რომ ეს სიჭაბუკის ცოდვაა - როდესაც ჰაშიშს აქტიურად ვეწეოდი,** - გვიამბობს ცენტრის პაციენტი ზაზა ბაბაკაშვილი, - **ცხრამეტ წლამდე ლექსების გაგონებაც არ მინდოდა. ერთ დღეს ჩემი უახლოესი მეგობრის კახა შარაბიძის ლექსებს ვარჩევდი ლიტერატურულად. კახა 22 წლის ასაკში მოკლეს. უცებ, თითქოს, რაღაც დამეტაკა - ვიგრძენი, რომ ლექსები უნდა მეწერა. რაკი ერთხელ დავიწყე, აღარ გავჩერებულვარ. თავიდან სატრფიალო, ლირიკულ ლექსებს ვწერდი, მერე კი რელიგიამ გამიტაცა... ჩემი აზრით, ყველა პოეტი სიკეთისა და ბოროტების მუდმივ ჭიდილზე უნდა ფიქრობდეს. ამჟამად ახალ თემას ვეძებ. ძალიან მიყვარს ქართული მითოლოგია ქალღმერთ დალის, ნანასა და სხვა პერსონაჟებს სიამოვნებით ვიყენებ ქალის სახეებად. უზომოდ მაინტერესებს ინდური ფილოსოფია და ვეცნობი ყველა ვედას; შივას, ბუდას და კრიშნას. ჩემი უსაყვარლესი პოეტი ტერენტი გრანელია".**

ლიტერატურული საღამოს ორგანიზატორებისათვის მისი მომზადება და მოწყობა ადვილი არ ყოფილა. ამ დღისათვის ერთი თვის განმავლობაში ემზადებოდნენ. საღამოს იდეის ავტორი კახა ბოხუა მიიჩნევს, რომ ამ დღეს მხოლოდ ლიტერატურული მისია არ აკისრია. **"ეს ფაქტი, თავისთავად, მათთვის დახმარებაცაა სულიერი რეაბილიტაციისთვის,** - ამბობს იგი, - **მსგავსი აქცია - "გავალამაზოთ მზიურ-ქალაქი", ერთი თვის წინათ ჩავატარეთ. აკადემიის სტუდენტებთან ერთად რამდენიმე პაციენტმაც მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ წარმატებულად. მსგავსი აქციები ამ ადამიანების სულიერი განწყობის ამაღლებას შეუწყობს ხელს - თავი გარიყულად რომ არ იგრძნონ".**

## არეულობა თბილისის მეოთხე სამშობიარო სახლში

თამარ დვალი

*გუშინ თბილისის ქორიძის სახელობის მეოთხე სამშობიარო სახლში მეან-გინეკოლოგებმა და ნეონატოლოგებმა შიმშილობა დაიწყეს. ისინი მთავარი ექიმის დალი გაბიძაშვილის გადადგომას მოითხოვენ. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მედპერსონალი სამკურნალო პროცესის ჩაშლას გეგმავს. გაბიძაშვილი გადადგომას არ აპირებს და კოლეგების მოთხოვნას უსუსურსა და არაარგუმენტირებულ ბრალდებებს უწოდებს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მეოთხე სამშობიარო სახლის მოშიმშილე მედპერსონალი პოზიციების დათმობას არ აპირებს.*

უკვე თვეზე მეტია, რაც თბილისის მეოთხე სამშობიარო სახლში დაძაბული სიტუაციაა. კოლექტივის მოთხოვნით, მერიის ქონების მართვის სამსახურმა ერთი თვის წინათ სპეციალური კომისია შექმნა და მას ვითარების გარკვევა დაავალა. როგორც მოშიმშილეები აცხადებენ, ამის ნაცვლად, კომისია მომრიგებლის ფუნქციას ითავსებს. კოლექტივს ხელმძღვანელის მიმართ ბევრი პრეტენზია აქვს, თუმცა ძირითადი ბრალდებები ასეთია: დიქტატორული მართვის პრინციპები, ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვა, შრომის კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების დარღვევა.

**"მთავარი ექიმი გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად, საბჭოსა და განყოფილების გამგეებთან შეუთანხმებლად იღებს. მან, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, სამი თვით დაითხოვა თანამშრომლები სამსახურიდან. უკვე ოთხი წელიწადია, რაც დალი გაბიძაშვილი კონფერენციებს ექიმებისა და ექთნების ლანძღვითა და დამცირებით იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი თანხა იხარჯებოდა შენობის გაუთავებელ რემონტში, არ გამოიძებნა სახსრები, რომ ტექნიკური აღჭურვილობა განახლებულიყო და შევსებულიყო. მისი დირექტორობის პერიოდში შეძენილია ყოვლად უვარგისი ავტომობილები საკმაოდ სოლიდურ თანხად - თითო 3500 ლარად,"** - აცხადებენ მოშიმშილეები. მათივე თქმით, ექიმთა და დანარჩენი მედპერსონალის უფლებები ისეა შეზღუდული, რომ მათ კომპიუტერულ ცენტრში მისვლა და ხელფასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გარკვევა ეკრძალებათ.

კონფლიქტის ძირითადი მიზეზი, რამაც მედპერსონალის აღშფოთება და დირექტორისადმი უნდობლობის გამოცხადება გამოიწვია, ქალბატონი დალის მხრიდან სრულიად დაუმსახურებელი და გაუთავებელი ლანძღვა, დამცირება, დაშინება და სამსახურიდან დათხოვნის მუქარაა.

**"არსებული კონფლიქტის პირობებში დალი გაბიძაშვილი კვლავ აგრძელებს თანამშრომელთა დაშინების პოლიტიკას, რაც გამოიხატება კონფერენციებზე და ოპოზიციურ კრებებზე წამოჭრილ უთანხმოებათა ჩახშობის მცდელობებით; მათ შორის, "ხელკეტიანი" დაცვის თანამშრომელთა გამოძახებით და ოპოზიციურად განწყობილი თანამშრომლებისათვის სასტიკი საყვედურების გამოცხადებით, რასაც აუცილებლად მოჰყვება მათი სამსახურიდან გათავისუფლება",** - აღნიშნეს "24 საათთან" საუბრისას მოშიმშილეებმა.

დალი გაბიძაშვილი მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია გარედან არის მართული და იგი რამდენიმე ამბიციური ადამიანის მიერ პროვოცირებული სცენარით ვითარდება.

**"ეს არის რამდენიმე ადამიანის ამბიცია, რომელიც პროვოცირებულია გარედან. მოშიმშილეებიდან რამდენიმეს დირექტორის სავარძელი სურს და ამისთვის იბრძვის. თვენახევარი კი არა, სამი კვირაა, რაც სამშობიაროში ასეთი დაძაბული სიტუაციაა, რაც ძალიან მოულოდნელია ჩემთვის. ამ ხალხის ბრალდებები უსუსური და არაარგუმენტირებულია. დირექტორის თანამდებობაზე 2001 წლიდან ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში 72 პროცენტით გაიზრდა მშობიარეების რიცხვი, რაც მხოლოდ წარმატებებზე მიუთითებს. მე დანიშნული ვარ მერიის მიერ და თუ ზემდგომი ორგანოები გადაწყვეტენ, რომ მე არ შევეფერები ამ თანამდებობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავდგები, ამათი მოთხოვნით კი - არა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მეოთხე სამშობიარო სახლის მთავარმა დირექტორმა დალი გაბიძაშვილმა.

თუკი თბილისის მერია და ჯანდაცვის სამინისტრო, რომელთა დაქვემდებარებაშიც ეს სამშობიარო სახლია, მოშიმშილეების მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, მედპერსონალი პაციენტების მიღებას შეწყვეტს. გუშინ მათ მოსანახულებლად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ჯუღელი მივიდა და შიმშილობის გადადება ითხოვა, რაზეც უარი მიიღო. მოშიმშილეები დღეს ქალაქის მერს ელოდებიან.

## რატომ დაიჭირეს მიშა სალაძის ვაჟი?

გუშინ ცნობილი გახდა, რომ წლების განმავლობაში თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის, ბოლოს კი მეტროპოლიტენის პოლიციის უფროსის მიხეილ სალაძის ვაჟი გიორგი სალაძე სამართალდამცველებმა დააკავეს. თუმცა, გიორგი სალაძის დაკავების ფაქტი მხოლოდ მას შემდეგ გახმაურდა, რაც მას ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ, ამავე რაიონის პროკურატურის მოთხოვნით, წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა და ის ორთაჭალის საპყრობილეში გადაიყვანეს.

გიორგი სალაძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის დეტალებზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, არ საუბრობენ არც პოლიციაში და არც პროკურატურაში.

რაც ამ ეტაპზე ჩვენთვის ცნობილი გახდა, გახლავთ ის, რომ 22 დეკემბერს მოსაშვილის ქუჩაზე ჩატარებული ოპერაციისას გიორგი სალაძესთან ერთად დააკავეს მისი მეგობარი დავით იანქიშვილი, რომელიც ასევე ორთაჭალის საპყრობილეში იმყოფება. ადამიანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და ფულის გამოძალვა - ეს ის მუხლებია, რომლებიც დაკავებულებს წარუდგინეს.

ვის სძალავდნენ ფულს გიორგი სალაძე და დავით იანქიშვილი, ჯერჯერობით არ ხმაურდება. როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში განგვიმარტეს, დაზარალებულმა ორ ახლობელთან მოახერხა დაკავშირება, რის შემდეგაც საქმეში სამართალდამცველები ჩაერთვნენ. პროკურატურისვე ინფორმაციით, გიორგი სალაძე და დავით იანქიშვილი, ოპერატიულად, დანაშაულის ფაქტზე არიან დაკავებულ-დაპატიმრებული.

*24 საათი*

სამართალი

## ქართულ-აფხაზური კრიმინალური დაჯგუფებები კვლავ აქტიურობენ

ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩის მოსახლეობა უსაფრთხოების მიზნით ქვეყნის ხელისუფლებას სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართველ ძალოვანთა კონტინგენტის გაზრდას სთხოვს. საქმე ისაა, რომ ზუგდიდის რაიონის სხვა სოფლებისგან განსხვავებით, სოფელი ხურჩა მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, გალის რაიონის სოფლების მეზობლად მდებარეობს და იქ, ისევე, როგორც გალის რაიონის ქართულ სოფლებში, აფხაზი სეპარატისტები თითქმის ყოველდღიურად, დაუბრკოლებლად დათარეშობენ და ქართველებს ეგზეკუციებს უწყობენ.

ორი დღის წინ, გამთენიისას, სოფელ ხურჩაში, შეიარაღებულმა ნიღბიანებმა ერთდროულად სამი ოჯახი დააყაჩაღეს. სანდრო და გოგი გელენავების და სერგო გონჯუას ოჯახებში შეჭრილი ნიღბიანი თავდამსხმელები ოჯახის წევრებს სასტიკად გაუსწორდნენ. უმოწყალოდ სცემეს ქალებს და ბავშვებსაც. ოჯახებიდან ზამთრის სარჩო-სანოვაგე, თხილი, საყოფაცხოვრებო ნივთები გაიტაცეს და გაუჩინარდნენ.

სოფელ ხურჩის მოსახლეობა აცხადებს, რომ შეიარაღებული ყაჩაღები გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მხრიდან გადმოვიდნენ, რომელიც ხურჩას ესაზღვრება და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარეობს. დაზარალებულთა განმარტებებით, ბოლო დროს მსგავსი შემთხვევები თითქმის ყოველდღე ხდება, უბრალოდ, მომხდარი იშვიათად ხმაურდება. რაც შეეხება გუშინწინ მომხდარ თავდასხმას, როგორც დაკითხულები აცხადებენ, ნიღბიანი ყაჩაღებიდან რამდენიმე მათგანი მეგრულად საუბრობდა, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ სეპარატისტების ყაჩაღურ დაჯგუფებებში ქართველები კვლავ ბლომად არიან.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ორი კვირის წინ, აფხაზი კრიმინალების მიერ გალის რაიონის სოფელ ლეკუხონადან გატაცებული 20 წლის მამუკა გოგოხია ოჯახს მძევლის გამოსასყიდი თანხის გადახდის შემდეგ დაუბრუნდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გამოსასყიდის სახით გოგოხიას ოჯახმა 20 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა. გამტაცებლები მძევლის სანაცვლოდ თავდაპირველად გაცილებით მეტ თანხას ითხოვდნენ, თუმცა მოგვიანებით 20 ათასს დასჯერდნენ. როგორც გაირკვა, გატაცებული მამუკა გოგოხია ორი კვირის მანძილზე გალში, აფხაზი კრიმინალის ბუთბას ბანაკში ჰყავდათ დატყვევებული. ქართული სპეცსამსახურები არ ადასტურებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბუთბას კრიმინალურ დაჯგუფებას გატაცებულის ოჯახმა გამოსასყიდი გადაუხადა. თუმცა, იმას აღიარებენ, რომ გამტაცებლებთან მოლაპარაკებებს გოგოხიას ოჯახის წევრები აწარმოებდნენ.

*24 საათი*

ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ ხობის რაიონის სოფელ სადიჯაოში ადგილობრივი მკვიდრი რომული კვარაცხელია დააკავეს. ჩხრეკისას კვარაცხელიას საცხოვრებელ სახლში დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა მარკის ავტომანქანების ნაწილები აღმოაჩინეს. როგორც რომული კვარაცხელია აცხადებს, იარაღის ნაწილი მას მეგობრებმა აჩუქეს, ხოლო მანქანების ნაწილებს წლების განმავლობაში ყიდულობდა. იგი თავს უდანაშაულოდ თვლის. პოლიციის ინფორმაციით, რომული კვარაცხელია ეჭვმიტანილია რამდენიმე ყაჩაღურ თავდასხმაში სხვა თანამზრახველებთან ერთად, რომელთა ვინაობაც დგინდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილეში ნარკოტიკული ნივთიერების შეტანის მცდელობის ფაქტი აღკვეთეს. კერძოდ, დააკავეს 31 წლის დავით მ-შვილი, რომელიც საპატიმროში 0,04 გრ. "ჰეროინის" შეტანას ცდილობდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ნარკოტიკული ნივთიერება ბალიშში იყო მოთავსებული, რომელიც დავით მ-შვილმა საპყრობილეში პატიმარ ზვიად გოგატიშვილთან მიიტანა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელთა აღსრულების დეპრატამენტის თბილისის N1 საპყრობილეში პატიმრებს აივ-ინფექციაზე (შიდსზე) იკვლევენ. იმუნოდეფიციტის ვირუსზე გამოკვლევას იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისა და "შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის" თანამშრომლები ერთობლივად ატარებენ. კვლევა დაიწყო, იგი ნებაყოფლობითია და ანალიზის პასუხები სავარაუდოდ ერთ კვირაში გახდება ცნობილი. იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისა და "შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის" თანამშრომლები პატიმრების იმუნოდეფიციტზე გამოკვლევის პროგრამას 2002 წლიდან ახორციელებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** საფინანსო პოლიციის თანამშრომლებმა 40 ყუთი უაქციზო სიგარეტით დატვირთული "ფორდის" მარკის მისაბმელიანი მიკროავტობუსი დააკავეს, რომელიც აფხაზეთის გალის რაიონიდან ზუგდიდის რაიონის მიმართულებით მოძრაობდა. ტვირთის მფლობელმა მიმალვა მოახერხა, ხოლო 40 ყუთი სხვადასხვა დასახელების სიგარეტი სამტრედიის ტერმინალში გადაიგზავნება. საფინანსო პოლიციის თანამშრომლებმა მიკროავტობუსი სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, მდინარე ენგურის გადმოკვეთისთანვე დააკავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** 27 დეკემბრიდან ზუგდიდში მუშაობა დაიწყო საპატრულო პოლიციამ. მისმა 50-მდე თანამშრომელმა მომზადების კურსი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში გაიარა. მათვე ტრენინგებს ჩაუტარებენ გაერო-ს სამხედრო ინსტრუქტორებიც. ცნობისთვის: საპატრულო პოლიცია მუშაობას შეუდგა ქუთაისშიც. საპატრულო პოლიცია ახალ წლამდე რეგიონების სხვა ქალაქებშიც ამოქმედდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინწინ ქუთაისში პოლიციის ავტომანქანის გატაცება სცადა ორმა მოზარდმა. ერთი მძარცველი თავად ავტომანქანის მფლობელმა დააკავა, ხოლო მეორე ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციამ. ეჭვმიტანილები გადაყვანილი არიან ქუთაისის პოლიციის განყოფილებაში. საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **მედია-ნიუსი**

## ტრაგიკული შემთხვევა შინაგან ჯარში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. პირველი ოპერატიული ბრიგადის ტერიტორიაზე 19 წლის ახალწვეული ზაურ გაბაძე მოკლეს. მკვლელი დაკავებულია და მომხდართან დაკავშირებით პროკურატურას ჩვენებებს აძლევს.

პროკურატურის ინფორმაციით, ზაურ გაბაძეს გუშაგმა მას შემდეგ ესროლა, რაც იგი აკრძალულ დამცავ ზონას მიუახლოვდა და გამაფრთხილებელ გასროლას არ დაემორჩილა. შინაგანი ჯარების სარდალი გოგი თათუხაშვილი მომხდარს უბედურ შემთხვევას უწოდებს და აცხადებს, რომ მისი ინფორმაციით, გუშაგი წესდების შესაბამისად მოქმედებდა.

ამასთან, სარდლის თქმით, აღნიშნულ ინციდენტს მუხროვანის ბრიგადის ჯარისკაცთა რამდენიმე დღის წინანდელ საპროტესტო აქციასთან არანაირი კავშირი არ აქვს - გარდაცვლილი გაბაძე მუხროვანის ბრიგადიდან გამოქცეულ ჯარისკაცთა შორის არ ყოფილა. იგი მიმდინარე წლის მაისიდან პირველ ბრიგადაში მსახურობდა.

მკვლელობა შაბათს გამთენიისას მოხდა, თუმცა შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობა ამ ფაქტის დამალვას ცდილობდა. დაჭრილი გაბაძე შაბათს თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა, თუმცა მაშინ ჯარისკაცის ვინაობა "ინტერ-პრესის" კორესპონდენტს არ გაუმხილეს.

*ინტერ-პრესი*

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

**ანკეტა**

სახელი, გვარი ..............................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..............................

საკონტაქტო ტელეფონი ..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] გაზეთ "24 საათის" [illegible]
11. [illegible] 77 [illegible] "გაპის" [illegible]

"24 საათის" [illegible]

"კავკასიონი" 17 იანვარი, 1994 წელი

# "საუკუნის აფიორა"

თენგიზ სიგუა

აუცილებლად გამოძიებული უნდა იქნეს საყოველთაოდ გახმაურებული ისტორია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გაცემული 102 მილიარდ 700 მილიონი კრედიტის გაცემის თაობაზე. მოკლედ შეგახსენებთ ამ კრედიტის გაცემის ისტორიას. 1993 წლის მარტის პირველ ნახევარში საქართველოს პოლიციამ მიიღო შეტყობინება მოსკოვის მილიციის სისხლის სამართლის სამძებროს ხელმძღვანელობისაგან იმის თაობაზე, რომ რუსეთის ცენტრალურ ბანკთან დაფიქსირებულია ორი აფერისტი (სათვალეებიანი ჰომოსექსუალისტი და მეძავი ქალი), რომელთაც ხელზე აქვთ საქართველოს ეროვნული ბანკის ყალბი საგადასახადო დავალება (ე.წ. ავიზო) 100 მილიარდ მანეთზე. ყურადღება მიაქციეთ, მოსკოვის მილიციასაც იმდენად დაუჯერებლად მიაჩნია საქართველოს ეროვნული ბანკის აღნიშნული ქმედება, რომ ავიზო ყალბად ჩათვალეს. მოსკოვის მილიცია აგრეთვე იტყობინებოდა, რომ ზემოაღნიშნული აფერისტები მათი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან და სთავაზობდა საქართველოს პოლიციას ერთობლივ მოქმედებას მათი დაკავების მიზნით. ამ შეტყობინების წყალობით გახდა ჩვენთვის ცნობილი ამ უპრეცედენტო საგადასახადო დავალების გაცემის ფაქტი. ამ საქმის შემდგომმა შესწავლამ გამოააშკარავა შემდეგი: 1993 წლის 2 მარტს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დ. დვალიშვილის სახელზე საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მრავალდარგოვანი ფირმის "თრიალეთის" პრეზიდენტის გ. ბესელაშვილის ხელმოწერით შედის თხოვნა 102 მილიარდ 700 მილიონი მანეთის კრედიტის გამოყოფის თაობაზე, ვითომდა მისი რუსეთის ფედერაციაში გადარიცხვისა და შემდგომში მყარ ვალუტაზე კონვერტირების მიზნით. იმავე დღეს, ე.ი. 2 მარტს დ. დვალიშვილი იძლევა განკარგულებას აღნიშნული თანხის გამოყოფის თაობაზე და წერილობით დავალებას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო-კომერციული "აგროსამრეწველო" ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ვ. შარიქაძეს. იმავე დღეს, 2 მარტს, საქართველოს ეროვნული ბანკის წერილის (№18022, 2 მარტი, 1993 წ.) საფუძველზე "აგრომრეწვბანკ"-მა გასცა საგადასახადო დავალება 102.7 მილიარდი მანეთის ოდენობით. იმავე დღეს, 2 მარტს მწვანეთა მოძრაობის მრავალდარგოვანი ფირმა "თრიალეთი" (კრედიტის მიმღები) გადასცემს მიღებულ კრედიტს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "ომეგას" ფილიალს "დელტას", მაგრამ არა სრულ თანხას, არამედ 102 მილიარდს. მიაქციეთ ყურადღება: 700 მილიონი მანეთი რამდენიმე წუთში "აორთქლდა". უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მიითვისა შუამავალმა ფირმა "თრიალეთმა", ან უარესი... დაიტოვა ეროვნულმა ბანკმა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს დ. დვალიშვილს მიეცა მითითება ამ ავიზოს დაუყოვნებლივ უკან გამოძახების თაობაზე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კრედიტი გაცემული იყო 20 დღით, ავიზოს უკან დაბრუნებას თვენახევარი დასჭირდა. ალბათ, მოსკოველი აფერისტები ძნელად თუ შეელეოდნენ ბრიყვი ქართველების ხარჯზე ზღაპრულად გამდიდრების იდეას და აჭიანურებდნენ ავიზოს დაბრუნებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს უზარმაზარი კრედიტი გაცემული იყო საპროცენტო განაკვეთების გარეშე (ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 40 პროცენტს წლიურად, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სამანეთო ზონის სხვა რესპუბლიკების საპროცენტო განაკვეთს და ინფლაციის ტემპს). ამდენად, კრედიტი რომ თუნდაც იმ მინიმალური წლიური 40 პროცენტის განაკვეთით გაცემულიყო, კლიენტს თვენახევრის შემდეგ უნდა დაებრუნებინა 102,7 მილიარდი მანეთი პლუს 5,1 მილიარდი საპროცენტო განაკვეთი, რაც ბანკის მოგებას წარმოადგენს. ამ მოგებიდან 45 პროცენტი, ე.ი. 2,3 მილიარდი მანეთი ბანკს სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადაერიცხა, ე.ი. ბიუჯეტმა შემოსავალ ნაწილში დაკარგა ეს თანხა.

მაგრამ, ეს ყველაფერი იჩრდილება იმ მოსალოდნელ საფინანსო-ეკონომიკურ კატასტროფასთან შედარებით, რაც ამ აფიორის (საქართველოს მასშტაბებიდან გამომდინარე, მას "საუკუნის აფიორა" შეიძლება, ეწოდოს) განხორციელებას შეიძლება, მოჰყოლოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ 1992 წ. ოქტომბრიდან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები შეწყდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა რესპუბლიკებში თანხები, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, არ გადაირიცხებოდა. 1993 წლის თებერვლის დასაწყისში ქ. ტიუმენში შევხვდი რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ გ. ხიჟას, რომელმაც გამაფრთხილა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ პოლიტიკას (ყოვლად გაუმართლებელი გადარიცხვები ე.წ. ვითომური ანაბრების შექმნის გზით) რუსეთის საბანკო წრეებში აფასებენ როგორც ფინანსურ დივერსიას და მკაცრად დასჯიან მას ასეთი ქმედებებისათვის. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ასეთი ავიზო შეგნებულად იქნებოდა გატარებული ანგარიშსწორების ცენტრში, შემდეგ მას "გადაუძახებდნენ" რუსეთის რომელიმე კერძო სტრუქტურის ანგარიშზე, საქართველო ამ თანხას ვეღარ დაიბრუნებდა, ხოლო გატარების მომენტიდან ეს თანხა ჩვენს სახელმწიფოს ვალად დაედებოდა. იმ დროისათვის წინასწარი გაანგარიშებებით საქართველოს რუსეთის ვალი ჰქონდა (1961-1992 წლები) 39 მილიარდი მანეთი და მას ერთ დღეში დაემატებოდა 102 მილიარდი მანეთი და საერთო ვალი 141 მილიარდს მიაღწევდა.

ქ. ტიუმენიდან დაბრუნებისთანავე საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო და ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელები და მათ შორის ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც გაფრთხილებულ იქნენ აღნიშნულის თაობაზე. მაგრამ ამ მანკიერ დანაშაულებრივ პრაქტიკას დვალიშვილი მაინც აგრძელებს. შედეგიც სავალალოა: 1993 წ. პირველ ექვს თვეში რუსეთში გადარიცხული თითქმის 290 მილიარდი მანეთიდან საქართველოს რესპუბლიკის საკორესპონდენტო ანგარიშზე მხოლოდ 1 მილიარდამდე მანეთი მოხვდა. დანარჩენი თანხა მოხვდა უნაღდო არხებში და რესპუბლიკის შიგნით დაიწყო ბრუნვა.

ამდენად, აუცილებლად გამოძიებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

1. ვისი ან რა ძალების ზეწოლით გასცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დ. დვალიშვილმა ყოველგვარი გარანტიების გარეშე 102 მილიარდ 700 მილიონი მანეთის კრედიტი.

2. რით იყო გამართლებული ამ კრედიტის გაცემა საპროცენტო განაკვეთის გარეშე.

3. სად "აორთქლდა" 700 მილიონი მანეთი.

4. საიდან მოხვდა მოსკოველი ჰომოსექსუალისტისა და მეძავი ქალის ხელში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უზარმაზარ თანხაზე გაცემული ავიზო.

5. რა უფლებით ავალებს დ. დვალიშვილი "აგრომრეწვბანკს" ამ ავიზოს გაცემას.

6. რას იმსახურებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, რომელიც საპარლამენტო ტრიბუნიდან აცხადებს, რომ მან დაბრუნების შემდეგ დახია ასმილიარდიანი ავიზო, ამოშალა საბანკო წიგნში ჩანაწერი და ამით ოპერაცია დამთავრებულად ჩათვალა.

7. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის როლი ამ ოპერაციის ჩატარებაში (შეგახსენებთ, რა ხმალამოღებული იცავდა ამ ოპერაციას პარლამენტის სხდომაზე მწვანეთა პარტიის ლიდერი ზ. ჟვანია).

# დემურ დვალიშვილი არაგულწრფელია - აცხადებს თენგიზ სიგუა

*ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა ვრცელი ინტერვიუ ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტთან ბატონ დემურ დვალიშვილთან.*

*პუბლიკაციამ ფართო რეზონანსი გამოიწვია. რაღა თქმა უნდა, პირველი, ვინც გამოგვეხმაურა, იყო საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბატონი თენგიზ სიგუა. გთავაზობთ მის ვრცელ სტატიას, რომელშიც არაერთი დოკუმენტის მოხმობით განხილულია ეროვნული ბანკის მიერ გასულ წელს წარმოებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.*

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არის ქვეყნის ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ღონისძიებათა ერთობლიობა. ეროვნული ბანკის ფუნქციებში შედის არა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრა, არამედ ქვეყანაში განსაზღვრული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და რეგულირება. საქართველოს ეროვნული ბანკი თავის თავზე იღებს ყველა ფუნქციას და იმის მაგივრად, რომ გაატაროს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ექსპანსიური ფინანსური პოლიტიკის გზას ადგას და მასიური საკრედიტო პოლიტიკის ანუ კრედიტების გაფლანგვა-განიავებით სახელმწიფო სწრაფი ტემპით მიჰყავს ჰიპერინფლაციისაკენ.

ერთ-ერთ შეკითხვაზე დ. დვალიშვილი პასუხობს: "ამასთან დაკავშირებით ერთი რამ მინდა ვთქვა: დვალიშვილი რომ კრედიტებს გასცემდა, ეს აზრი ძირშივე მცდარია (მადლობელი ვიქნები, თუ ამას ხაზს გაუსვამთ). კრედიტებს დვალიშვილი არ გასცემდა. ეროვნული ბანკი გამოჰყოფდა საკრედიტო რესურსებს. კრედიტებს გასცემდნენ ბანკები".

ვიმსჯელოთ ფაქტებით, რამდენად შეესაბამება დ. დვალიშვილის ეს პასუხი სინამდვილეს. ეროვნული ბანკის მიერ ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების უგულებელყოფამ გამოიწვია მისი ჩარევა სახელმწიფო კომერციული და კომერციული ბანკების ოპერატიულ საქმიანობაში, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

სახელმწიფო კომერციული ბანკების მონაცემებით უკვე საკრედიტო ემისიის პირობებში (1992 წლის 1 დეკემბრიდან 1994 წლის 1 აპრილამდე) ეროვნული ბანკიდან მიღებულია სესხის გაცემის 85 დავალება (აქ შეტანილია მხოლოდ 100 მილიონი მანეთის ზევით გაცემული სესხების დავალებები) უშუალოდ ფირმების, ასოციაციების, ორგანიზაცია-დაწესებულებების, სესხის გასაცემი თანხის ოდენობის, სარგებლობის ვადის და საპროცენტო განაკვეთის ჩვენებით 184,3 მილიარდი მანეთის საერთო თანხით, მათ შორის:

- აგროსამრეწველო სახელმწიფო კომერციულ ბანკს მიღებული აქვს სესხის გაცემის 14 დავალება თანხით 119,9 მილიარდი მანეთი. მათ შორის 118,1 მილიარდი მანეთი (98 პროცენტი) მოდის არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებზე;
- სახელმწიფო-კომერციულ ინდუსტრიაბანკს მიღებული აქვს სესხის გაცემის 36 დავალება თანხით 46,5 მილიარდი მანეთი, მათ შორის 25,2 მილიარდი მანეთი (54 პროცენტი) მოდის არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებზე;
- ბინსოცბანკის სახელმწიფო-კომერციულ ბანკს მიღებული აქვს სესხის გაცემის 35 დავალება თანხით 17,9 მილიარდი მანეთი, მათ შორის 9,1 მილიარდი მანეთი (50,8 პროცენტი) მოდის არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებზე.

ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი მეთოდების დარღვევა ეწინააღმდეგება სესხის ბუნებას, რადგან ფორსირებული დაკრედიტების დროს ძნელია რაიმე დამატებითი პირობების გათვალისწინება (კლიენტების საფინანსო მდგომარეობა, ღონისძიებათა ეფექტიანობა, კრედიტის დაბანდების პერსპექტივები, კრედიტის უზრუნველყოფა, დაბრუნებადობა, ვადიანობა, მიზნობრიობა), რაც ხშირად გადაულახავ პრობლემებს ჰქმნის. არსებული დავალიანების დაფარვის პერსპექტივა ჯერჯერობით გაურკვეველია. 1993 წლის ბოლოსათვის დაბრუნებულია მხოლოდ 35 მილიარდი, ხოლო დაუბრუნებელია 350 მილიარდზე მეტი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაცემული კრედიტები 30 პროცენტამდე საერთოდ არ დაუბრუნდებათ ბანკებს.

არაგულწრფელია დ. დვალიშვილი, როცა აცხადებს, რომ ეროვნულ ბანკს ფულის "გაცოცხლებასთან" არავითარი კავშირი არა აქვს. მან უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში მიღებული გაანგარიშებებით გაცემული კრედიტების 25 პროცენტი ნაღდ ფულში ტრანსფორმირდება (ე.ი. ყოველი მილიარდი მანეთის კრედიტი დაახლოებით 250 მილიონ მანეთ ნაღდ ფულში "ცოცხლდება"). ჩვენთან ეს პროცენტი გაცილებით უფრო მაღალია, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1993 წლის იანვარ-სექტემბერში ნაღდი ფულის ემისიამ 273,5 მილიარდს მიაღწია.

ოდნავ მაინც რომ იმართლოს თავი, დ. დვალიშვილი აცხადებს, რომ გაცემული კრედიტების რაღაც ოდენობა თითქოსდა ხმარდებოდა თავდაცვის ღონისძიებებს. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. თავდაცვის ღონისძიებების დაფინანსება წარმოებდა ბიუჯეტიდან და თავდაცვის ფონდიდან (რომელიც შემოწირულობებით იკრიბებოდა). თუ იყო კიდევაც ერთი-ორი შემთხვევა, ეს ზღვაში წვეთია და მისი ხსენება არც ღირს.

დ. დვალიშვილი აცხადებს, რომ "მინისტრთა კაბინეტის ყოფილი ხელმძღვანელობის დაპირისპირება ბანკის მიმართ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. უკვე მარტში იყო მცდელობა, რომ წავსულიყავი ეროვნული ბანკიდან". ეს კი ნამდვილი ჭეშმარიტებაა. საქმე ის გახლავთ, რომ ეროვნული ბანკი პარლამენტის დაქვემდებარებაშია და იგი ანგარიშვალდებული არ არის მინისტრთა კაბინეტის წინაშე, ამდენად არავითარი ოფიციალური მონაცემები ბანკის საქმიანობის შესახებ მინისტრთა კაბინეტში არ შემოდიოდა. პირველი განგაშის ზარი შემოჰკრა პოლიციამ, რომელიც 1993 წლის 12 მარტით დათარიღებულ წერილში პირდაპირ წერდა: "გაცემული კრედიტები განკუთვნილია თითქოსდა რესპუბლიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსების შემოსატანად, მაშინ, როდესაც ფაქტობრივად აღნიშნული თანხები გამოიყენება ე.წ. "გაცოცხლების", ფარული პრივატიზაციის, ადრე აღებული კრედიტების დაფარვისა და სხვა დანაშაულებრივი მიზნებისათვის. ხდება მათი გაფლანგვა-განიავება, დიდი ნაწილი კი ირიცხება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებში ხანგრძლივი დროითა და თითქმის არავითარი რესურსების შეძენა-შემოტანა არ წარმოებს, უფრო მეტიც, ბევრი ორგანიზაცია და კერძო სტრუქტურები დროულად არ ახდენენ მიღებული სესხების დაბრუნებასა და მათზე დარიცხული პროცენტების გადახდას, ხოლო ზოგ შემთხვევაში ეს თანხები საერთოდ არ ბრუნდება და რჩება ჩვენი და სხვა ქვეყნების მოქალაქეთა დანაშაულებრივ გამგებლობაში. ხშირად ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როდესაც კონკრეტული მიზნებისათვის მიღებულ თანხებს უკეთებენ კონვერტირებას და ახდენენ ვალუტის საზღვარგარეთის ბანკებში "გადასროლას". ამ წერილის საფუძველზე, ჩემი დავალებით, 1993 წ. 15 მარტს იქმნება მინისტრთა კაბინეტის კომისია, რომელსაც ევალება რესპუბლიკაში საკრედიტო რესურსების გამოყოფისა და გამოყენების მდგომარეობის შესწავლა. კომისიამ დასკვნა წარმოადგინა 1 აპრილს. აი ფრაგმენტები ამ კომისიის დასკვნიდან: "საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 9 სექტემბრის №22 დეკრეტით რესპუბლიკაში საკრედიტო რესურსების და მათი დაბანდების პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე განისაზღვრა საკრედიტო რესურსები 140 (ას ორმოცი) მილიარდი მანეთის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო საკრედიტო რესურსების რეგულირება საქართველოს პარლამენტის მიერ მათი ახალი ოდენობის განსაზღვრამდე.

რესპუბლიკაში ეკონომიკის სტაბილიზაციისა და გააქტიურების სტიმულირების ღონისძიებათა განმტკიცების მიზნით, ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო საქმიანობაში უნდა ახორციელებდეს ანტისაინფლაციო პოლიტიკას, თუმცა, მის მიერ გატარებული საკრედიტო პოლიტიკა, რესურსების განსაზღვრიდან დღემდე, მეტყველებს საწინააღმდეგოზე.

ფულადი მასის მაქსიმალური საზღვრების გამუდმებული გადამეტებისა და ფასების ინფლაციური ზრდის შემთხვევებში, რასაც ადგილი აქვს ამჟამად რესპუბლიკაში და როდესაც შეუძლებელი ხდება ეკონომიკური მეთოდებით რეგულირება, ეროვნული ბანკი უნდა ახორციელებდეს დამატებით ღონისძიებებს სახელმწიფო-კომერციულ და კომერციულ ბანკებში საკრედიტო დაბანდებათა შეზღუდვის, მათ აქტიურ ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისა და მათთვის საკომოანაზღაურების დაწესების გზით.

რესპუბლიკაში 1992 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით საკრედიტო დაბანდება 152,2 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ხოლო 1 დეკემბრისათვის კი - 198,4 მილიარდ მანეთს. 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკრედიტო დაბანდებამ 279,4 მილიარდი მანეთი შეადგინა (მაშინ, როდესაც არსებული რესურსების ოდენობა შეადგენდა 104,5 მილიარდ მანეთს), რაც 139,4 მილიარდი მანეთით აღემატება დეკრეტით განსაზღვრულ ოდენობას.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, გასული წლის (1992 წ. რედ.) ბოლოდან უხეშად დაიწყო მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა ფულად-საკრედიტო სისტემებში. 1993 წლის 1 თებერვლისათვის საკრედიტო დაბანდებამ 316,7 მილიარდი მანეთი შეადგინა, ხოლო 1 მარტისათვის - 412 მილიარდი მანეთი, ე.ი. დავალიანება თითქმის სამჯერ აღემატება საკრედიტო რესურსებს.

რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და საკრედიტო რესურსების დეფიციტის მიუხედავად, ეროვნული ბანკის მიერ გაიცა დიდძალი კრედიტი, რის შედეგადაც დაშვებულ იქნა საკრედიტო ემისია. ამ პრაქტიკის გაგრძელება დღეისათვის (კრედიტის გაცემა დიდი ოდენობით დღესაც გრძელდება) ყოვლად გაუმართლებელია, რადგან იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საინფლაციო პროცესების დაჩქარებას და ამწვავებს ნაღდი ფულის პრობლემას.

სწორედ აღნიშნულის გამოც (სხვა უარყოფითად მოქმედ ფაქტორებთან ერთად) ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა ნაღდ ფულზე მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაც კი და ხელისუფლება იძულებული შეიქნა ბრუნვაში გაეშვა ეროვნული ბანკის კუპონები.

ამდენად, ცხადია, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არა მარტო ეკონომიკური, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხიცაა. მინისტრთა კაბინეტის კომისიისა და პოლიციის დასკვნების საფუძველზე მე მოვითხოვე თათბირის ჩატარება სახელმწიფოს მეთაურთან. ასეთი თათბირი ჩატარდა აპრილში, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფოს მეთაური, პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერები, ეკონომიკის მინისტრი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე და ბანკის პრეზიდენტი. ჩემს გამოსვლაში მოვითხოვე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და მისი გათავისუფლება. თათბირის ყველა მონაწილემ (გარდა სახელმწიფოს მეთაურისა და ბანკის პრეზიდენტისა) აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული, რაციონალურ აზრს მოკლებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უკვე გახდა უზარმაზარი მნიშვნელობის დესტრუქციული ფაქტორი. ეს არის არა მარტო ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების, ინფლაციის განუწყვეტელი ზრდის, არამედ სოციალური დაძაბულობის მიზეზიც. სამწუხაროდ, ამ თათბირს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და კვლავინდებურად გრძელდებოდა უკონტროლო საკრედიტო ექსპანსია. ვიმსჯელოთ ფაქტებით: მარტის ბოლოს გაცემული კრედიტების ოდენობა შეადგენდა 294,5 მილიარდ მანეთს, ხოლო საკრედიტო ემისია 150,9 მილიარდს. მაისის ბოლოსათვის შესაბამისად - 461,4 და 321,4 მილიარდ მანეთს, რაც ორჯერ აღემატება საქართველოში ამავე პერიოდში შექმნილ ერთობლივ შიდა პროდუქტს. ეს უკვე კატასტროფის მომასწავებელი იყო. ამგვარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად, როდესაც მხოლოდ შერჩეულ პირთათვის გაიცემოდა უზარმაზარი კრედიტები, საქართველოში "გამოიჩეკნენ" ხელოვნურად გამილიარდერებული ერთი მუჭა ადამიანები, რომელთა პოლიტიკური მადა მომავალში ქვეყანას მრავალი პრობლემის წინაშე დააყენებს.

დავინახე რა, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გრძელდება და მას დამღუპველი შედეგები აქვს, მე იძულებული გავხდი 1993 წლის 10 ივნისს გამოვსულიყავი პარლამენტის სხდომაზე და მეთქვა მთელი სიმართლე. ამ გამოსვლის თაობაზე მე წინასწარ არავინ გამიფრთხილებია, რადგან უკვე ცხადი იყო, რომ დ. დვალიშვილს ზურგს უმაგრებდნენ დაინტერესებული წრეები, "ძლიერნი ამა ქვეყნისა". პარლამენტის 10 ივნისის სხდომა მთლიანად ტრანსლირებულ იქნა და ალბათ ტელემაყურებელს ახსოვს, რა რეაქცია მოჰყვა ჩემს გამოსვლას რიგი დეპუტატებისა და სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან. მათ გაამართლეს დვალიშვილის საბანკო პოლიტიკა და სახელმწიფოს მეთაურმა ისიც კი თქვა, რომ უახლოეს პერიოდში დ. დვალიშვილი ავსტრიიდან უზარმაზარ კრედიტს ჩამოიტანს (იგულისხმებოდა 3 (სამი) მილიარდი ამერიკული დოლარი), რაც საქართველოს ეკონომიკის ფეხზე დაყენების საშუალებას მოგვცემსო. ვისზე იყო გათვლილი ეს დეზინფორმაცია? დ. დვალიშვილი 3 მილიარდი დოლარისა კი არა, 3 მილიონის ჩამომტანიც რომ არ იყო, ეს საქმეში ჩახედული ყველა პიროვნებისათვის ნათელი იყო. 10 ივნისს სხდომა დამთავრდა იმით, რომ შეიქმნა საპარლამენტო კომისია ეროვნული ბანკის მიერ კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობის შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ კომისიას უკვე სექტემბრის პირველ რიცხვებში მზად ჰქონდა მოხსენება, პარლამენტს იგი დღემდე არ მოუსმენია. 16 დეკემბრის პარლამენტის სხდომის დღის წესრიგში ოფიციალურად იყო შეტანილი ამ საკითხის მოსმენა, მაგრამ ალბათ გახსოვთ, ეს სხდომა სპეციალურად ჩაშალეს. ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, ნათელია, რომ ხელოვნურად ჭიანურდება ბანკის საკითხის საჯაროდ განხილვა, რათა მთელი სიმართლე არ გამომზეურდეს. ურიგო არ იქნება, თუ 10 ივნისის პარლამენტის სხდომის ვიდეოჩანაწერის იმ ნაწილს, რომელიც ბანკის საკითხების განხილვას მიეძღვნა, ერთხელ კიდევ უჩვენებენ საქართველოს ტელევიზიით, რათა მოსახლეობამ თალნათლივ დაინახოს, ვის რა პოზიცია უჭირავს.

კიდევ ერთ მომენტს მინდა მივაქციო ყურადღება. როგორც აღვნიშნე, მარტის თვიდან ბანკის საქმიანობას ამოწმებდა რესპუბლიკის კონტროლის პალატა და პოლიციის ეკონომიკურ დანაშაულობასთან მებრძოლი სამმართველო და ზაფხულისათვის მათ უკვე მნიშვნელოვანი მასალა დაუგროვდათ ჩადენილ დანაშაულობათა თაობაზე. დაინტერესებული ძალები აქტიურად მოქმედებდნენ მათი ბლოკირების მიმართულებით. როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბატონ რ. შავიშვილისგან შევიტყვე, პალატის თანამშრომლები მუდმივად იმყოფებოდნენ ზეწოლის ქვეშ. დაშინება, მუქარა, შანტაჟი მათი და მათი ოჯახების მიმართ მუდმივად არსებობდა. რამდენიმე ღამის ანონიმური სატელეფონო ზარი იყო ჩემთანაც, შანტაჟისა და დაშინების მცდელობით: "ხომ იცით, გყავთ მეუღლე, ქალიშვილი" და ა.შ. მაგრამ ამ მუქარისთვის ჩვენ ყურადღება არ მიგვიქცევია. მაშინ სხვა ტაქტიკა იქნა გამოყენებული - პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზედაც იხილებოდა კანონი პოლიციის შესახებ, დაინტერესებული ძალების ზეწოლით მიაღწიეს იმას, რომ პოლიციის ის სამმართველო, რომელიც კონტროლის პალატასთან ერთად ამოწმებდა ბანკს, გააუქმეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოლიციას "გამოუძახეს" ბანკიდან, რითაც მნიშვნელოვნად შეასუსტეს კონტროლის პალატის ძალისხმევა. 4 თვის შემდეგ, როცა ნაწილობრივ მაინც მიღწეულ იქნა ჩანაფიქრის განხორციელება, აღნიშნული სამმართველო სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით აღდგენილ იქნა. ვისი, რა ძალების ინტერესებში შედიოდა ასეთი ქმედება? ცხადია, იმ ძალების ინტერესებში, რომლებიც უზარმაზარი კრედიტების მიღებისა და მათი დანაშაულებრივად გამოყენების გზას ადგნენ. ფაქტობრივად ძარცვავდნენ საქართველოს და ყოველივე ამის გამომზეურება ლახვარი იქნებოდა მათთვის.

საინტერესოა იმ პიროვნებების მოსაზრება, რომლებიც უშუალოდ არიან საქმის კურსში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ბატონი იგორ გიორგაძე:

"ის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა, არის პოლიტიკა მიმართული ქართველი ხალხის წინააღმდეგ. პოლიტიკა, რომელსაც სახელად უფრო მეტად ეკონომიკური დივერსია მოუხდებოდა" (გაზეთი "7 დღე", №40, 5-11 ნოემბერი, 1993 წ.).

რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი:

"...ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აცხადებდა - თუ არა ეგრეთ წოდებული ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკა, მოსახლეობა შიმშილით დაიხოცებოდაო. არადა, სწორედ ამ პოლიტიკამ დაამშია ადამიანები.

საქმე ის არის, რომ ბანკი, ვითომდა რესპუბლიკისათვის სტრატეგიული დანიშნულების საკვები პროდუქტების შემოტანის მიზნით, უზარმაზარ კრედიტებს გასცემდა კერძო სტრუქტურებზე. სწორედ ამ მიზნით წლეულს 6 თვეში გაიცა 372 მილიარდი მანეთის საკრედიტო რესურსი. და ეს ხდება იმ დროს, როცა 1992 წლის ოქტომბრიდან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები შეწყვეტილი იყო, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ეს მილიარდები სხვა რესპუბლიკებში, მცირე გამონაკლისის გარდა, არ გადაირიცხებოდა.

...15 მილიარდი მანეთის პროდუქტი რესპუბლიკიდან გატანილია და არა შემოტანილი. ფაქტობრივად, 1 ივლისისათვის საქართველოში შემოტანილი იყო მხოლოდ 2 მილიარდ 613 ათასი მანეთის პროდუქტი. დანარჩენი თანხები მთლიანად გამოყენებულია საქართველოს შიგნით არამიზნობრივად.

...დაუსაქონლებელი ფული უზარმაზარ ტვირთად დააწვა ჩვენს ისედაც გაღარიბებულ ბაზარს, გამოიწვია ფასების არნახული ზრდა და შესაბამისად მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კატასტროფული გაღატაკება. გამდიდრდა ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფი (ვისაც კრედიტებზე ხელი მიუწვდებოდა), რა თქმა უნდა, დანარჩენი მოსახლეობის გაძარცვის ხარჯზე" (გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", №244 (772), 11 ნოემბერი, 1993 წ.).

"...ისე კი, დვალიშვილმა ბრწყინვალედ იცის, თუ ვინ, რომელი სახელმწიფო მოღვაწე დგას მოცემული კონკრეტული კრედიტის უკან.

...ვიტყოდი, რომ ყველაფერი ცხადზე უცხადესია. რაც შეეხება ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, მე ვფიქრობ, რომ გასაგებია მოსახლეობისთვისაც" (გაზეთი "საქართველო", №39 (1374), 4-30 დეკემბერი, 1993 წ.).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს უფროსი ბატონი ალექსანდრე ლომინეიშვილი:

"...გამოირკვა, რომ ძირითადად ეროვნული ბანკის რესურსებიდან, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებს დიდი ოდენობით მისცეს შეღავათიანი კრედიტები, რომლებიც მათ კვების პროდუქტების, საწვავის, ნედლეულის, რესპუბლიკისათვის სხვა აუცილებელი საქონლის შესაძენად უნდა გამოეყენებინათ. მაგრამ ფაქტობრივად რას აკეთებდნენ? გაცემული კრედიტების ძირითადი მასა (90 პროცენტზე მეტი) სხვადასხვა მაქინაციებით მოხვდა კერძო სექტორში და იგი გამოიყენეს არა პროდუქტის, არამედ ვალუტის შესაძენად.

...ვინ ქმნის რესპუბლიკაში ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ კორუფციამ და მაფიამ, უწესო ბიზნესმა, მაქინატორებმა თავის ნებაზე იპარპაშონ, თვითონ მილიარდები დააგროვონ, ხალხი კი ულუკმაპუროდ დატოვონ?

ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს მუშაკებს ამის თაობაზე თავისი აზრი აქვთ. ასეთი ხელმიშვებულობის ძირითად მიზეზად მათ ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკის მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკა მიაჩნიათ.

...სახსრების მითვისებისა და დატაცების თითქმის ყველა ეპიზოდი ბანკებს უკავშირდება.

...ამ საქმეში "ხელდამშვენებულად" გამოიყურება "კავკასიის ბირჟაც". უსაქონლო ოპერაციების ავტორები სწორედ ამ ბირჟის საბროკერო კანტორები არიან, რომელთა რიცხვიც დღეისათვის შვიდასს აღწევს. მათ მიერ საბუთებით გაფორმებული საქონელი რომ შემოსულიყო, რესპუბლიკა პროდუქტებითა და ნედლეულით უზრუნველყოფილი იქნებოდა, მაგრამ საქმეც ეგ არის - მხოლოდ ქაღალდები ფორმდებოდა" (გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1 დეკემბერი, 1993 წ. №254 (782).

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესსამსახური:

"...ამრიგად, მოგებული დარჩნენ საქმოსნები, იზარალა კი სახელმწიფომ, განსაკუთრებით კი მოსახლეობამ, რომლის ხელშიც ფულის ნიშნები უვარგის ქაღალდად იქცა. ეს კი იმ საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა მცდარსა და დამანგრეველს" (გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 16 დეკემბერი, 1993 წ. №264 (792). ამ საკრედიტო განუკითხაობას აქვს ძალზე უარყოფითი სოციალური შედეგები. 1993 წლის იანვარ-მაისში საქართველოში განათლებაზე დაიხარჯა 7 მილიარდი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვაზე 5,5 მილიარდი, ხოლო კულტურაზე 2 მილიარდი მანეთი. ე.ი. სულ ჯამში 14,5 მილიარდი. მაშინ, როდესაც ცალკეულ "საიმედო" ბანკებზე და ფირმებზე გაიცემოდა მრავალმილიარდიანი შეღავათიანი კრედიტები. მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: "თრიალეთი" - 102,7 მილიარდი მანეთი, "მედეა" - 31,5 მილიარდი, "დიზაინერი" - 25,0,

გაგრძელება A8 გვერდზე

# მაშინ - "ჰაერის კრედიტები", დღეს - ჰიპერმარკეტები



იური ლობოდინის ფოტო

მაია ჭალაგანიძე

მართალია, სულ ვამბობთ, რომ სახელმწიფოებრიობის 3000 წელი გვაქვს და ორგზის დამოუკიდებელი საქართველოც კი გვქონდა, მაგრამ, მეორე დამოუკიდებლობის დროს საიდანღაც მოვიდნენ პოლიტიკოსები, რომელთაც ამ ტრადიციებისა არაფერი ეტყობოდათ. 80-იან წლებში მთავარი ორიენტირი პოლიტიკური დამოუკიდებლობა იყო და ეკონომიკის განვითარების სერიოზული კონცეფციები არ დადებულა. მანეთის სანაცვლოდ კუპონი სამოქალაქო ომის შემდეგ შემოვიდა. აღმოჩნდა, რომ გამოცდილ საბჭოთა პოლიტიკოსს ეკონომიკა პოლიტიკა არ ეგონა; ან ეგონა, შეგნებულად არ იმჩნევდა და დაქცეულ ქვეყანაში, უმკაცრესი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ნაცვლად, სრული სავალუტო ვაკხანალია დაიწყო. მოსახლეობის ანაზრები და მოგვიანებით ქვეყნის ფეხზე დასადგომად გამოყოფილი უცხოური კრედიტები მხოლოდ ერთეულების ფეხზე დაყენებას მოემსახურა. გაჩნდნენ კერძო ბანკები, რომელთა ფუნქციაც სახალხო მეურნეობაში (და არა ბიუჯეტში) არსებული ფულადი სახსრების მოძიება და ოპერაციებში მომგებიანად განთავსება იყო. ეროვნული ბანკის კანონიერი ფუნქციაა, საერთოდ არ დაუშვას დაფინანსება საკრედიტო ემისიის ხარჯზე. კერძო ბანკების დებულებაში კი არსად წერია, რომ უნდა მიიღონ რეფინანსირების კრედიტები - ე.წ. "ჰაერის კრედიტები", რომელიც ალბათ ყველა დღეს არსებულ წარმატებულ ბიზნესში დევს... ეს ყველაფერი კი ხდებოდა და ეროვნული ბანკი უბრალო სათამაშო იყო ფულს მოწყურებული პოლიტიკოსების ხელში. იმდენად, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სიძლიერის ერთ-ერთი სიმბოლოს - ეროვნული ვალუტის შემოღების ხელშეწყობის ნაცვლად, პოლიტიკოს-კომბინატორთა ჯგუფი სამანეთო ზონაში დაბრუნებას ითხოვდა. ეს კომერციული ბანკები ისე აორთქლდნენ, რომ თავისუფალი საკრედიტო რესურსების მოძებნა და თავისუფალ ფინანსურ გარემოში ცურვა ვერ ისწავლეს. ცურვის უცოდინრობას ხელი არ შეუშლია მაშინდელ კერძო ბანკირთა დღევანდელი ლაღი მოძრაობისთვის აწ უკვე ბიზნესად წოდებულ გარემოში.

დვალიშვილის შემდეგ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი გახდა. მოგეხსენებათ, დღეს ის პატიმარია (არა ფინანსური დანაშაულის გამო). 10 წლის წინანდელ ინტერვიუში, რომელიც ბატონმა ნოდარმა გაზეთ "კავკასიონს" მისცა, კითხვაზე, რას ფიქრობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი სამანეთო ზონაში შესვლა-არშესვლის შესახებ, მიპასუხა: **"რა არის სამანეთო ზონა, ანუ საგადამხდელო კავშირი - ეს რუსეთშიც ჩამოსაყალიბებელია. როდესაც იქნება ამ გარანტიების კონკრეტული პირობები, და გვექნება საფუძველი, დავსხდებით და კონკრეტულად ვიმსჯელებთ ამ საკითხზე, რასაკვირველია, უნდა ავწონ-დავწონოთ, რამდენი სიკეთე გველის და რამდენი - საშიშროება. შემდეგ, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ვეცადოთ, რომ ნაკლები საშიშროებით მეტი სიკეთე მივიღოთ... მოსკოვში (ყოველ შემთხვევაში, იმ წრეებში, სადაც ვიყავი) არ იგრძნობა ისეთი დამოკიდებულება, რომ ვინმეს ჩვენი სამანეთო ზონაში შეყვანა უნდა. მათ ეს ჩვენთან ურთიერთობის ერთ-ერთ ვარიანტად მიაჩნიათ."**

მაშინ, როდესაც მოსკოვსაც კი არ სურდა სამანეთო ზონაში ჩვენი შეყვანა, ქართველი პოლიტიკოსების ნაწილი ამას ითხოვდა. და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ის ნაწილი იყო, რომელთაც თუნდაც სუვერენიტეტის დაკარგვის ფასად სურდათ და შეინარჩუნეს კიდეც განადგურებული საქართველოს დასახმარებლად გამოგზავნილი პირველი კრედიტები.

აი, რას ამბობს დღეს **ნოდარ ჯავახიშვილი**:

**- თქვენ დვალიშვილის შემდეგ გახდით ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. იმ დროს იყვნენ ჯგუფები, ვინც საქართველოს სამანეთო ზონაში დაბრუნებას ემხრობოდა...**

- არც მახსოვს, ვისი იდეები იყო კონკრეტულად... მაგას ვერავინ გამიბედავდა, რადგან ჩემთვის ეს კატეგორიულად მიუღებელი იყო. ეს საბჭოთა კავშირში დაბრუნებას ნიშნავდა.

**- მაგრამ, რეალურად კუპონი არ იყო მიმოქცევის ერთადერთი საშუალება, ამის ადმინისტრირება როგორ ხდებოდა?**

- დიახ, ერთადერთი საშუალება არ იყო, მაგრამ კუპონის გარკვეული მასა საკვებითა და მომსახურებით უზრუნველყოფილი იყო - პური კუპონზე უნდა გეყიდათ, კომუნალური გადასახადებიც კუპონით უნდა გადაგეხადათ...

ჰიპერინფლაციის, ან ნებისმიერი ინფლაციის რაღაც დონეზე შეჩერება ყოველთვის შეიძლება, თუკი დამატებითი ფულის მიმოქცევაში გამოშვებას შეაჩერებ. ხომ არსებობს გარკვეული თანაფარდობა დოლარს, კუპონსა და საქონელს შორის - თუ ამ სტატუსკვოს შეინარჩუნებ, გაუფასურება აღარ მოხდება. ჩვენც ერთ მშვენიერ დღეს მიმოქცევაში კუპონის რაოდენობა შევაჩერეთ, მასსა და საქონელს შორის თანაფარდობა აღარ დაირღვა და კუპონის დაცემა შეწყდა.

თებერვალში პარლამენტმა ბიუჯეტისთვის დამატებითი ფულის მიცემის გადაწყვეტილება მიიღო. ეროვნულ ბანკს პარლამენტის დადგენილების შეუსრულებლობის უფლება არ ჰქონდა, ინფლაცია ისევ მოხდა და ისევ გავაჩერეთ. 1993 წელს პარლამენტმა კიდევ მიღო ეს დადგენილება. 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა აღარ გამოუშვა ემისიური სესხები და მხოლოდ ამანაც კი უზრუნველყო კუპონის სტაბილურობა. თუმცა, 1995 წელს ბევრი რამ გაკეთდა კუპონის სტაბილურობისთვის - თუ სწორად მახსოვს, 1994 წლის ზაფხულში შევაჩერეთ ბიუჯეტის ავტომატური ოვერტრანსი, რითიც ვთქვით, რომ ველარ დახაჯავდნენ ფულს, რომელიც არ არსებობდა. 1994 წლის აგვისტოში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები კანონის ძალით ეროვნულ ბანკს გადაეცა სამართავად, რითიც ქვეყანას სავალუტო რეზერვების შექმნის საშუალება მიეცა. ამის გარდა, 1994 წლის ოქტომბერში კომერციულ ბანკებს აეკრძალათ ავტომატური ოვერტრანსი... ამ ზომების მიღების შემდეგ შეჩერდა ბიუჯეტური ემისიაც და კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული ემისიაც. ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ თუ 1994 წლის 1 სექტემბერს დოლარი 5,5 მილიონი კუპონი ღირდა, დეკემბერში დოლარი 1,3 მილიონი კუპონი გახდა, ანუ - 4-ჯერ გამყარდა ისე, რომ არსაიდან არანაირი ფული არ მიგვიღია. ეროვნულმა ბანკმა თავისი კანონიერი ფუქციის შესრულება - მიმოქცევაში ფულადი მასის მართვა დაიწყო.

იქამდე კი, იმის მაგივრად, რომ ეროვნული ბანკს ფულადი მასა კუპონის მიმოქცევის სტაბილურობის მიზნით ემართა, ყოვლად დესტრუქციულ როლს თამაშობდა და უამრავ ემისიურ თანხას უშვებდა მიმოქცევაში.

**- როგორ მივდიოდით ლარისკენ?**

- ეროვნულ ბანკში 1992 წლის 11 ოქტომბერს მოვედი. მაშინ, როდესაც ჰიპერინფლაციური ზვავი იყო დაგროვებული. შეგახსენებთ ვითარებას - ღვინის ქახნებს მოქალაქეებისგან ყურძენი უკვე შეძენილი ჰქონდათ, ეროვნულიდან ადგილობრივ ბანკებში თანხები ჩარიცხული იყო. უბრალოდ, არ არსებობდა ნაღდი ფული, ეროვნულ ბანკში კუპონები საერთოდ არ იყო. კუპონების გაცემის შემთხვევაში, მაშინვე ინფლაცია მოხდებოდა. მაშინ ჯერ გამოხატული არ იყო ინფლაცია, რადგან ბაზარზე არ იყო გასული დამატებითი ჭარბი ფული. ეს, თუ არ ვცდები, ნოემბრის დასაწყისში მოხდა და ხალხმა მაშინვე კუპონის ხევა დაიწყო. 1993 წელს დაიწყო ჰიპერინფლაცია და თითქმის მთელი წელი გვქონდა სერიოზული პრობლემები. თუმცა, 1993 წლის ბოლოს ხალხისთვის იმის ჩვენება მოხერხდა, რომ თუ ხელისუფლება მოინდომებდა, ინფლაციური დარტყმების შემცირება ყოველთვის შესაძლებელი იყო. სტატისტიკას თუ გადახედავთ, 1993 წლის დეკემბერში კუპონმა დაცემა შეწყვიტა. მახსოვს, სწორედ ამ პერიოდში მთავრობის სხდომაზე ძალიან გაბრაზებული გამოსვლა მქონდა, რადგან მთელი ხელისუფლება - პრეზიდენტიდან დაწყებული და მინისტრებით დამთავრებული - კუპონზე შაყირობდა. კუპონს ყველა მკვდრადშობილს უწოდებდა და პირდაპირ მთავრობის სხდომაზე ხუმრობდნენ უხამსად - როგორც პაპაჩემი ვერ გაამყარებს, ისე ეს კუპონი არ გამყარდებაო... გაბრაზებულმა ვუთხარი, კუპონის ლანძღვას თავი დაანებეთ, დამეხმარეთ ან ხელს მაინც ნუ შემიშლით და კუპონი გამყარდება-მეთქი. ამის მერე კი მხოლოდ იმიტომ, რომ ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა მიმოქცევაში ყოველგვარი ემისიური ფულის გამოშვება, კუპონი აღარ დაცემულა და თუ არ ვცდები, თებერვლის 22-მდე გარკვეულწილად გამყარდა კიდეც.

**- დვალიშვილის დროს ეროვნული ბანკი უკონტროლოდ გასცემდა კრედიტებს. ამას წინ როგორ აღუდექით?**

- სანამ ეროვნულ ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე მოვიდოდი, პრეზიდენტ შევარდნაძესთან 3 საათიანი შეხვედრა მქონდა იმის შესახებ, რომ ამ თანამდებობაზე მოსვლის შემთხვევაში, ჩემს საქმიანობაში არავინ ჩაერეოდა, თვით პრეზიდენტიც კი. სხვათა შორის, შევარდნაძე დამპირდა და შეასრულა კიდეც.

**- დანარჩენები?**

- მაპატიეთ, მაგრამ მის გარდა ნოდარ ჯავახიშვილს ვერავინ ვერაფერს დააძალებდა. კრედიტების გაცემა აბსოლუტურად შეჩერდა. პირველ დღეებში, მაკითხავდნენ, მაგრამ ქიზიყელი ვარ, ჩემი დაყოლიება ასე ადვილი არ არის. 2-3 კვირის მერე ჩემს მისაღებში ამ საქმეზე აღარავინ მოსულა. სამაგიეროდ ლაპარაკობდნენ, რომ ვარ უხეში, ჯიუტი და კახურად ვიქცევი...

# დემურ დვალიშვილი არაგულწრფელია - აცხადებს თენგიზ სიგუა

მე-7 გვერდიდან

"ვესტა" - 24,4, "ბანი და კო" - 17,5, "რინგი" - 14,0, "რუბიკონი" -10,0, "კაკტუსი" - 10,0, "კიდობანი" - 8,0, "პონტოპოლისი" - 8,0, "კომექსი" - 4,4, "ჯორჯიასეტკო" - 4,0, "პიტერი" - 4,0, "ენ-ჯი-ენი" - 4,0 და ა.შ. მაშინ, როდესაც საქართველოში ამ დროისათვის ათასობით წვრილი და საშუალო სიდიდის კერძო სამეწარმეო ერთეულები არსებობს, კრედიტების უდიდესი ნაწილი (95 პროცენტზე მეტი) გაცემულია 30-35 "ელიტარულ" ფირმაზე. შეღავათიანი დაკრედიტებისა და ინფლაციის პროცესებით მანიპულირების შედეგად ისინი ფინანსურ გიგანტებად იქცევიან.

სად წავიდა, რას მოხმარდა ეს უზარმაზარი თანხები? რესპუბლიკის კონტროლის პალატის მონაცემებით, რომელიც სწავლობს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, დადგენილია, რომ უკვე შემოწმებული 109 მილიარდიდან დანიშნულებისათვის, ე.ი. პროდუქტების შემოსატანად გამოყენებული იყო მხოლოდ 8,0 (რვა) მილიარდი. დანარჩენი თანხა მოხვდა რესპუბლიკის უნაღდო არხებში და დაიწყო ბრუნვა რესპუბლიკაში. ეს იყო დაუსაქონლებელი ფული, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ღარიბ ბაზარს, გამოიწვია კატასტროფული ინფლაცია და კატასტროფული გაღატაკება მოსახლეობის 90 პროცენტისა. როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარე ბატონი რევაზ შავიშვილი დაასკვნის: "აი, ეს არის ძირითადი შედეგი იმ "სანაქებო" ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა, რომელსაც ეროვნული ბანკი და კერძოდ, მისი ყოფილი პრეზიდენტი ახორციელებდა".

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობას. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბატონი დ. დვალიშვილი ფაქტების პირდაპირ ფალსიფიცირებასაც არ ერიდება. 5 ივლისის "საქინფორმმა" გაავრცელა მისი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: "საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოიწონა საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც ცოტა ხნის წინათ აწარმოებდა საქართველოს ეკონომიკის მკვეთრი დაქვეითების პირობებში რესპუბლიკის ეროვნული ბანკი".

სრულიად გაუგებარია, თუ რა აძლევს ბატონ დ. დვალიშვილს ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს. ჩვენს ხელთ არსებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენება (ივნისი, 1993 წ.) სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კარგა ხანია იწვევს როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების სერიოზულ შეშფოთებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა არაერთხელ მიუთითეს ეროვნულ ბანკს, რომ აუცილებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მათი ყველა მისის რეკომენდაცია უგულებელყოფილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. "საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალედოვანი პროგრამის" თაობაზე ნათქვამია: "სამანეთო ზონაში ინფლაციის ძირითადი მიზეზია მასობრივი საკრედიტო ემისია (დიდი სესხები, რომელიც გამოეყოფა როგორც საწარმოებს, ისე ბიუჯეტს, რომელიც ბოლო თვეებში სავსებით გამოვიდა კონტროლიდან. მაგალითად, მარტო 1992 წლის დეკემბერში, ახალი კრედიტების სახით გაცემულმა თანხამ მიაღწია 30-40 მილიარდ მანეთს, მაშინ, როცა ნოემბრის დამლევს დაუფარავი კრედიტების თანხა შეადგენდა 100 მილიარდ მანეთზე მეტს.

მისიას დიდად აწუხებს ის გარემოება, რომ ახლანდელი ტენდენციების დროს არსებობს უახლოეს მომავალში ჰიპერინფლაციის წარმოშობის აშკარა რისკი". შემდეგ: "ჰიპერინფლაციის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული შედეგია რესურსების იმგვარი განაწილება, რომ ისინი ვერ აღწევენ საზოგადოების ყველაზე დაუცველ ჯგუფებამდე (პენსიონერები და ფიქსირებული შემოსავლის მქონე მოსახლეობის სხვა კატეგორიები), რაც კიდევ უფრო აღრმავებს სოციალურ დაძაბულობას. უფრო რომ განვაზოგადოთ, ჰიპერინფლაცია მთლიანად ანგრევს ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემას და როგორც ისტორია გვასწავლის, არცთუ იშვიათად იწვევს ძალდატანებით პოლიტიკურ ძვრებს".

მისის ამ განცხადებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ეროვნული ბანკი სწორად ვერ წარმართავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას: "ცხადია, რომ ამჟამად საფინანსო სისტემის ყველაზე სუსტი რგოლია საქართველოს ეროვნული ბანკის უუნარობა, განახორციელოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მართლაც, ბოლო ამბები მოწმობს, რომ საკრედიტო პოლიტიკა არასწორი მიმართულებით ვითარდება. გარდა ამისა, საპროცენტო განაკვეთები სერიოზულად განსხვავდება სამანეთო ზონის სხვა რესპუბლიკების საპროცენტო განაკვეთებისაგან და კვლავ სერიოზულად ჩამორჩება ინფლაციის ტემპს. ასეთი სიტუაცია ხელს უწყობს მხოლოდ კრედიტების შემდგომ განიავებას, სტიმულს არ აძლევს შინაგან დანაზოგების და ინვესტ კაპიტალის გადინების საქართველოდან". იქვე სრულიად გარკვევით წერია, რომ: "შეშფოთებას იწვევს აგრეთვე როლი, რომელიც ენიჭება ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ეროვნული ვალუტის უზრუნველყოფა, რის გამოც საქართველოს ეროვნული ბანკი არ უნდა ეცადოს, ზეგავლენა მოახდინოს რესურსების განაწილებაზე მიკროეკონომიკურ დონეზე. კერძოდ, კრედიტები გამოყოს კონკრეტულ დარგებსა და კონკრეტულ პროექტებს, ანდა ასეთი კრედიტები გასცეს დოტირებული საპროცენტო განაკვეთებით. ამ გადაწყვეტილების მიღება უნდა დაეკისროს კომერციულ ბანკებს საკუთარი რისკით და მომგებიანობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ბანკმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ საკუთარი რესურსები, საბაზრო პროცენტის განაკვეთის მიხედვით ანაზღაურების მიზნებს გზით და არა იმ გზით, რომ მიიღონ საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების კრედიტები".

დ. დვალიშვილის განცხადება, თითქოს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დამოკიდებულება შეცვალა ეროვნული ბანკის პოლიტიკის მიმართ, უბრალოდ, ზღვარგადასული ტყუილია. აი, ფრაგმენტები ბოლო წერილიდან, რომელსაც ხელს აწერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ევროპული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ედუარდ ბრაუ. ეს წერილი ივლისშია მიღებული"

"Они одобрили, в частности потверждение руководством Грузии намерение следовать курсом перехода к рыночной экономике и дали высокую оценку принятым решениям о проведении широкой либерализации цен, а также успехам достигнутым в области приватизации жилья и земли".

"Члены Исполнительного Совета разделяют мнение Грузинского руководства о целосообразности введения национальной валюты".

"Хочу также проинформировать Вас о созданном недавно Международным Валютным Фондом механизме финансирования системных преобразовании. Этот временный механизм, действие которого расчитано до конца 1994 года, предназначен для оказания финансовой помощи странам-членам, испытывающим трудности в области платежного баланса, вызванные следующим причинами: резким сокращением поступлении от экспорта в результате перехода от широкой торговли с использованием нерыночных цен к торговле по рыночным ценам на многосторонней основе; (2) значительным и необратимым ростом чистых затрат на импорт, произошедшим ввиду переключения с торговли со значительной опорой на нерыночные цены (в особенности это относится к энергоносителям); или (3) комбинацией двух вышеназванных причин. Размеры предоставляемых средств в рамках этого механизма будут определятся отдельно в каждом конкретном случае в зависимости от общих потребностей в финансировании платежного баланса страны члена. Указанные ресурсы будут предоставлятся в сумме, не превышающей 50 процентов квоты страни-члена МВФ, а финансирование будет разбито на два отдельных платежа. Первая выплата средств будет производится в самом начале использования механихма, а второй - приблизительно через шесть месяцев. Предпологается, что этот механизм будет работать в качестве катализатора дополнительной международной поддержки".

В этой связи у членов Исполнительного Совета вызывает серьезную обеспокоенность резкое расширение объема кредитования экономики во второй половине 1992 г. и произошедшее в результате этого ухудшение состояния чистых внешних обязательств Грузии по отношению к рублевой зоне. Было также отмечено, что ставка рефинансирования Национального банка Грузии является низкой и что банк осуществляет прямое вмешательство в распределение кредита в стране".

დაკრედიტების არამართებული სისტემა დღემდე არ არის აღმოფხვრილი. ამას ხელს უწყობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელოვნურად არის შექმნილი და ისინი უნდა აღმოიფხვრას საკანონმდებლო წესით. მაგრამ სანამ ეს აქტები იქნება დამუშავებული და მიღებული, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მოქმედი საკრედიტო სისტემისას იგნორირებულია არა მარტო ლოგიკის ელემენტარული ნორმები, არამედ ის საკანონმდებლო საფუძვლები, რომლებიც დღესდღეობით მოქმედებს. ეს გახლავთ სამოქალაქო კოდექსის 187-190 სტატიები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოქმედებდეს **залоговой** ურთიერთობების ნორმები და რომ მევალემ უნდა აანაზღაუროს კრედიტი თავისი პროცენტებით, იმ თანხის ოდენობით, რომელიც ტოლფასია მსყიდველობითი უნარის მიხედვით (ნომინალური) კრედიტის გაცემის მომენტისათვის.

"კავკასიონი" 2 თებერვალი, 1994 წელი

# ნოტები დაგიძველდათ, მაესტრო!

## ფული, რომელიც არ არსებობდა, ანუ როგორ დაკარგა საქართველომ 100 მილიონი დოლარი

საქართველოს ისტორიამ იცის უამრავი მაგალითი, როდესაც არამცთუ უბრალო მოკვდავნი, თვით საქართველოს მეფენიც კი არ უშვებდნენ ხელიდან შანსს, მოეტყუებინათ მეზობელი თუ შორეული ქეყანა, თუკი ამით რაიმე სარგებელი ექნებოდა სამშობლოს. ჩვეულებრივ, ამას მოტყუება კი არა, მოხერხება ჰქვია. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ საქართველოს, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს, მიეცა საუკეთესო შესაძლებლობა რუსეთში ფულის გადარიცხვით და იქიდან პროდუქტების შემოტანითა თუ სხვა საშუალებით ენახა დიდი მოგება. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს მაშინდელ მთავრობას ეს შესაძლებლობა არ გამოუყენებია, ხოლო გამოიყენეს თუ არა იგი მთავრობის წარმომადგენლებმა, როგორც კერძო პირებმა, ეს სხვა საკითხია.

იმ დროისათვის უკრაინის და ბალტიისპირეთის ქვეყნების მთავრობებმა გამოყვეს და რუსეთში გადარიცხეს ასობით მილიარდი მანეთი, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით. ახლა კი საქართველოზე: მრავალდარგოვანი ფირმა "თრიალეთის" წარმომადგენლებმა (ფირმა "თრიალეთი" შექმნილია საქართველოს მწვანეთა მოძრაობის 1990 წლის 20 დეკემბრის №49 დადგენილების საფუძველზე) შესთავაზეს ეროვნულ ბანკს, დაეშვა მათთვის კრედიტი, ხოლო "თრიალეთი" თავის თავზე იღებდა, ეს თანხა გადაერიცხა მოსკოვში. არსებული თანხა, რომელიც ციფრობრივად მხოლოდ საკრედიტო ავიზოზე ეწერა, ექცია ნამდვილად, რის შედეგადაც საქართველო მიიღებდა დაახლოებით 100 მილიონ დოლარს. და უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოსკოვში საკმაოდ მაღალი რანგის და ჩინის ადამიანები ნებაყოფლობით იტყუებდნენ თავს, ატყუებდნენ საკუთარ ქვეყანას და არარსებული თანხისაგან საქართველოს აძლევდნენ მოგებას (ალბათ, თავიანთ თავსაც).

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მთავრობის მაღალჩინოსანთა მიერ საკუთარი კვალის დასაფარავად გარანტირებული იყო რეგიონთაშორის საანგარიშსწორებო ცენტრში აღნიშნული თანხის გატარების დაფიქსირების თავიდან აცილება, რაც გამორიცხავდა საქართველოსათვის ფინანსური ტვირთის დაკისრებას. სახეზე იყო სუფთა ოპერაცია.

ეროვნული ბანკი, სათანადო გადამოწმების შემდეგ, დათანხმდა ამ ოპერაციაზე და აგრომრეწვბანკში გადარიცხა 102,7 მილიარდი მანეთი. აგრომრეწვბანკში იმიტომ, რომ ფირმა "თრიალეთს" იქ ჰქონდა ანგარიში გახსნილი. "თრიალეთმა" 102 მილიარდი მანეთი საკრედიტო ავიზოთი მოსკოვში გადარიცხა. ანგარიშზე დარჩენილი 700 მილიონი მანეთი ფირმის სიძლიერის გარანტი იყო მოსკოველი პარტნიორებისათვის, რომელიც რუსეთის მხრიდან გადამოწმებისთანავე დაბრუნდა ეროვნულ ბანკში. თითქოს საქმე წარმატებით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ "შეწუხდნენ" საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მაშინდელმა პრემიერმა და სხვა პირებმა იცოდნენ საქმის ვითარება, მათ ზურგს უკან ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ იგი ჩაშლილიყო. ამ ღონისძიების სწრაფად ჩაშლაში საკმაოდ აქტიურობდა ამჟამად რუსეთს გაქცეული ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტი. მოსკოველები ჯერ გაოცდნენ, ალბათ, მერე გაოგნდნენ კიდევაც და ოპერაციის გაგრძელებაზე უარი განაცხადეს. სეიფში ჩაკეტილი ავიზო თბილისში დაბრუნდა.

ძალიან მარტივად და ყველასათვის გასაგებად, მიუკიბ-მოუკიბავად, ამაში მდგომარეობს გახმაურებული 102,7 მილიარდი მანეთის საქმე. საქართველოს არაფერი დაუკარგავს. პოვნით კი... პოვნით იპოვა უკრაინამ, რომელმაც ანალოგიური ოპერაციით მოსკოვში გადარიცხა დაახლოებით 800 მილიარდი მანეთი და მიიღო დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი. 102,7 მილიარდი მანეთის საქმე კი ამით არ დამთავრდა. იგი ხელზე დაიხვიეს ადამიანებმა, რომლებმაც ყველაზე კარგად იცოდნენ საქმის ვითარება. პირველ რიგში ორგზის ექსპრემიერმა. ბრალდებების ნიაღვარი არ წყდება და არავინ იცის, შეწყვეტს თუ არა მას.

ინფორმაცია, რომელსაც წყალი არ გაუვა:

"საქართველოს პარლამენტის მიერ 1993 წლის 10 ივლისს მიღებული დადგენილებით - "საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობის შემსწავლელ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შესახებ" - პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას დაევალა, შეესწავლა ეროვნული ბანკის კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობის საკითხი.

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით შეიქმნა პარლამენტის საგამოძიებო კომისია 30 დეპუტატის შემადგენლობით: თემურ ბასილია (თავმჯდომარე), ჯემალ ადამია, ზაურ ანდრიაძე, ჯემალ გორგოძე, ნანა დევდარიანი, არჩილ იოსელიანი, ალექსი კობაიძე, თემურ კოპალეიშვილი, ჯუმბერ კურტანიძე, გივი ლომინაძე, ვიქტორ ლორთქიფანიძე, ლევან მამალაძე, ირაკლი მელაშვილი, ზურაბ მურვანიძე, თამაზ ობგაიძე, მამული ჟღენტი, გაიოზ როგავა, გურამ უსტიაშვილი, ასლან ფაღავა, გურამ ყორანაშვილი, გურამ ჩახვაძე, თამაზ ცინცაძე, გია ხავთასი, ვახტანგ ძაბირაძე, გიორგი წითლანაძე, მევლუდ წიკლაური, ივერი ჭელიძე, გიორგი ჭინჭარაული, ივლიანე ხაინდრავა, რამაზ ხიზანიშვილი.

"უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის შესწავლის დროს კომისიასთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა, კონტროლის პალატა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულობებთან მებრძოლი სამმართველო". ასე იწყება საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობის შემსწავლელი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის ინფორმაცია, რომელიც პარლამენტის წევრებს კარგა ხანია დაურიგდათ და რომელშიც 102,7 მილიარდთან დაკავშირებით შავით თეთრზე წერია:

"კომისიამ შეისწავლა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების სახით აგროსამრეწველო ბანკისათვის 102,7 მილიარდი მანეთი კრედიტის გაცემის საკითხი, რომელიც აგროსამრეწველო ბანკის მიერ გაცემული იქნა მრავალდარგობრივ ფირმა "თრიალეთზე" 1993 წლის 2 მარტს. მოკვლეული მასალების საფუძველზე კომისიამ დაადგინა, რომ ფირმა "თრიალეთი" შექმნილია საქართველოს მწვანეთა მოძრაობის 1990 წლის 20 დეკემბრის №49 დადგენილების საფუძველზე. მას ანგარიში გახსნილი ჰქონდა ნაძალადევის რაიონის ბინსოცბანკში, ხოლო 1993 წლის 2 მარტს ფირმამ ანგარიშსწორების ანგარიში გადაიტანა აგრომრეწვბანკში.

ეროვნული ბანკის მიერ 102,7 მილიარდი მანეთი კრედიტის გამოყოფის საფუძველი იყო ფირმა "თრიალეთის" 1993 წლის 2 მარტის № 00672015 წერილი ეროვნული ბანკის სახელზე, სადაც ფირმა იძლეოდა აღნიშნული თანხის რუსეთის ფედერაციაში გადარიცხვის ვალდებულებას და სესხის დაფარვას მყარად კონვერტირებადი ვალუტით.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული თანხა 1993 წლის 2 მარტს რეფინანსირების სახით მისცა აგრომრეწვბანკს, ხოლო ამ უკანასკნელმა იმავე დღეს მთლიანი თანხა გასცა ფირმა "თრიალეთზე" კრედიტის სახით. ფირმა "თრიალეთმა" 1993 წლის 2 მარტს 102,0 მილიარდი მანეთი №740 საკრედიტო ავიზოთი გადარიცხა ქ. მოსკოვში. 700 მილიონი მანეთი, რომელიც დარჩენილი იყო ანგარიშსწორების ანგარიშზე, არ გადარიცხულა არსად და 1993 წლის 22 აპრილს დაიფარა სასესხო ანგარიშზე. 1993 წლის 3 მაისს მოსკოვიდან აუთვისებელი დაბრუნდა 102,0 მილიარდი მანეთიც, რითაც სრულიად დაიფარა აღნიშნული სესხი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული თანხა არ ჩარიცხულა არც ერთ სხვა ანგარიშზე და ამ ოპერაციის შეუსრულებლობის შემდეგ აუთვისებლად დაბრუნდა და სესხი დაიფარა მთლიანად". ამავე ინფორმაციაში სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით აღნიშნულია: "საკრედიტო ემისიას აზრი ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხები გავიდოდა რესპუბლიკის გარეთ". ე.ი. 102,7 მილიარდის შემთხვევაში საკრედიტო ემისია სრულიად მისაღებია.

კიდევ ერთხელ უნდა დაზუსტდეს, რომ საქართველოს არ დაუკარგავს არც ერთი კაპიკი, რადგან არც არავის გამოუყენებია იგი. ხოლო რატომ არ მოხდა მისი გამოყენება, ეს სხვა საქმეა. სხვათა შორის, არ იქნებოდა ურიგო, საზოგადოებისათვის ეცნობებინათ ამის თაობაზე იმ ადამიანებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ პრინციპით: გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩება.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ეფექტს ტყუილად ნურავინ ეცდება. ქართველებს ვეღარაფერი გაგვაკვირვებს, მაგრამ როცა საქართველოში კორუფციასთან მებრძოლ შეუბღალავი იმიჯის მქონე პარტიას უეცრად 102,7 მილიარდი მანეთის ჯიბეში ჩადებას დააბრალებენ, ეს, რბილად რომ ვთქვათ, შემაშფოთებელია. საქმე ის გახლავთ, რომ ორგზის ექსპრემიერის მიერ 102,7 მილიარდი მანეთის მიტაცება-მითვისების ფაქტი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გაზეთში სხვადასხვანაირად გაიჟღერებს ხოლმე. თუმცა, ექსპრემიერი ღრმად განათლებული პიროვნებაა და კარგად იცის როგორც საქმის რეალური ვითარება, ასევე ისიც, რომ ამ 102,7 მილიარდი მანეთის გამოყენება სხვა დანიშნულებით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. საუკეთესო შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ადარდებდა რუსეთის ბედი, რადგან რუსეთი მართლაც ზარალდებოდა და როცა უკრაინის საქმე გახმაურდა, ბევრიც იწვალა, მაგრამ ნახევარი მილიარდი დოლარი ველარ დაიბრუნა. ისევე ვერ დაიბრუნებდა 100 მილიონ დოლარს საქართველოდან. მაშინ საქართველოში ომი იყო და რუსეთს შევარდნაძეც კი აგრესორად ნათლავდა, ხოლო 100 მილიონამდე დოლარი რა საშუალებებს იძლეოდა სამხედრო და სოციალური საკითხების გადაჭრისათვის, ამას კომენტარი აღარ სჭირდება. რა შეიძლება მოინათლოს "საუკუნის აფიორად" ანუ უბრალოდ აფიორად - 102,7 მილიარდი მანეთის საქმე თუ ბრალდებები ამ საქმის ირგვლივ, რომელიც პოლიტიკურ დივიდენდებზეა გათვლილი - ეს სხვამ უნდა განსაჯოს.

მხოლოდ ორი შეკითხვა:

ღმერთისა და კაცის წინაშე შემიძლია განვაცხადო, რომ არ ვაპირებ ვეკამათო ადამიანებს, რომლებიც მაღალ სავარძლებში მსხდომნი ავლენენ სრულ უნიათობას და მხოლოდ სავარძლიდან ჩამოხტომის შემდეგ ფართხალებენ. საზოგადოდ უნდა დაისვას ორი შეკითხვა:

1. რატომ არ შეუწყო ხელი საქართველოს მთავრობამ და მათ, ვისაც ეს ევალებოდა, 102,7 მილიარდის ოპერაციას, რომელიც კულისებში მიმდინარეობდა?

2. რას ნიშნავს ამ საქმის გამო დაუსრულებელი ბრალდებები. რა არის ეს: პოლიტიკური ავანტიურა თუ მოსახლეობისათვის გადაყრილი საკენკი, რომ მან არ მოითხოვოს დასახელდეს, სად და ვის სახელზე ინახება საზღვარგარეთის ქვეყნების ბანკებში საქართველოს ქონების ნაწილი არა ცარიელი ავიზოების, არამედ ტკიცინა დოლარების სახით?

*რევაზ ახატნელი*
*მოსკოვის კომერციული ბანკის "ომეგას" მმართველის მოადგილე*

**2005 წლის ღამე თბილისურად**

B2

**ოუენი კმაყოფილია**

B4

**დეპარდიე ხამანწკასა და ღვინოს გვთავაზობს**

B8

# ქართველი მჭედელი ჰოლანდიიდან

*გოჩა ლალიძე უკვე ათი წელია, ოჯახთან ერთად ჰოლანდიაში ცხოვრობს. საქართველოდან რომ გაემგზავრა, ხევსურული ჯაჭვის პერანგებისა და მუზარადების არაერთი ნაკეთობა ჰქონდა გამოჭედილი, იყო ქართული ჯარის ოფიცერი, დღეს ვეტერანია. ამ წლების განმავლობაში ნიდერლანდებში არაერთი შეკვეთა შეასრულა მუზეუმებისთვის: ნიდერლანდების ეროვნული გმირების საბრძოლო აღკაზმულობის, საეკლესიო ნივთების ასლები. მის ოთხენოვან საიტზე საავტორო სამკაულების ულამაზესი სერიაა.*



დალი კუპრავა

**- როდის, რა მიზნით და რა მიზეზით გაემგზავრეთ ჰოლანდიაში?**

- 1994 წელს. მიზანი საერთოდ აბსტრაქტული ცნებაა, მაგრამ კონკრეტულად, მინდოდა ოჯახი გადამერჩინა საკუთარი თავის რეალიზების საშუალებით. მე ბავშვობიდან მინდოდა ევროპელი რაინდის აღჭურვილობის შესწავლა და დამზადება. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ქვეცნობიერი მიზეზი იყო, მოკლედ კი, ეს ნაბიჯი მიმაჩნია განგების ნებად..

**- რა ჰქვია თქვენს პროფესიას?**

- პროფესია - მეიარაღე. მე ვაკეთებ ცივ იარაღს, წარსული ცხოვრების საბრძოლო აღჭურვილობას. პროფესია - მჭედელი.

**- ვის სჭირდება ეს პროფესია?**

- ამ დღეებში წავიკითხე, რომ სასულიერო აკადემიაში არის ცივი იარაღის სამჭედლო და მოღვაწეობს მჭედელი. ვის სჭირდება ეს?! საბრძოლო აღკაზმულობა -ხმლები, მუზარადები, ჯაჭვის პერანგები კულტურული ფასეულობაა. როგორ გითხრათ, აი, ხევსურული საბრძოლო აღჭურვილობა - ეს არის ჩვენი იარაღი, რომელმაც ჩვენ გადაგვარჩინა. დაგვრჩა ისტორიული ნიმუშები, რომლის ნაწილიც გასულია საქართველოდან. მაგრამ, ეს ტრადიცია დაკარგულია, გამოყენებითი ფუნქცია არა აქვს. მაგალითად, ჯაჭვის პერანგი. მე მხვდა წილად, პიონერი ვყოფილიყავი ჯაჭვის პერანგის აღდგენაში. ეს შემდეგ შეფასდა საქართველოს მუზეუმის მიერ, როგორც ძალიან საჭირო (შეფასება რომ არ ჰქონოდა, მე მაინც ღვთის განგებას მივაწერ).

რაინდის აღჭურვილობა მსოფლიო მატერიალური ფასეულობის ერთ-ერთი ელემენტია. როგორ შეკვეთას ვასრულებ ჰოლანდიაში? ეს არის დაკარგული რაინდის აბჯარი, რომელიც არ არსებობს, მარტო ფრესკებზეა. მუზეუმებს სურთ, რომ დამთვალიერებელს ანახონ, თუ როგორ გამოიყურებოდა ის ადრე, როცა ახალი იყო. ისე მოხდა, რომ ისინი ეძებდნენ გამკეთებელს. ამ დროს, მივდივარ და ვეუბნები, მე ვარ ეს, შემიძლია ეს. მუზეუმის კურატორს მოსდის იდეა - რატომაც არა? ეს ელემენტარული და უბრალო ახსნაა და მარტივი პასუხია კითხვაზეც: ვის სჭირდება ეს.

**- ჩვენ ხომ წარსულს ყურადღებას ვაქცევთ, ვიცავთ, აღვადგენთ, მაგრამ აბჯარზე არაფერი მსმენია. იქ ჰოლანდიაში ნუთუ ამდენად მნიშვნელოვანია "ისტორიის ატრიბუტები"?**

- ჰოლანდიას აქვს შესაძლებლობა, თავს მეტის უფლება მისცეს. მაგალითად, საქართველოს მუზეუმში ჰქონდათ სურვილი, შეეძინათ ჩემი ნაჭედი ხევსურული აბჯარი, მაგრამ არ ჰქონდათ საშუალება. სურვილი მქონდა, მაგრამ მხოლოდ ბოლო ხანებში გამიჩნდა საშუალება, რომ ვაჩუქო მუზეუმს. ჰოლანდიაში უმდიდრესი მუზეუმებია, აქვთ ფინანსები, მილიონობით გულდენს, ახლა უკვე ევროს, იხდიან ნახატებში, მათ აქვთ საშუალება, რომ ხორცი შეასხან თავიანთ სურვილს, უხარიათ, რომ ეს შეუძლიათ. იცით, ძირითადი აქცენტი გაკეთებული აქვთ ბავშვებზე, რომ ანახონ, მათ წინაპრებს როგორი ტანსაცმელი ეცვათ.

**- ჩვენ იგივეს ვერ გავაკეთებთ, რომ ვაჩვენოთ, როგორ ეცვათ მათ წინაპრებს - დავით აღმაშენებლის ან ვახტანგ გორგასლის საბრძოლო აღკაზმულობა რომ აღვადგინოთ. ჩვენ ფული არა გვაქვს, შესაბამისად, ჩვენი ბავშვები ამ "თვალსაჩინოებას" მოკლებული არიან.**

-საქართველოში ყოფნის დროს ამაზე არ მიფიქრია, ასე სერიოზულად არ დავფიქრებულვარ. ახლა რომ მკითხეთ, იქ ჰოლანდიაში აქვთ საშუალება, გადამიხადონ, რომ მე ბინის ქირა გადავიხადო, თორემ ამ საქმით გამდიდრება წარმოუდგენელია. მაგრამ, ელემენტარულ პირობებს ჩემი ოჯახისთვის მიქმნის.

**- პრაგმატულად, თქვენ თქვენი საყვარელი საქმიანობით, თვითრეალიზაციით, იქ შეგიძლიათ იცხოვროთ, ოჯახი არჩინოთ. აქ ვერ იცხოვრებდით?**

-აქ საკმაოდ კარგად ვცხოვრობდი, მაგრამ მერე აირია ყველაფერი. საქართველოში ათეულობით ქართული აბჯარი მაქვს გაკეთებული და გაყიდული, დარჩენილიც არაფერი მაქვს სახლში, საკოლექციოდ. აბსოლუტურად ყველა ნაკეთობა თავის დროზე იყიდებოდა. მერე ყველაფერი შეიცვალა. ჰოლანდიაში საავტორო ასლების შეკვეთები მაქვს. მათ ფასეულობა აქვს, რადგან ისინი მეომარს ეცვა. საქართველოში ამგვარი ნიმუშები ბევრად მეტია, ვიდრე ჰოლანდიაში. იქ იარაღის მიმართ საკმაოდ უინტერესოდ არიან განწყობილი, ჩვენთან კი კოლექციებიც გვაქვს ოჯახებში. იქ პირველ შეკვეთას ჯაჭვური რეაქციით მოჰყვა მეორე, მესამე.

**- თქვენს ჩასვლამდე ამას ვინმე აკეთებდა იქ? აღდგენა, ასლები - ვინმე მუშაობდა ამაზე თუ თქვენ დაიწყეთ?**

- როცა მათ ჩემი ნამუშევრების ფოტოები ნახეს, მითხრეს, რომ ჩვენ ვამზადებთ ისტორიული თარიღის აღსანიშნავ დღესასწაულს და გვინდა, თქვენ მოგანდოთო ცნობილი ისტორიული გმირის, პრინცის, მაურიციო ორინის აბჯრის გაკეთება. ოცგვერდიანი ხელშეკრულება გაფორმდა, თითქმის წლამდე გაგრძელდა ეს პროცესი, დეტალების შეთანხმება.

**- რამდენ ხანში შეასრულეთ?**

- ორასამდე ესკიზი გაკეთდა ფოტოსურათების საფუძველზე. ჯერ ფოტოებით ვიმუშავე და შემდეგ შევისწავლე ორიგინალი. ათი დღით მომცეს ორიგინალი - თეთრი ხელთათმანებით, ვიდეოკამერით ვსწავლობდი. მეთყვალყურეების თანდასწრებით დაიშალა ორიგინალი. ფაქტობრივად, ეს იკონოგრაფიული ექსპონატია და ათი დღე მოვუნდი, რომ მილიმეტრებში გაზომილიყო. განსხვავება ორიგინალსა და ასლს შორის ისაა, რომ ერთი ძველია და მეორე ახალი და ფერი - ის შავია და ჩემი ასლი - ლურჯი. ასე იყო მოლაპარაკება.

**- და არა თქვენი შემოქმედებითი "თავნებობა"?**

- მე მითხრეს, რომ არ მოვითხოვთ ზუსტ კოპირებას, მაგრამ უნდა იყოს ხარისხიანიო. პირობების შესრულებას სიზუსტით მოითხოვენ. შეკვეთა ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი. მოდიოდნენ ექსპერტები, ამოწმებდნენ. კონტრაქტით ასე იყო, სამ დღეში მომდიოდა დადასტურება, რომ შემიძლია, გავაგრძელო. ეს დიდი მოვლენა იყო თვითონ ჰოლანდიისთვისაც. მაგალითად, იუნესკოდან ვენეციის სამხატვრო აკადემიის პროფესორი სამჯერ იყო ჩემთან სახლში, თავიდანვე ვიცოდი, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს ვაკეთებდი.

**- თქვენთვისაც ხომ პირველი იყო და ამდენად მნიშვნელოვანიც, ორმხრივად მნიშვნელოვანი - ეს იყო მათი ეროვნული გმირი. აი, წარმოიდგინეთ ანალოგიური მასშტაბის გმირის აღჭურვილობა, მაგალითად, დავით აღმაშენებლის, რომ საქართველოში გამოაჭედინონ ვინმე არაქართველს, რა ატყდებოდა. ხომ იტყოდნენ, რა, ქართველი მჭედელი დაილიაო? და, ალბათ, კორუფციაზეც მიანიშნებდნენ - ამით ვიღაც ხელს ითბობსო.**

- როგორ გიპასუხოთ, არ ვიცი. საქართველოში არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებინებდნენ არაქართველს, რაც უნდა მაგარი ყოფილიყო ის უცხოელი.

თვითონ პრინცმა მაურიციომ შექმნა რეგულარული ჯარი, სადაც ბევრი უცხოელი ჰყავდა. მე მგონი, იქ უფრო პროფესიული თვისებები იყო განმსაზღვრელი. რა ვიცი, იქნებ, ესეც განგებაა. ისე, მუზეუმი აცხადებდა ტელევიზიით, რომ ჩვენ ათი წელი გვინდოდა ამის გაკეთება და ვერ ვიპოვეთ სპეციალისტი, რომელიც ამას გააკეთებდაო. ამ ქართველმა მჭედელმა დაგვანახა, რომ ეს შეუძლია და ჩვენ მივეცით ეს შეკვეთაო. ასე თქვეს და ეს განმეორდა სხვადასხვა ტელევიზიით. ჰოლანდიელები ასე პასუხობდნენ ამ კითხვას.

**- ისე, რომ მჭედელი არ ჰყავდა ჰოლანდიას და ქართველი ჩავიდა, არ ყოფილა?**

-არა, იმასაც ამბობდნენ რომ ჩვენ ძალიან კარგი მჭედლები გვყავს, რომლებიც სპეციალიზირებული არიან საეკლესიო ნაკეთობებშიო. ითქვა ისიც, რომ არის ჰოლანდიელი მჭედლების გილდია, ისინიც გაეცნენ და იქაც ითქვა, რომ ჩვენი ბრწყინვალე მჭედლებიდან არ გვეგულება ვინმე, ვისაც ამას ვანდობდითო.

**- მჭედლობა ხელობა არ არის, გამოყენებითი ფუნქციით მჭედელი არავისთვის არ არის საჭირო. მჭედელი ხელოსანია დღეს თუ ხელოვანი?**

- ჰოლანდიაში ძალიან ბევრი ცხენია და, შესაბამისად, მჭედლებიც, რომლებიც ნალებს ჭედავენ. არიან, რომლებიც ჭიშკრებს აკეთებენ. იქ ყველაფერი გარკვეულია, არსებობს ტაბულები, სადაც წერია მჭედელი, აბჯრის გამკეთებელი, ამბახტი (ხელოსანი). 400 წლის წინათ რემბრანტიც ამბახტი იყო. მაშინ არ არსებობდა "ხელოვანი", შემდეგ მოხდა ეს, ნაპოლეონის შემდეგ გილდიები დაიშალა. საგადასახადოს მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი შემოუვიდეს სახელმწიფოს. ბიუროკრატიული სისტემა იქაც ძალიან განვითარებულია. მე იქ შევეჯახე ამ მანქანას, რომელსაც ბევრი ქაღალდი უნდა, ცოტა მტკივნეული პროცედურაა - რაც თეთრია, იმაზე რომ გეუბნებიან, შავიაო.

**- და მაინც, ამბახტი ხართ თუ ხელოვანი?**

- ხელოვანი. ასე დაასკვნა საგადასახადომ. შევხვედრივარ ხელოვანს, რომელიც არ ამბობს, რომ ხელოვანია, მაგრამ საგადასახადო გეუბნება, რომ შენ ხელოვანი ხარ იმიტომ, რომ შენი შექმნილი ობიექტი შეფასებულია, როგორც ხელოვნება. სათქმელად როგორია - "მე ხელოვანი ვარ"? მაგრამ, ზოგჯერ, თუ არ იტყვი, საგადასახადო დაგჩაგრავს.

**- "იქ" ხომ ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ, ეტყობა, თქვენამდე არ დამდგარა საკითხი გაერკვიათ, რა სტატუსი მიეცათ ამ საქმიანობისთვის.**

- ჰო, აბჯარს ორი საუკუნეა, აღარ აკეთებენ. ნიდერლანდებში ხალხს კანონის სჯერა, თუმცა ბუნებრივ განვითარებას არც კანონი უწევს წინააღმდეგობას. ჰოლანდიაში ფოტოგრაფიამ ოცდაათი წლის წინ მიიღო ხელოვნების სტატუსი, ძალიან ბევრი ფოტოგრაფი იყო და მანამ ეს იქ ხელოსნობად ითვლებოდა.

**- და მაინც, "მჭედელთა " შორის თქვენ პირველი აღმოჩნდით და აიძულეთ სტრუქტურა, რომ ხელოვანის სტატუსი მოეცათ. თქვენ შემდეგ ვინც იქნება, მისთვის უკვე გაკვალულია კანონიერი გზა.**

- სხვათა შორის, ჩემმა ერთმა იქაურმა მეგობარმა ექსპერიმენტი ჩაატარა და სახელოსნოში შემოსულებს ეკითხებოდა - ათი გამოკითხულიდან რვამ ხელოვნებააო, თქვა.

**- ის ვინ იყო, ვინც თავის დროზე მაურიციო ორანის აღჭურვილობა დაამზადა? მაშინ ხომ ეს ფუნქციური საქმიანობა იყო, ისეთივე პირველადი დანიშნულების საგნის დამზადება, როგორც სავარცხელია, ან სარკე?**

- დღეს, რასაც მე ვამზადებ მუზეუმისთვის, არ არის გამოყენებითი, მაგრამ ის, ვინც ორანის საჭურველი დაამზადა, ხელოვანი იყო. ხელობა ხელოვნებას არ გამორიცხავს.

**- ე.ი. ნიდერლანდებში თქვენ ხართ...**

- ჰოლანდიაში მე ასე წარმადგენენ ხოლმე: ქართველი არტისტი, ქართველი მჭედელი, ქართველი კუსტენარი (ხელოვანი)...

**- აი, თქვენც მითხარით, რომ ბატონ კოტე ჩოლოყაშვილს აქვს ნაშრომი, მუზეუმშიც მინახავს ნიმუშები, მაგრამ სხვა ქართულ ისტორიულ საბრძოლო აღჭურვილობაზე არაფერი მსმენია. გამოდის, რომ ჩვენ ამას უფულობის გამო ვერ ვახერხებთ?**

- კოტე ჩოლოყაშვილი მეცნიერია, სპეციალისტი. მას აღდგენის სურვილი თავის ნაშრომში არ გამოუთქვამს, მაგრამ ჩემს პირველ აღდგენილ ჯაჭვის პერანგს ტელევიზიით რეკომენდაცია გაუწია და მოიწონა. ბატონი კოტეს წერილი ძალიან აქტუალურია, სხვათა შორის, მას აქვს მინიშნებული მეცამეტე საუკუნის ორ ქართულ სარაინდო ალკაზმულობაზე, რომელიც გერმანიის მუზეუმში უნახავს. მე ართხელ მოვძებნე სპანდაუს მუზეუმის დირექტორის საზოგადოებაში და დახმარება ვთხოვე, რომ მიმეკვლია ამ ექსპონატებისთვის. შევადგინეთ წერილი და გერმანიის მინიშნებულ მუზეუმს გავუგზავნეთ. ჯერჯერობით, ძიების პროცესში ვარ, რადგან იმ მუზეუმიდან მომწერეს, რომ მუზეუმის არქივიდან ბერლინის ხალხთა მუზეუმშია გადაგზავნილიო. ვნახოთ, იქიდან რა პასუხს მივიღებ, არის თუ არა იქ.

**- თუ მიაკვლევთ, მაშინ?**

- ჩავალ იქ და ფოტოებს გადავუღებ. თუ ის ნამდვილად ქართულია, ალბათ, ასლიც უნდა გაკეთდეს.

**- საქართველოში ჩამოსატანად?**

- არა, ასლი ორიგინალი არ არის. საქართველოს ორიგინალი უნდა დაუბრუნდეს.

რატომაც არა?! ეს და კიდევ ბევრი სხვა ნიმუში მეცხრამეტე საუკუნეში კავკასიიდან გერმანიაში გაჰქონდა გუსტავ რადეს, კავკასიის მუზეუმების დირექტორს, რომელიც ამბობდა, რომ ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეწევა.

**- რომ დავტოვოთ იქ ეს აღჭურვილობა და ჩვენ ასლი გვქონდეს? თუმცა, ასლს ვერ გავაკეთებთ, ფული არა გვაქვს.**

- ყველა შემთხვევაში, თუ გერმანიის ნება არ იქნა, ჩვენ იმ ნიმუშებს ვერ წამოვიღებთ და ვერც ასლს გადავიღებთ. იაპონელები დღეს იბრუნებენ თავის იარაღს, რომელიც ომის დროს გაიზიდა მათი მუზეუმებიდან. ეს მათი შინაგანი მოთხოვნაა.

აი, ჰოლანდიელები ოთხმოც მილიონ გულდენად ყიდულობენ საკუთარ ფერმწერს, ონდრიანს, მაგრამ არ ინტერესდებიან ჰოლანდიური საბრძოლო აღჭურვილობის ობიექტების ავსტრიიდან წამოღებით - ყველა ქვეყანას, ისევე როგორც ადამიანს, მატერიალური კულტურის შეფასების საკუთარი სისტემა აქვს და ინდივიდუალურად განსაზღვრავს, რა უფრო სჭირდება.

**- თქვენი სახელოსნო ვულკანოსის სამჭედლოს ჰგავს, მუდმივი ცეცხლით?**

- ნამდვილ სახელოსნოს დიდი ინვესტირება სჭირდება. ეს არის სუფთა სახელოსნო, თანამედროვე ელექტრონული "ცეცხლით", მე იქ სტუმრებსაც ვიღებ. თუმცა, ვულკანოსის სახელოსნოს იდეა დიდი ცდუნებაა.

**- მოსწავლეები თუ გყავთ, თქვენ ხომ მასწავლებლის იდეალიც გყავთ - ჯუანშერ ჯმუხაძე, ზვიად სპასალარის როლის შემსრულებელი ფილმში "დიდოსტატის მარჯვენა"...**

- ორი წელი ვასწავლიდი სამხატვრო სასწავლებელში, ხევსურული ალკაზმულობის დეტალების ჭედვის ხელოვნებას. ბატონი ჯუანშერი კი ისტორიის მასწავლებელი იყო "კომაროვში". ერთხელ ჩემი გაკეთებული დანა აღმომიჩინა და ჩამომართვა. მეორე დღეს თავისი გაკეთებული ჯავარდანი, უნიკალური ქართული ჯავარით გამოჭედილი მინიატურული ხმალი მომიტანა საჩუქრად და...

**- დაიწყო?**

- დიახ. დღესაც ვიყავი ბატონ ჯუანშერთან და თუ რვა იანვრამდე რჩები, რვაჯერ მომინახულებო, მითხრა. ათი წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნება ჩემთვის დიდი ემოციური სტრესია, მერიდება, რომ იმას, რასაც მე ახლა განვიცდი, ასე ვუწოდებ. ნიდერლანდებში ქართველები მეუბნებოდნენ, რომ საქართველოში შენ შესახვედრად არავის "სცხელა", ყველას თავისი გასაჭირი აქვსო. მე ეს არ მიგრძვნია. დიდი სიყვარული, აი, რა დამხვდა. ჩემი ქალიშვილი სოფიო ცხრა წლისაა, ბიჭები - გიორგი და ლაშა 16 და 14 წლის არიან და ბავშვობის მერე არ ყოფილან საქართველოში. მინდა, რომ ზაფხულში ჩამოვიყვანო. ქართული, რა თქმა უნდა, იციან - ოჯახში მხოლოდ ქართულად ვსაუბრობთ. ბავშვები სკოლაში დადიან. გიორგის, ჯერჯერობით, მასწავლებლობა უნდა, შემდეგ რას გადაწყვეტს, არ ვიცი...

**- იცით, უკანასკნელი წლების მანძილზე ჩემს პრაქტიკაში არ შემხვედრია მოზარდი, რომელიც მასწავლებლობაზე ფიქრობდეს. მე აქედან ვასკვნი, რომ განათლების სისტემა ნიდერლანდებში კარგია, რადგან ამ სურვილს უჩენს ახალგაზრდას.**

- ალბათ, ეს უფრო ჩემმა მეუღლემ იცის, ოჯახის უფროსის და ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მამის კლასიკური ტიპი გამოვდივარ.

**- და სწორედ აქედან გამომდინარე, თქვენ, ჯერჯერობით, არც ფიქრობთ საქართველოში დაბრუნებაზე. აქ თქვენი საქმიანობით ვერ შეძლებთ ოჯახის სრულფასოვან უფროსობას.**

- თქვენ ახლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანს შეეხეთ, ეს ჩემი გენეტიკური კოდია, ისევე როგორც ჩემი საქმე. მაგრამ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. მე ნიდერლანდებში ვცხოვრობ. ჰოლანდია ის ქვეყანაა და ჰოლანდიელები ის ხალხია, რომელმაც მე და ჩემი ცოლ-შვილი სიყვარულით მიგვიღო და მე მიყვარს ის, თუმცა ორი სამშობლო არ არსებობს. სამჭედლო საქართველოში - ეს ჩემი დიდი ზღაპარია.

**- ქართულ მითოლოგიაში რა ჰქვია მჭედელს?**

- ალბათ, თაბალი. ბიბლიაში გვაქვს ტუბალი. საერთოდ, მჭედელი საკრალური პროფესიაა. საქართველოს მითოლოგიასაც ჰოლანდიაში ჩავწვდი.


მეფე არტურის მუზარადი (ასლი)


პრინც მაურიცის საჭურველი (ასლი)


ხევსურული საბრძოლო იარაღი (ორიგინალი)


ხევსურული მუზარადი და სამკაულები (ორიგინალი)


პრინც მაურიცი ორანის აღჭურვილობა

B2 რეგიონი B3 რეგიონი B4 სპორტი B5 სპორტი B6 კანონიერების კულტურა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა




### კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
წლის სიმღერა
დას: 18:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი
დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"მაკანატუნა"
ხელმძღვანელი: მაკა მახარაძე
დას: 14:00; 17:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"დუმილის პოეზია"
რეჟისორი: კ. მებუკე
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"მეოცნებენი"
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ღრუბლებთან თამაში"
დას: 22:15 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 11:00; 13:15; 15:30; 17:45; 20:00 სთ.

**ამირანი**
"წყალქვეშა საძმო"
დას: 16:00; 20:00 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 10:00; 12:00; 14:00; 18:00 სთ.

"ცხრა იარდი 2"
დას: 22:00 სთ.
ფასი: 4-დან 9 ლარამდე

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

"ზღვისეული"
დას: 20:00 სთ.

### გამოფენები

**ქარვასლა**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონანტთა გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საშობაო ფესტივალი

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ჰობი**
საშობაო გამოფენა

**TMS**
ნინო ფერაძის გრაფიკულ ნამუშევართა საშობაო გამოფენა-გაყიდვა

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"სამკაული და ისტორია"
მოძრავი გამოფენა-გაყიდვა

**ძველი გალერეა**
თანამედროვე ქართული კულტურა და მხატვრობა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# 2005 წლის ღამე თბილისურად

## ქართული ფოლკლორი, გერმანული ლაზერი და ყინულის მოედანი დიდი ბრიტანეთიდან

ვერა ნეფარიძე

*თქვენ გაქვთ ციგურები? თუმცა, საიდან. მაინც ვერასდროს წარმოიდგენდით, რომ თბილისში, თავისუფლების მოედანზე დიდი ბრიტანეთიდან ჩამოტანილ სინთეტიკურ ყინულზე მოგიწევდათ სრიალ-სრიალში შეხვედროდით ახალ წელს; ისევე როგორც გერმანული ლაზერული სისტემა LPS-ის ხელმძღვანელობა ვერ იფიქრებდა, რომ მისი უკანასკნელი, ძვირადღირებული შოუ თავისი მოწყობილობით მეხუთედ - სამჯერ გაერთიანებული ემირატებისა (შეიხების მიწვევით) და ბერლინის "მილენიუმის" გაფორმების შემდეგ, ხელმისაწვდომი იქნებოდა რიგითი თბილისელებისთვისაც. თუმცა, უძველესი გამოთქმის პერიფრაზს თუ მივმართავთ: ის, რაც ჩვენთვის, რიგითთათვის შეუძლებელია, შესაძლებელია ხელისუფალთათვის. მაინც რა მოუმზადა მოქალაქეებს თბილისის მერიამ კომპანია "ისთერნ პრომოუშენთან" ერთად?*



*"ყინულის კოქტეილის" გოგონები თბილისში ახალი წლის ღამეს ისრიალებენ.*

31 დეკემბერს მთავარი სამზადისი თავისუფლების მოედანზე საღამოს ცხრა საათიდან დაიწყება, როდესაც რუსთაველის პროსპექტი ავტომობილებისთვის გადაიკეტება. 11 საათზე სამნაწილიან საახალწლო ღონისძიებას გახსნის ფოლკლორის თეატრ "ნაბადის" 45-წუთიანი სანახაობა; ქვეყნის პირველ პირთა მილოცვამდე თბილისელები ("რუსთავი 2"-ის საშუალებით კი, დანარჩენი საქართველოც) პირველად იხილავს ლაზერული სისტემის - LPS-ის სანახაობას. LPS თბილისში ორგვარი შოუს ჩვენებას აპირებს. როგორც კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" წარმომადგენლები აღნიშნავენ, იმის მიუხედავად, რომ LPS-ის ლაზერული გაფორმება არაა უცხო სუპერჯგუფებისა და ვარსკვლავების დიდი კონცერტებისთვის (მაგალითად: U2-ს, "რამშტაინის"), ის, რაც გერმანელმა ოსტატებმა თბილისში ჩამოიტანეს, სხვადასხვა დროს ოთხჯერ უჩვენებიათ მხოლოდ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: სამჯერ გაერთიანებულ ემირატებში (შეიხების შეკვეთით) და ერთხელაც ბერლინში "მილენიუმზე". მეხუთე თბილისია.

ახალ, 2005 წელს თბილისი ხანგრძლივი და შთამბეჭდავი ფეიერვერკით შეხვდება; ფეიერვერკს კვლავ ლაზერული შოუ - ამჯერად თხუთმეტწუთიანი და განსხვავებული, შეცვლის. ამის შემდეგ კი, სინთეტიკური ყინულის მოედანს "ყინულის კოქტეილის" მოცეკვავეები დაიპყრობენ. და აქვე, ცოტა რამ ამ ჯგუფის შესახებ.

ჯგუფი თექვსმეტი მოცეკვავისგან შედგება. ინგლისელების გარდა მოცეკვავეებს შორის არიან რუსი, უკრაინელი, ფინელი, იუგოსლავიელი და ფრანგი გოგონები (დელეგაცია 25-კაციანია). ისინი ერთსაათიან სანახაობას შემოგვთავაზებენ.

"ყინულის კოქტეილი" შეიქმნა 1988 წელს ვივიან ჟირალდ და პოლ რობინსონების მიერ, საგანგებოდ მსოფლიოში აღიარებული მონტე კარლოს სპორტული კაფე - Sporting-on-Ice-თვის. იმ დროისათვის ვივიანი ყინულზე ცეკვაში ბელგიის ჩემპიონი და საერთაშორისო ოქროს მედალოსანი იყო. მანამდე იგი მონაწილეობდა ისეთ მასშტაბურ მსოფლიო პროექტებში, როგორიც არის: "არდადეგები ყინულზე" (5 მსოფლიო ტურნე), "ლიდო" პარიზში (იქ მას ოთხწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული). რაც შეეხება პოლ რობინსონს, ის როგორც ბრიტანეთის ჩემპიონი, 1994 და 1998 წლების ზამთრის ოლიმპიადაზე ბრიტანეთის სახელით გამოდიოდა; ამას გარდა, იგი არის მსოფლიო და ევროპის სამგზის ჩემპიონი. როგორც სოლისტი, მონაწილეობდა ყინულის კომედიური ჟანრის ცეკვებისა და სხვადასხვა პროფესიულ შოუებში. ამჟამად პოლ რობინსონი "ყინულის კოქტეილის" ტექნიკური დირექტორია.

"ყინულის კოქტეილის" ექსტრავაგანტული, თვალწარმტაცი სანახაობა, სხვადასხვა დროს იხილეს ევროდისნეიზე (იგივე საშობაო წარმოდგენას ვიხილავთ ახალი წლის ღამეს ოდნავ განახლებული სახით), კაზინო Deauville-ში (საფრანგეთი); "ფენტეზილენდის" თემატურ პარკში (გერმანია) თუ Cham Palace Hotel-ში (დამასკო). ყინულზე ცეკვის შემდეგ დაგეგმილი ათწუთიანი ლაზერული შოუ და სიურპრიზი თბილისში საახალწლო ღონისძიებას დაასრულებს. ორგანიზატორების ვარაუდით, ეს ყველაფერი თავისუფლების მოედანზე ღამის სამის ნახევრისთვის დამთავრდება.

# მივესალმები ნინოს ჩამოსვლას საქართველოში!

ზურაბ კიკალეიშვილი



თავისი მნიშვნელობით ნინო ანანიაშვილის ჩამოსვლა ისეთივე სასიკეთო მოვლენაა, როგორც წარსული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ვახტანგ ჭაბუკიანის დაბრუნება საქართველოში.

ვიგონებ 90-იან წლებს. საავადმყოფოში მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფმა ექიმებს მივმართე თხოვნით - ხმა მიეწვდინათ იმჟამად თბილისში ჩამოსული ნინოსათვის, ეზრუნა ქართული ბალეტისათვის, რომლის მომავალი ძალიან ბუნდოვნად მესახებოდა.

ეს იყო ვედრება! ასე მხოლოდ საკუთარ პირმშოს გადასცემენ საიმედო ხელში განსაცდელში მყოფი ადამიანები.

იმ პერიოდში ქართულ ბალეტს თითქოს მომავალი აღარ გააჩნდა. ის, რაც არაფრიდან რამდენიმე ათეული წლის მანძილზე შექმნა ჩვენმა და მომავალმა თაობებმა დიდი რუდუნებით, შრომით, მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების მოხმობით, თითქოს დასანგრევად იყო განწირული. არადა, საფუძველი მისი განვითარებისთვის ნამდვილად არსებობდა, თუკი გამოჩნდებოდა მოღვაწე, ვინც თავის თავზე აიღებდა ქართული ბალეტის აღორძინების ამ ურთულეს საქმეს.

სამწუხაროდ, მაშინ ასე არ მოხდა. რეპერტუარი და სპექტაკლები მწირი იყო (მოცეკვავეს კი სცენა სჭირდება შემოქმედებითი ზრდისათვის), მაგრამ რაკი დღეს ჩამოხვედით, ჩემი და მთელი საქართველოს უსაყვარლესო შვილო, ღმერთს მადლობას ვწირავ - ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს არაფერი დაკარგულა.

ჩემი ცხოვრება ასე აეწყო: არასოდეს მჭირდებოდა სიტყვები - რისი თქმაც მინდოდა, პლასტიკით გამოვხატავდი, ახლა წლების სიმძიმე აღარ მაძლევს ცეკვის საშუალებას, ამიტომ ამ ქაღალდს უნდა ვანდო მოსაზრება ქართული ბალეტის სამომავლო პერსპექტივის შესახებ.

უმძიმესი ტვირთი იკისრეთ, ძვირფასო ნინო! ბრძოლა ორ ფრონტზე მოგიწევთ: პირველთავად თეატრი, II - ქორეოგრაფიული სასწავლებელი. დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთელი ქართული საზოგადოება იმას, თუ რა ფაქიზად მოექეცით მოცეკვავეებს. გაასკეცებული სიფაქიზეა საჭირო რეპერტუარის შესარჩევად.

თუ გავითვალისწინებთ, როგორი ახალი ტენდენციები გაჩნდა მსოფლიო ხელოვნებაში, ეს საშუალებას მოგვცემს დიდი წარმატების იმედი ვიქონიოთ. კერძოდ, ეს არის უდიდესი ინტერესი ეროვნული ხელოვნებისადმი - მსოფლიო საგანძურთან ერთად აუცილებლად უნდა არსებობდეს ეროვნული სპექტაკლებიც - როგორც ბალანჩივაძის, მაჭავარიანის, თორაძის, გაბიჩვაძისა და ცინცაძის, ასევე თანამედროვე ახალგაზრდა კომპოზიტორებისაც. ჩემი სიტყვების სამართლიანობაში დაგარწმუნებთ ის გამოხმაურებანი, რომელიც არსებობდა ყოველი გასტროლის შემდეგ "მთების გულზე", "გორდაზე", "ბერიკაობასა" თუ სხვა სპექტაკლებზე. ძველი სპექტაკლების შენარჩუნების ორი გზა არსებობს: I - აღდგენა-რედაქტირება ან II - ახალი დადგმა. ორივე გზა მისაღებია, მაგრამ ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ მსოფლიო საბალეტო პრაქტიკაში არსებობს კლასიკური ბალეტების მთელი წყება, რომლებიც არ იცვლება (ან უმნიშვნელოდ იცვლება) ათწლეულების მანძილზე. ცხადია, ქართული ბალეტი არ იმსახურებს, რომ სპექტაკლები იქცნენ მტვერწაყრილ სამუზეუმო ექსპონატებად, ამიტომ მათი შენარჩუნებისთვის ახალი გზების მოძიება საჭირო.

ჩემი ძალიან ხანგრძლივი სიცოცხლე მაძლევს ნებას უფრთხილესად გირჩიოთ - მხოლოდ ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიო შერწყმით არის შესაძლებელი ნამდვილი, უბერებელი შემოქმედებითი ფასეულობების შექმნა.

რაც შეეხება ქორეოგრაფიულ სასწავლებელს - აქ მდგომარეობა თითქმის კატასტროფულია: მე ვესწრებოდი სახელმწიფო გამოცდებს - ჩემი განცდა სავალალოა, არა იმიტომ, რომ გვაკლია ან პროფესიონალი აღმზრდელები, ან ნიჭიერი ახალგაზრდობა - არა!

მოსწავლეებსა და პედაგოგებს უნდა შეექმნათ შრომისა და სწავლის ნორმალური პირობები - ყოველ შემთხვევაში, ავტობუსებში არ უნდა ტარდებოდეს გაკვეთილები. ხომ არ არის დრო, რომ მთავრობას მივმართოთ თხოვნით - სასწავლებელი თეატრთან ახლოს მდებარეობდეს. გარწმუნებთ ნინო, რომ მე და ჩემი თაობის ქართული ბალეტის მოღვაწენი ამ საქმეშიაც თქვენი მხურვალე მხარდამჭერნი ვიქნებით. ყოველმხრივ შევეცდებით საზოგადოებრივი აზრის შექმნას თქვენს სასარგებლოდ, რადგან ეს იქნება მძაფრი ბრძოლა - ვიზრუნოთ ახალი შენობისათვის. აგრეთვე საჭიროა, შეიქმნას პროფესიონალების ჯგუფი, რომელიც მოაწყობს გასვლით კომისიებს საქართველოს პერიფერიებში და მოიზიდავს ნიჭიერ ახალგაზრდობას. დარწმუნებული იყავით, რომ საქართველოში ერთადერთი, რაც არა გვაქვს დეფიციტური, ეს გახლავთ ნიჭი.

ჩემო ძვირფასი ნინო!

გარწმუნებთ, რომ ეს წერილი არა მენტორის მიერ არის დაწერილი, არამედ თქვენი მოყვარული და თქვენთვის მლოცველი კაცის მიერ.

ქართულ ხელოვნებას თუ დაღუპვა არ უწერია, მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ყველაზე მძაფრ, კრიტიკულ მომენტებში გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც უარს ამბობენ საკუთარ ამბიციებზე, საფუძვლიან სიამაყეზე, კომფორტზე და თქვენსავით თავს წაუხრიან ქედს უმძიმეს სამუშაოს. ამას მოღვაწეობა ჰქვია, ძვირფასო ნინო. ღმერთმა დაგაძლევინოთ ეს უმძიმესი ტვირთი და მეც მუდამ თქვენ გვერდზე მიგულეთ - ხომ იცით, ბებერი ხარისა რქებიც ხნავენო...

*მოკლედ*

# თეატრის იუბილე ქუთაისში

გუშინ ქუთაისში მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის 35 წლის იუბილე აღნიშნეს.

1969 წლის 27 დეკემბერს თეატრი ზაქარია ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერით" გაიხსნა. მაშინ ქუთაისში ცნობილი საოპერო ვარსკვლავები - მედეა ამირანაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, ცისანა ტატიშვილი, ნოდარ ანდღულაძე და სხვები მოღვაწეობდნენ.

"35 წლის განმავლობაში თეატრში თითქმის ყველა ქართული ოპერა დაიდგა", - განაცხადა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ. მისივე თქმით, ორკესტრში დღესაც უკრავენ ისეთი ადამიანები, რომლებიც 35 წლის წინ პირველ სპექტაკლებში მონაწილეობდნენ.

ქუთაისის საოპერო თეატრს იუბილე ადგილობრივმა მთავრობამ, თბილისის და ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრებმა, სახელმწიფო კონსერვატორიამ და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებმა მიულოცეს. ***ინტერპრესი***

# „ბომ-ბი". „ბო-ნო". ასო-ბგერა „ბ"

ერთი ლექსიკური ნიშნის წელიწადი

*შონ დეილი "ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველია. როცა მას დაავალეს, 2004 წლის მუსიკალური მიმოხილვა დაეწერა, დეილიმ წერილის შესადგენად ძალიან ორიგინალური გზა გამოძებნა. ტრადიციული და სტანდარტული დაჯგუფებების ნაცვლად - ისეთი, როგორიცაა: წლის წარმატებული მომღერლები, წლის მარცხი და ა.შ. - ჟურნალისტმა მუსიკალური მოვლენები ანბანის მიხედვით განალაგა. ამ პროცესში შონ დეილიმ აღმოაჩინა, რომ თუ 2004 წლის პოპ-მუსიკას ასოების მიხედვით მიუდგებოდა, ყველაზე წარმატებული ლექსიკური ერთეული გამოვიდოდა "ბ". ამ აღმოჩენამ დეილი ისე გაახალისა, რომ საბოლოო ჯამში, არაჩვეულებრივი წერილი გამოუვიდა. გამოიყენა ბევრი სიტყვების თამაში, წინადადებები მაქსიმალურად დახუნძლა "ბ"-ზე დაწყებული სიტყვებით და ხუმრობა-ხუმრობით დაგვიმტკიცა, რომ 2004 წელს პოპ-მუსიკის მეფე ასო-ბგერა "ბ" იყო. ცხადია, ამ წერილის უდავოდ სახალისო, მაგრამ სპეციფიკური წყობის გამო, მისი თარგმნა გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც ვეცდებით, შონ დეილის მოსაზრება "ბან"-ის შესახებ მაქსიმალურად გადმოგცეთ:*



**Blame it on the breast**. - პირველივე წინადადება ორი "ბან"-იანი სიტყვით იწყება და ნიშნავს შემდეგს: "ყველაფერი მკერდს დააბრალეთ".

ავტორი ჯანეტ ჯექსონის მკერდს გულისხმობს, რომელიც "სუპერ ბოულის" ფინალური მატჩის თანმხლებ კონცერტზე გამოსვლისას ჯასტინ ტიმბერლეიკმა შემთხვევით გააშიშვლა. მაშინ ჯექსონმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ პოპ-მუსიკაში "ბ"-ების ეპოქას უდებდა სათავეს. ამ ძველმა, პატარა ასომ 2004 წელს ხომ შეუდარებელი დრო ატარა. სანამ 2004 წელი ბონოს მიერ აფეთქებული ბომბით მიილეოდა, იყო "ბიჩ ბოიზის" ხელახლა დაბადება, ჰიპ-ჰოპში "დროფაუთ ბეარის" გამოჩენა და "ბლუ" - იგივე ლურჯი შტატებისთვის გამართული ბრძოლა "ბოსსა" და ბუშს შორის. გარდა ამისა, მოხდა კიდევ ერთი, შოუბიზნესისთვის არანაკლებ "მნიშვნელოვანი" მოვლენა: ბრიტნი სპირსმა მეორედ იქორწინა, "გრინ დეის" სოლისტმა ბილი ჯო არმსტრონგმა კი პანკ-პოპ ოპერა შემოგვთავაზა. იყო კიდევ ერთი "ბ" - მნიშვნელოვანი უარყოფითი რაკურსით - ლენი კრავიცის ალბომი Baptism - "მონათვლა". თუმცა, ასე ცალ-ცალკე რომ არ ვეძებოთ მნიშვნელოვანი "ბან"-ები, გამოვყოთ მხოლოდ ის მყვირალა შემთხვევები, რომელთაც 2004 წლის პოპ-მუსიკა განსაზღვრეს.

**"ბ" - ნიშნავს ბიონსეს**; ჯეიზის განიერთეძოებიან შეყვარებულს. ნოემბერში "დესთინიზ ჩაილდ"-თან ერთად მოწყობილი მისი კონცერტი ბევრს არ მოეწონა, მაგრამ ბიონსე ნოულსმა მაინც შეძლო შოუების მოყვარული პუბლიკის დარწმუნება, რომ მის კონცერტზე წასვლა ყოველთვის ღირს. ეს ლამაზმანმა მომღერალმა ალიშია ქიზთან და მისი ელიოტთან მოწყობილი ტურნეს შემდეგ დაამტკიცა. ეს საკონცერტო სერიალი წლის უმნიშვნელოვანესი შოუ იყო.

**"ბ" - ნიშნავს ბრაიანს** და იგულისხმება "ბიჩ ბოიზის" სოლისტი ბრაიან უილსონი, რომლის ახალ ალბომს Smile-საც წელს ყველაზე მეტად ელოდნენ... თუმცა, არა მარტო წელს - გასული 36 წლის განმავლობაშიც. უილსონის დიდი ხნით დაგვიანებული შედევრი მართლაც ულამაზესად ჟღერდა, ისე როგორც კალიფორნიული მზის ჩასვლა.

**"ბ" - ნიშნავს "ბუუ"-ს**, ჰიტს რიტმ-ენ-ბლუზის ვარსკვლავის აშერის ახალი ალბომიდან Confessions. ეს სიმღერა აშერმა ალიშია ქიზთან ერთად ჩაწერა. თვითონ ალბომი წლის ყველაზე მეტად გაყიდვადი კომპაქტი გამოდგა - 7 მილიონი გაყიდული ეგზემპლარით.

**"ბ" - ნიშნავს Best Of-ს**, ანუ საუკეთესო სიმღერების კრებულებს. წელს მსგავსი ჩანაწერების ნამდვილი ბუმი იდგა. დინ მარტინიდან დაწყებული, Bee Gees-ით დამთავრებული, სულ დაახლოებით ათასამდე მომღერალმა გადაწყვიტა, ძველი ჩანაწერების გაშალაშინება და ხელახლა ჩაწერა. ჩანაფიქრმა გაამართლა. "საუკეთესოთა" კრებულები წარმატებული გამოდგა. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ხმის ჩამწერი კომპანიები ერიდებიან ახალ მუსიკაზე ფსონის დადებას და ამას ძველი, უკვე წარმატებამოპოვებული ჰიტების თავიდან ჩაწერა ურჩევნიათ.

**"ბ" - ნიშნავს ბობს** და ზუსტად იმ ბომბს, ვინც თქვენ იფიქრეთ. ბობ დილანი ისევ წერს, კვლავაც ბევრი პუნქტუაციის და ნარატიული დინების გარეშე, მაგრამ მაინც! ავტობიოგრაფია "ქრონიკები: ნაწილი პირველი" საინტერესო ცხოვრებისეული ეპიზოდებითაა სავსე და მისი წაკითხვა დილანის ყველა მსმენელს "ევალება".

**"ბ" - ნიშნავს ბითლზს**. წელს პირველად გამოვიდა ლივერპულელი ოთხეულის ოთხი ამერიკული ფორმატის ალბომიდან ერთი. გარდა ამისა, ლოს ანჯელესელი პროდიუსერის დი ჯეი დეინჯერ მაუსის წყალობით მელომანები რინგო სტარისა და მისი კოლეგების უცნაურ ალბომზე "ნაცრისფერი ალბომი" ალაპარაკდნენ. კომპაქტში შესულია შინაურულად გამიქსული ჩანაწერები "ბითლზის" თეთრი ალბომიდან და კაპელას მიერ შესრულებული ნაწილები ჯეი-ზის "შავი ალბომიდან". დი ჯეი მაუსის წყალობით, ახლა მთელი ინტერნეტი მიაქვს მსგავს მიქსებს. დეი-ზის და "ლინკინ პარკის" Collision Course - დიდ ხმის ჩამწერ კომპანიაში ჩაწერილი პირველი ასეთი მიქსი წლის ერთ-ერთი ბესტსელერი ალბომიც გახლავთ.

**"ბ" - ნიშნავს ბოუის**. ოსლოში, ივნისში ჩატარებული კონცერტის დროს დევიდ ბოუის ერთმა ფანმა "თეთრ თხელ ჰერცოგს" ლოლიპოპი გაუქანა და პირდაპირ თვალში მოარტყა... ცუდი სანახავი იყო, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მსროლელს შესანიშნავი მიზნის შესანიშნავი შეგრძნება აღმოაჩნდა.

**"ბ" - ნიშნავს ბილი ჯოს**. ჯგუფის ახალ ალბომში "ამერიქან იდიოთ" ბილი ჯო არმსტრონგი არღვევს ყველა სტერეოტიპს, მაქსიმალურად იხარჯება და მსმენელს ოპერას სთავაზობს, ნამდვილ პოპ-პანკ ოპერას, რომელიც ჯგუფის სამაკორდიან სიმღერებთან შედარებით ძალიან სრულყოფილად ჟღერს.

**"ბ" - ნიშნავს ბომბს**. რომელიც ბონომ თავის ჯგუფთან ერთად ახლახანააფეთქა. ალბომი ნახევარდ გამომცხვარია: პირველი ნაწილი შეუდარებელია, მეორეში კი - ეჯის გიტარა თითქმის იკარგება. მიუხედავად ამისა, U2-ს დამარცხება შეუძლებელია. ისინი შესანიშნავად ზომავენ დროს. ახლაც დუბლინელები ნოემბერში გამოჩნდნენ - ზუსტად მაშინ, როცა მსმენელს ყველაზე მეტად სჭირდებოდა.

**"ბ" - ნიშნავს ბრიუსს.** წელს ბრიუს სპრინგსტინი განსაკუთრებული პოლიტიკური აქტივობით გამოირჩეოდა. R.E.M.-თან და დანარჩენ ლიბერალ როკერებთან ერთად სპრინგსტინმა მოაწყო ტურნე "ხმა მიეცი ცვლილებას" და შეეცადა, მერყევი ამერიკელები დაერწმუნებინა, რომ ბუში უნდა წავიდეს. ამ სუპერწარმატებული და ძალიან ენერგიული კონცერტების დროს ყველაზე სულის შემძვრელი გამოსვლა ჯონ მელენკამპმა მოაწყო. თუმცა, ეს "ბან"-ების თემიდან გადახვევა არ გეგონოთ. მელენკამპის მეტსახელი ხომ Little Bastard-ია - "პატარა ნაბიჭვარი".

# ვეშაპი, რომელიც მილიონები ღირს

დემიენ ჰირსტის ხელოვნება 14-ფუტი წონის ვეშაპსაც გულისხმობს, რომელიც მხატვარმა ფორმალდეჰიდის ხსნარში შეინახა და შუშის ყუთში მოათავსა. მას შემდეგ ეს ნიმუში ბევრმა ცნობისმოყვარემ დაათვალიერა, ჩარლზ საატჩის თანამედროვე ხელოვნების კოლექციაში დაიდო ბინა და დღემდე იქვე ინახება. თუმცა, ახლახან გაჩნდა შანსი, რომ ჰირსტის ვეშაპს ახალი პატრონი გამოუჩნდება. ნამუშევარში, რომელსაც ჰქვია: "სიკვდილის ფიზიკური შეუძლებლობა ცოცხალი არსების გონებაში" საატჩის 6.25 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზეს.



არადა, როცა 1992 წელს, საატჩიმ ჰირსტს მისი შექმნა შეუკვეთა, მხატვარს 50 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. ამ ნამუშევარმა მხატვარს სახელი მაშინვე გაუთქვა. იმ პერიოდში ყველა ავსტრალიიდან 6 ათას გირვანქა სტერლინგად ჩამოყვანილ ვეშაპზე ლაპარაკობდა, რომელიც - ფორმალდეჰიდის ხსნარში შენახული - ახალგაზრდა ბრიტანელი მხატვრების გამოფენაზე იწონებდა თავს. ლონდონურ გალერეაში მიმდინარე ექსპოზიციამ ბრიტანულ ხელოვნებაში ახალი ტალღა ააგორა. ტალღა, რომელსაც სათავეში ჰირსტი ედგა - თავისი უცნაური და ორიგინალური ნამუშევრებით.

ჯერჯერობით, ვეშაპი არ გაყიდულა. საატჩის გალერეა არც პოტენციური მყიდველის ვინაობას ასახელებს, მაგრამ "ბი ბი სი" ავრცელებს ცნობას იმის შესახებ, რომ მილიონებს ჰირსტის ვეშაპში მისი კლიენტი, ამერიკელი არტ-დილერი ლარი გაგოსიანი იძლევა. ანუ, ჩნდება იმის შანსი, რომ თანამედროვე ბრიტანული ხელოვნების ნიმუში ქვეყნის საზღვრებს დატოვებს.

სავარაუდოა, რომ საატჩი, რომელმაც სახელი ისეთი სკანდალური მხატვრების პატრონობით გაითქვა, როგორებიცაა იგივე ჰირსტი და ტრეისი ემინი, ვეშაპს მართლაც გაყიდის. ასე ვარაუდობენ ხელოვნებათმცოდნეები იმიტომ, რომ საატჩიმ ბოლო დროს გემოვნება შეიცვალა და კონცეპტუალური ხელოვნების ნაცვლად ძველი, ტრადიციული, ზეთში შესრულებული ნახატებით დაინტერესდა. ამის დასტურია ისიც, რომ იანვრიდან მისი ლონდონური გალერეადან "ქანთრი ჰოლიდან" მოხსნიან ხელოვნების იმ ნიმუშებს, რომელთაც წინათ საატჩი დიდად სწყალობდა.

დათო ტურაშვილის სვეტი

## ყოველ სამშაბათს



SMS

### რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება

(მათთვის, ვინც ტელეფონის ზარებს აღარ პასუხობს)

**877 91 99 09**

რამდენიმე დღის წინ გასაოცარი ამბავი მოხდა მოსკოვში, რუსეთის დედაქალაქში - რწმუნებათა სიგელის გადასაცემად პრეზიდენტ პუტინთან, საქართველოს ახალი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვალერი ჩეჩელაშვილი, თეთრი ჩოხით მივიდა. გასაოცარი ეს არ იყო, გასაოცარი ის იყო, რაც მერე მოხდა - მართალია, ვალერი ჩეჩელაშვილს, საჩოხე ტანი არ აღმოაჩნდა (როგორც ტელეეკრანზე ჩანდა), მაგრამ აღმოაჩნდა თვისება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საერთო წარმატებისთვის. რუსეთის პრეზიდენტის დაცვამ მოითხოვა, რომ საქართველოს ახალ ელჩს ხანჯალი მოეხსნა და ისე შესულიყო აუდიენციაზე. ჩოხა კი, ხანჯლის გარეშე, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს და ყველასგან მოულოდნელად ვალერი ჩეჩელაშვილმა ისეთი პრინციპული სიჯიუტე გამოიჩინა, რომ რუსებსაც კი გაუკვირდათ. გაკვირვებულ რუსებს კი ისღა დარჩენოდათ, რომ დაეთმოთ და სწორედ ამ პრინციპულობას ველოდი და ამ პრინციპულობას ვქადაგებ აგერ უკვე ორასი წელია. დარწმუნებულიც ვარ, რომ თუ არ შეგვეშინდება და ვიქნებით პრინციპულები, რუსებიც ვერაფერს დაგვაკლებენ - როგორც ხანჯალი ვერ მოჭამეს ვალერი ჩეჩელაშვილს, აგერ სულ რამდენიმე დღის წინ...

**877 79 89 01**

რამდენიმე დღის წინ რობერტ სტურუას დღესასწაულს - "კავკასიურ ცარცის წრეს" - პრემიერიდან ოცდაათი წელი შეუსრულდა. ამ საოცარი სპექტაკლის შესახებ რა აღარ თქმულა და რა აღარ დაწერილა, მაგრამ ჩვენი მოკრძალებული აზრით, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც "კავკასიური ცარცის წრე" ისტორიული მოვლენაა - ეს არის ერთადერთი, საქართველოში ჩატარებული სასამართლო პროცესი, რომელმაც განაჩენი ხელისუფლების კარნახის გარეშე გამოიტანა. რამაზ ჩხიკვაძე კი არის ერთადერთი ქართველი მოსამართლე უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე, ვინც ჩაწყობის, ანგარების და პირადი ინტერესის გარეშე მიიღო სასამართლო გადაწყვეტილება. თუ არსებობს სხვა, ამდაგვარი ობიექტურობის შემთხვევა და ასეთი სასამართლო პროცესის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, უბედნიერესი ვიქნები ბოდიშის მოხდისას, მაგრამ ახლა, როცა ხელისუფლება ასეთი მონდომებით ერევა სასამართლოს საქმიანობაში, საქართველოში არ აღმოჩნდა ერთი მოსამართლე მაინც, ვინც ხმას აღიმაღლებდა ამ დიქტატის წინააღმდეგ. სასამართლო, სანამ არ იქნება დამოუკიდებელი, მანამ ასოცირდება მხოლოდ უსამართლობასთან და მოსამართლე კი - მექრთამეობასა და სიბინძურესთან. თუ ხელისუფლება ვერ ხვდება, რომ სასამართლოს გარეშე სახელმწიფოს ვერ შევქმნით, მაშინ მოსამართლეებმა უნდა თქვან უარი მორჩილებაზე და უნდა აჯანყდნენ...

**877790777**

მაინც მეგონა, რომ წინა ხელისუფლების მარტივ შეცდომებს მაინც არ გავიმეორებდით და საკადრო პოლიტიკა მაინც უფრო გონივრული გვექნებოდა. როცა ხელისუფლების დაკომპლექტება ერთგულების ნიშნით ხდება, საეჭვოა, რომ ასეთ ხელისუფლებას სწორედ ერთგული კადრები შეუქმნიან პრობლემებს და ზემოთქმულის აშკარა ნიშნებიც უკვე სახეზეა. ერთგულება კარგია, მაგრამ ძაღლებისაგან განსხვავებით, პატრონისადმი ერთგულება ადამიანებში, როგორც წესი, სახელმწიფოებრივი ინტერესების დავიწყებას იწვევს, რადგან მორჩილმა ადამიანებმა არ იციან, რომ ნებისმიერი ხელისუფლების ინტერესებზე მაღლა სახელმწიფოს ინტერესები უნდა იდგეს. როცა ხელისუფლება საკადრო პოლიტიკაში ასეთი ერთგულების მიხედვით აკეთებს არჩევანს, ასეთ დროს აუცილებლად ხვდებიან ხელისუფლებაში რვა, შვიდი, თუ ექვსი კლასის განათლების მქონე ადამიანები, რომელთაც არ დაუკარგეს რევოლუციური წარსული და თანამდებობები უბოძეს. მაგრამ, რამდენადაც რევოლუციური აქტიურობისათვის ჭკუა და განათლება, შეიძლება აუცილებელი არც იყოს, სახელმწიფოს შექმნას აუცილებლად სჭირდება ჭკვიანი და განათლებული ადამიანები.

არა მგონია, მხოლოდ ჩემს ტელევიზორს ეჩვენებინოს ერთი ძალიან მაღალჩინოსნის სახლში ერთადერთი წიგნი, რომელსაც ის თანამდებობის პირი ისე გაკვირვებული ფურცლავდა, როგორც ჩემი ერთი წლის სოფიო ათვალიერებს ხოლმე იმავე დიდ, ფერად, ილუსტრირებულ წიგნს გადაშენებულ დინოზავრებზე...

**877 59909**

კარგი სმენა აქვს და ვიცი, რომ მეც მომისმენდა, მაგრამ მირჩევნია შენ უთხრა - შენ უფრო კარგად აუხსნი. ასახსნელიც ბევრი არაფერია, ალბათ, თვითონაც ხედავს, რომ თბილისში მოძრაობა, უკვე შეუძლებელია და თუ "მარშუტკების" პრობლემა არ მოგვარდება, თბილისის ქუჩებში დაგროვილ აგრესიას, თბილისელი მძღოლები, აუცილებლად რაღაც კალაპოტს მოუძებნიან და დიდი შანსია, რომ ამ აგრესიამ არასწორი მიმართულება მიიღოს.

როგორც ცხონებული ჯონ ლენონი ამბობდა, - სინამდვილეში არ არსებობს პრობლემა, არამედ არსებობს გამოსავალი და ამ შემთხვევაში კი რამდენიმე გამოსავალია. სხვისი ფული არასოდეს დამითვლია და ამ შემთხვევაში ის კი არ მაინტერესებს, "მარშუტკების" ხაზებიდან წილები ვისთან მიდის, არამედ ისეთი გამოსავალი მოიძებნოს, რომ "მარშუტკების" მძღოლები ყველაზე ნაკლებად დაზარალდნენ. "მარშუტკების" მძღოლები ძირითადად ლტოლვილები, სოციალურად (და არა მხოლოდ) დაუცველი ადამიანები არიან და მათ უკან ოჯახები და ბავშვები დგანან. ამიტომ ჯობია, რომ ჩვენ მოვიკლოთ და მთავარ ქუჩებზე მათი მოძრაობა შევზღუდოთ და შევამციროთ ისე, რომ მათი ოჯახების ისედაც მწირი შემოსავალი არ შევამციროთ. ახალი ავტობუსები კი, მართლა კარგია...

**899 99 52 39**

მივიღე თქვენი საშობაო და საახალწლო მისალოცი ბარათები, რამაც გამახარა, რადგან თქვენგან ყურადღება, სასიამოვნოცაა და სასარგებლოც. სასიამოვნო ჩემთვის და სასარგებლო თქვენთვის, რადგან თუ თქვენ იმის დრო გაქვთ, რომ მე და ჩემისთანებს ახალი წელი მოგვილოცოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრს შრომობთ, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, ცოტა დრო აქვს მას, ვინც ცოტას შრომობს და არა პირიქით, როგორც ეს, ჩვენში ჰგონიათ. თუმცა, იმ პარლამენტში, რომლის თავმჯდომარეც თქვენ ბრძანდებით, როგორც ჩანს, ბევრნი სულაც არ არიან ისეთები, ვისაც შრომა ეხალისება და, რაც მთავარია, კარგად ესმის საკუთარი პასუხისმგებლობისა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ამიტომაც არ გამაკვირვა ამასწინათ დეპუტატებისთვის იმის ახსნამ, რომ პარლამენტში თბილა და პალტოები დეპუტატებმა გასახდელში უნდა დატოვონ. ამ საკითხს მთელი სხდომა მიეძღვნა და ზოგმა რა მოტივი დაასახელა და ზოგიერთმა კი როგორ ახსნა ჩვენი დეპუტატების ეს უცნაური საქციელი, მაგრამ, ჩვენი მოკრძალებული აზრით, ამ უცნაურობას მარტივი მიზეზი აქვს - (როგორც სკოლაში ხდებოდა ხოლმე) დეპუტატები პალტოებს გასახდელში იმიტომ არ ტოვებენ, რომ უბრალოდ, ეჩქარებათ, მხოლოდ იმიტომ მიდიან პარლამენტში, რომ საკლასო ჟურნალში გაცდენა არ ჩაუწერონ და პალტოების ჩაბარებას, მხოლოდ რამდენიმე წუთით, აბა, რა აზრი აქვს. აქ სხვა დასკვნების გაკეთებაც შეიძლებოდა (რომ პარლამენტში თბილა და რომ ჩვენს დეპუტატებს პალტოები აქვთ), მაგრამ მთავარი მაინც პასუხისმგებლობაა, უფრო სწორად - უპასუხისმგებლობა. აფრიკაში დღემდე არსებობს ველური ტომი, სადაც ბელადებს ოთხი წლის ვადით ირჩევენ და მერე მათ (ვადის გასრულებისთანავე) ცეცხლზე წვავენ და ამომრჩევლები ჭამენ. არჩევნების მთავარი პირობა ბელადობის კანდიდატთა თანხმობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბელადები, ისეთი მაღალი შეგნებითა და პასუხისმგებლობით გამოირჩევიან, რომ მზად არიან, თავის ტომსა და ხალხს ოთხი წელი ემსახურონ და მერე თუნდაც ამომრჩეველთა კბილებში მოკვდნენ. როგორ უნდა გიყვარდეს შენი ხალხი, რომ ასეთ მსხვერპლზე წახვიდე - დათანხმდე იმას, რომ ხალხმა შეგჭამოს. ჩვენთან კი პირიქითაა - ხელისუფლებში იმიტომ მიდიან, რომ ხალხი შეჭამონ. თუ ეს თქვენ არ გეხებათ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრნი პარლამენტის გასახდელში პალტოებს არ ტოვებენ და ამიტომაც შობასა და ახალ წელს მათ, უბრალოდ, არ მივულოცავთ. თქვენ - კი ბატონო, გილოცავთ...

*გაგრძელება იქნება*

*მოკლედ*

## აილტონს ოჯახი ენგრევა



ბრაზილიელი ფეხბურთელი აილტონი მოედანზე საკმაოდ თავდაჯერებული სახით გამოდის და მატჩსაც ასე წარმართავს. შემთხვევითი არ არის, რომ გასულ სეზონზე ის პირველი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირთა სიის სათავეში მოექცა. გარდა ამისა, მან თავის "ვერდერს" ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

მართალია, ფეხბურთის მოედანზე აილტონს ყველაფერი ბრწყინვალედ გამოსდის, მაგრამ ასევე წარმატებული როდია მისი პირადი ცხოვრება.

მისი და მექსიკელ როსალია როდრიგესის ქორწინება უიღბლო გამოდგა. მათი თანაცხოვრება ნელ-ნელა დასასრულისკენ მიექნება, ისევე როგორც თავად ფეხბურთელის სპორტული კარიერა.

"საუბედუროდ, ჩვენ ერთმანეთის უკვე აღარ გვესმის," - ნაღვლიანად განაცხადა როსალიამ.

დეკემბრის ბოლოს ფეხბურთელის ვილაში მეუღლეები განქორწინების დეტალების დასაზუსტებლად შეხვდებიან ერთმანეთს.

მექსიკელ ქალბატონს წილად ხვდება შვილები და სოლიდური თანხა. აილტონი კი "შალკეს" დაუბრუნდება და 5 იანვრიდან შეუდგება მუშაობას, მაგრამ დაიბრუნებს თუ არა ბრაზილელი ფეხბურთელი ჩვეულ ფორმას ასეთი მწარე დარტყმის შემდეგ, ჯერ კიდევ საკითხავია.

## მოკრივეებს მარიხუანა განსაკუთრებით ჰყვარებიათ

ამ ბოლო დროს ნარკოტიკებმა ნელ-ნელა მოიკიდა ფეხი სპორტის სამყაროში. მაგალითად, კრივი და მარიხუანა პრაქტიკულად განუყრელნი გახდნენ.

ახლახან ამერიკელმა მოკრივემ ემანუელ ოგასტენმა განაცხადა, რომ მოსაწევი ძალიან უყვარს და ამაში ცუდს და სამარცხვინოს ვერაფერს ხედავს.

რამდენიმე წლის წინათ მარიხუანით იყო გატაცებული რკინის მაიკად წოდებული მაიკ ტაისონი. სწორედ ამის გამო გააუქმეს მისი და ანჯეი გოლოტას შეხვედრის შედეგები.

ასევე ცნობილი გახდა, რომ მარიხუანაზეა შეყვარებული კრივში მსოფლიო ჩემპიონი NABO-ს ვერსიით პრისტ სმოლზი. მოკრივის განცხადებით, მარიხუანას მოწევა მისი დღის განრიგის ისეთივე განუყრელი კომპონენტია, როგორც ვარჯიში, ჭამა და ძილი.

ამ ბოლო დროს ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მოკრივემ აღიარა, რომ მარიხუანას მომხმარებელია.

## იტალიელი ფეხბურთის ვარსკვლავები ძლივს გადარჩნენ

რამდენიმე იტალიელ ფეხბურთელს, მათ შორის, პაოლო მალდინისა და ფილიპო ინძაგის ("მილანი"), ჯანლუკა ძანმბროტას ("იუვენტუსი"), კრისტიანო ლუკარელის ("ლივორნო"), ალესანდრო ნესტას ("მილანი"), მარკო მატერაცისა ("ინტერნაციონალე") და "პერუჯას" პრეზიდენტს ალესანდრო გაუჩიას მალდივის კუნძულებზე დასვენება კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ - ისინი სასწაულით გადაურჩნენ ცუნამს.

"ჩვენ ორ მეტრზე მაღალი ტალღა დავინახეთ. უცებ მოვუყარე თავი ჩემს შვილებს. ძლივს მოვასწარით, ტალღას მოვრიდებოდით. ძალიან შეგვეშინდა," - აღნიშნა ლუკარელიმ.

ბუნებრივია, ამ ამბის შემდეგ მოაგარაკეებმა დროზე ადრე შეწყვიტეს დასვენება და სამშობლოში გასამგზავრებლად მოემზადნენ.

"ახლა ყველაფერი რიგზეა. ამჟამად 300 კაცზე მეტი სასტუმროში ვართ. იმედი გვაქვს, მალე დავტოვებთ ამ კუნძულს," - განაცხადა ინძაგიმ.

მალდივის კუნძულების დედაქალაქი ცუნამმა ნახევრად დატბორა.

## „მანჩესტერ იუნაიტედი" ფეხბურთელებს ხელფასს უნახევრებს

2006 წლის შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელს როი კინს კლუბთან თამაშის ვადა ეწურება. იმ შემთხვევაში, თუ კინი გუნდის შემადგენლობაში დარჩენას გადაწყვეტს, მას განახევრებულ ხელფასთან შეგუება მოუწევს.

"მაღალი ხელფასის დრო ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის. ფეხბურთელებს ხელფასი უნახევრდებათ. ამავე დროს შემოდის პრემიების ახალი სისტემა. მას ფეხბურთელი ჩატარებული მატჩებისა და კლუბის მიღწევების მიხედვით მიიღებს," - განაცხადა "მანჩესტერ იუნაიტედის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

სხვათა შორის, 2006 წელს როი კინს 35 წელი შეუსრულდება.

## დანიელი ფეხბურთელები წაიჩხუბნენ

დანიის ნაკრების ორმა ფეხბურთელმა იონ დალ ტომასონმა და ტომას რიტერმა შობის დღეს კოპენჰაგენის ერთ-ერთ ბარში იჩხუბეს. თვითმხილველთა თქმით, "მილანის" თავდამსხმელმა და "ვოლფსბურგის" მცველმა საკმაოდ ბევრი დალიეს. ტომასონმა თანამოსაუბრეს სახეში შეაფურთხა, რის შემდეგაც დაიწყო ჩხუბი.

"როცა იონი რესტორანში მოვიდა, უკვე ნასვამი იყო. არ მახსოვს, რაზე ვსაუბრობდით. არც ჩხუბის მიზეზი მახსოვს. ამ დროს ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. შესაძლოა, იონს არ მოეწონა, რომ მე გერმანიაში ვთამაშობ, ის კი იტალიაშია," - განაცხადა რიტერმა დანიურ გამოცემასთან Ekstra Bladet საუბარში.

ტომასონმა თავი გაიმართლა: "საერთოდ, არ ვსვამ, მაგრამ როცა დავლევ, თავს ველარ ვაკონტროლებ. ვწუხვარ, რომ ასე გამოვიდა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი ცუდი უკან ჩამოვიტოვეთ".

საინტერესოა, რომ ზუსტად იმავე კაფეში, რომელსაც "კაფე კეტჩუპი" ჰქვია, ორი წლის წინათ დანიის ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი სტიგ ტოფტინგი ჩხუბის გამო დააპატიმრეს.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

*ფეხბურთი*

# ოუენი კმაყოფილია

*შობის დღესასწაულის აღსანიშნავად მადრიდის "რეალის" ინგლისელი თავდამსხმელი მაიკლ ოუენი სამშობლოში გაემგზავრა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ოუენმა ლივერპულში გაფრენამდე მისცა ესპანელ ჟურნალისტებს.*



*მაიკლ ოუენი: "თავდამსხმელი ძალიან დამოკიდებულია საკუთარი თავის რწმენაზე".*

**- როგორი შთაბეჭდილებები გაქვს ესპანეთში ცხოვრების რამდენიმე თვის შემდეგ?**

- ძალიან ბედნიერი ვარ. ახალ ქვეყანაში ცხოვრება თავიდან ძნელი იყო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ პირველ დღეებში სასტუმროში მომიხდა ცხოვრება. მაგრამ მას შემდეგ, რაც სახლი ვიყიდე და საცხოვრებლად იქ გადავედი, ყველაფერი მოგვარდა, მათ შორის ისიც, რომ უფრო ხშირად მიწევს თამაში. ყოველდღიურად ვეჩვევი აქაურობას.

**- როგორი წარმოდგენა შეგექმნა შენს ახალ გუნდზე სეზონის ერთი მესამედის შემდეგ?**

- ერთი-ორი თვის წინათ დიდი ჩავარდნა გვქონდა. ესპანეთის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებლად ვთამაშობდით. შემდეგ ზედიზედ ორი მატჩი მოვიგეთ ჩემპიონთა ლიგაში და ოთხი თუ ხუთი შეხვედრა - ეროვნულ ჩემპიონატში. პრიმერა დივიზიონის ცხრილში მეორე ადგილზე გადავინაცვლეთ, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში მერვედფინალში გავედით. ახლა ისევ გვჭირდება ოთხ ან ხუთმატჩიანი წარმატებული სერია, რათა "ბარსელონას" დავეწიოთ.

**- კარგია, რომ მათ დასაწევად ჯერ კიდევ გაქვთ საკმარისი დრო.**

- ეჭვგარეშეა, რომ მათი დაწევის შანსი გვაქვს. ძალიან ძნელი იქნება, თუმცა, მათ ელით ჩვენს სტადიონზე თამაში - ჯერ ხომ სეზონის ნახევარიც არ გასულა. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ სიძნელეებს ჩვენვე ვუქმნით საკუთარ თავს.

**- ახალ გუნდს უკვე შეეწყვე?**

- ფეხბურთი საინტერესო სპორტია. ფეხბურთელები საკუთარ თავდაჯერებულობაზე არიან დამოკიდებული. პირველ მატჩებში გოლები ვერ გამქონდა და ხალხს ეჭვი შეეპარა ჩემს შესაძლებლობებში. მაგრამ შემდეგ რვა თამაშში შვიდი გოლი გავიტანე. თავდამსხმელი ძალიან დამოკიდებულია საკუთარი თავის რწმენაზე. მას შემდეგ, რაც გოლების გატანა დავიწყე, ხალხი მაქებს და, იმედი მაქვს, ასე გაგრძელდება. ვგრძნობ, რომ კარგად ვთამაშობ და როდესაც შანსი მეძლევა, ბოლომდე ვიბრძვი. მინდა, ეს ყველაფერი შევინარჩუნო. განსაკუთრებით იმას ვისურვებდი, რომ გოლების გატანა გავაგრძელო.

**- რომელი გოლი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?**

- პირველი გოლი, რომელიც კიევის "დინამოს" კარში გავიტანე. ის გოლი მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოგვეგო. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი მეორე გოლი, რომელიც "ვალენსიასთან" მატჩში გავიტანე. ორივე ეს მატჩი მინიმალური ანგარიშით მოვიგეთ. ასე რომ, ეს ორი გოლი აქამდე ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის.

**- რამდენიმე დღეში "რეალ სოსიედადთან" მატჩის დარჩენილი შვიდი წუთის თამაში მოგიწევთ. თუ ყოფილა შენს კარიერაში რაიმე მსგავსი?**

- არასოდეს მითამაშია მხოლოდ შვიდი წუთი. არ ვიცი, რა შეიძლება მოხდეს ასეთ ხანმოკლე პერიოდში და როგორ უნდა მოვემზადო ასეთი მატჩისთვის. ეს ძალიან უჩვეულო სიტუაციაა. მსგავსი რამ არასოდეს გადამხდენია თავს.

**- შემდეგ "ატლეტიკოსთან" დერბი გელით...**

- "ბარსელონასთან" მატჩის წინ ყველა მეუბნებოდა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა. დარწმუნებული ვარ, მსგავსი სიტუაცია იქნება "ატლეტიკოსთან" მატჩშიც.

**- მოგწონს ასეთ მატჩებში მონაწილეობა?**

- დიახ. ვფიქრობ, რომ ასეთ მატჩებში საუკეთესოდ ვახერხებ საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებას. ახალი კლუბის შემადგენლობაში ჩატარებული პირველი მატჩების შემდეგ ჩემს კლასში ბევრმა შეიტანა ეჭვი, თუმცა, შემდეგ გუნდს კარგად შევეწყვე. იმის გამო, რომ მადრიდის "რეალში" თამაშობ, შენ უდიდეს ზეწოლას გრძნობ გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების მხრიდან, მაგრამ მე ყოველთვის ვიცოდი, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი მსგავს სიტუაციებში.

**- მადრიდში ყოფნის პირველ დღეებში თუ გქონდა მომენტები, როდესაც სიტუაციის გამო ნერვიულობდი?**

- არა. პირველი მატჩების შემდეგ ბევრი ამბობდა, რომ "რეალში" თამაშის ღირსი არ ვიყავი, თუმცა, შემდეგ ყველაფერი გამოსწორდა. ჩემი თამაშის სტილს ყველა კარგად იცნობს, ყველამ იცის, რომ მიყვარს გოლების გატანა და ეს გოლები ჩემს ყველა გუნდში გამქონდა. ამის დემონსტრაცია მადრიდის "რეალშიც" შევძელი. არავისთვის არაფერი აღარ მაქვს დასამტკიცებელი. უბრალოდ, ბრძოლა უნდა გავაგრძელო, რათა თავად ვიყო ბედნიერი და ბედნიერება მოვუტანო კლუბს.

**- ყველაზე მეტად რომელი ტიტულის მოგება გინდა "რეალში" შენი პირველი სეზონის ბოლოს?**

- ნებისმიერი ტურნირის მოგება ძალიან ძნელია. მადრიდის "რეალი", თავისი სიდიადის გამო, იძულებულია, ყოველ წელიწადს ტიტულები მოიპოვოს. პირველ რიგში ჩემპიონთა ლიგა და ქვეყნის პირველობა, რადგან ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირებია. ახლა სამივე შეჯიბრებაში ვმონაწილეობთ, ასეთი გუნდები კი ახლა ცოტაა. ზოგი უკვე გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას, ზოგმაც ქვეყნის ჩემპიონობის შანსი დაკარგა. ჩვენ კი ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, სამივე ტურნირი მოვიგოთ. ოღონდ ესპანეთის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე "ბარსელონას" უნდა წამოვეწიოთ. ახლა უკეთ ვთამაშობთ, სწორი გზით მივდივართ და თუ კვლავაც ასე გავაგრძელებთ, დარწმუნებული ვარ, რაიმე ტიტულს აუცილებლად მოვიგებთ.

**- რას იტყვი ჩემპიონთა ლიგაში თქვენს მომავალ მეტოქე "იუვენტუსზე"?**

- ყველა ის გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას შემორჩა, ძალიან ძლიერია. ეს არის ტურნირი, რომელმაც მადრიდის "რეალს" სიდიადე შემატა. მთელ მსოფლიოს ახსოვს ჩვენი გუნდის უამრავი ტიტული. ვფიქრობ, ყოველ ჩვენგანს უფრო ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა. თუმცა, არც იმაზე დამწყდება გული, თუ მის ნაცვლად ესპანეთის ჩემპიონატში გავიმარჯვებთ. ამ ორი ტიტულიდან ნებისმიერი გრანდიოზული წარმატება იქნება. ვისურვებდი, რომ რომელიმე მათგანი მოგვეგო, თუმცა, უკეთესი იქნება, თუ ორივეს მოვიპოვებთ.

**- საშობაო არდადეგებს როგორ გაატარებთ?**

- მიხარია, რომ შობის დღესასწაულს სახლში აღვნიშნავ. ეს ნებისმიერ ფეხბურთელს ძალებს მატებს. შობა აქამდე მხოლოდ ორჯერ აღმინიშნავს შინ. სხვა დროს მუდამ სასტუმროებში მიხდებოდა ყოფნა, რადგან უკვე მეორე დღეს მატჩი გვქონდა სათამაშო. წლევანდელ შობას ოჯახთან ერთად გავატარებ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, რადგან მას შემდეგ, რაც მადრიდში გადმოვბარგდი, ინგლისში ორი თუ სამი დღე გავატარე. კარგი იქნება მეგობრებთან შეხვედრა, შობის შინ აღნიშვნა, შემდეგ კი წარმატებების იმედით მადრიდში დაბრუნება.

# წლის ტრანსფერები



*დეკუ - "ბარსელონას" ერთ-ერთი გახმაურებული შენაძენი.*

წლევანდელი წელი ინგლისური გუნდების გახმაურებული ტრანსფერებით დაიწყო. იანვარში "არსენალი" ესპანელი ხოსე ანტონიო რეიესით გაძლიერდა. ფეხბურთელი "სევილიიდან" გადმოიყვანეს. "კანონირებს" რეიესი 25,6 მილიონი ევრო დაუჯდათ. ლონდონის "ჩელსიმ" კი 14,6 მილიონ ევროდ სკოტ პარკერი შეიძინა. აბრამოვიჩისთვის ეს თავმდაბლური შენაძენი იყო. იგივე თანხა დახარჯა "მანჩესტერ იუნაიტედმა" ფრანგი ლუი საას შესაძენად.

თუმცა, ფრანგი ერთადერთი არ აღმოჩნდა, ვინც 2004 წელს "ოლდ ტრაფორდზე" გადაბარგდა. "ლიდს იუნაიტედის" პირველ დივიზიონში დაქვეითების შემდეგ მანკუნიანელებს ალან სმიტი დაემატათ. ბოლოს კი ზაფხულის მიწურულს, როგორც იქნა ბოლო მოეღო ჭორებს უეინ რუნის "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შესახებ. ამ ნიჭიერი თინეიჯერის სანაცვლოდ მანჩესტერელებმა 29,6 მილიონი ევრო გადაიხადეს. რუნიმ "ევერტონის" გულშემატკივრებს გული გაუტეხა.

თუმცა, ეს ყველაფერი როდია. მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს "პორტუ" და "მონაკო" შეხვდნენ, ამ გუნდების ფეხბურთელები პირდაპირ დაიტაცეს. რიკარდუ კარვალიუ და პაულუ ფერეირა, თავის მწვრთნელ ჟოზე მოურინიოს ლონდონის "ჩელსიში" შეხვდნენ. დეკუ 15 მილიონისა და რიკარდუ კვარეჟმას სანაცვლოდ "ბარსელონაში" გაემგზავრა. მიღებული თანხის ნაწილი "პორტუმ" "სანტოსიდან" ახალგაზრდა ბრაზილიელი ფორვარდის დიეგოს შესაძენად გაიმეტა - 7 მილიონი ევრო.

გრანდიოზული გაყიდვა "მონაკომაც" მოაწყო. გუნდის კაპიტანმა ლუდოვიკ ჟიულიმ "ბარსელონაში" მიწვევაზე უარი ვერ თქვა. ჟერომ როტენმა საფეხბურთო კარიერა "პარი სენ-ჟერმენში" განაგრძო. დადო პრშომ გლაზგო "რეინჯერსის" წინადადება მიიღო, ხოლო ფერნანდო მორიენტესი მადრიდის "რეალში" დაბრუნდა. ამ ფეხბურთელების სანაცვლოდ "მონეგასკებმა" სავიოლა, ჩევანტონი, მოჰამედ კალონი და ბრაზილიელი მცველი მაიკონი მიიღეს.

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა ესპანეთის "ბარსელონამ" დეკუსა და ჟიულის გარდა, 24 მილიონ ევროდ კონტრაქტი გაუფორმეს სამუელ ეტო`ოს. შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი კი კატალონიელებს თავისუფალი აგენტის სტატუსით ანუ უფასოდ ერგოთ.

"ბარსელონას" მოსისხლე მტერი მადრიდის "რეალი" ყველაზე უფრო ზურგის გაძლიერებას მოითხოვდა, მაგრამ მადრიდელებმა ამის მიუხედავად ფული არ დაიშურეს კიდევ ერთი ფორვარდის ინგლისის ნაკრების ფეხბურთელის მაიკლ ოუენის შესაძენად. მხლოოდ ამის შემდეგ გაახსენდა "სამეფო კლუბს დაცვა და 47 მილიონ ევროდ შეიძინა ორი ცენტრალური მცველი - ვალტერ სამუელი და ჯონათან ვუდგეიტი. ამასობაში "ვალენსიაში" დაბრუნებულმა კლაუდიო რანიერიმ თავის გუნდში მოისურვა ემილიანო მორეტის, სტეფანო ფიორეს, მარკო დი ვაიოს და ვერნარდო კორადის ხილვა. მან ოთხივე ფეხბურთელი მიიღო.

იტალიაში ყველაზე მეტი ხმაური ტურინის "იუვენტუსმა" გამოიწვია. ბრაზილიელი ემერსონი 28 მილიონ ევროდ თავის მწვრთნელ ფაბიო კაპელოს გაჰყვა რომიდან ტურინში. 31 აგვისტოს "იუვემ" განაცხადში შეიყვანა შვედეთის ნაკრების ფორვარდი ზლატან იბრაგიმოვიჩი და იტალიის ნაკრების მცველი ფაბიო კანავარო. "სკუდეტოს" მფლობელმა "მილანმა" 10,5 მილიონი ევრო გადაუხადა რომის "ლაციოს" და მას ჰოლანდიელი მცველი იაპ სტამი წაჰგვარა. "ჩელსიდან" კი იჯარით არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო აიყვანა. "ინტერმა" გადაწყვიტა მეტოქეებს არ ჩამორჩენოდა და "ჩელსიდან" ხუან სებასტიან ვერონი წამოიყვანა. ამასთან მილანელებმა ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დავიდსიც შეიძინეს.

თუმცა, თანხის გადახდის უმსხვილესი შესაძლებლობები ლონდონის "ჩელსის" ჰქონდა. დიდიე დროგბას სანაცვლოდ "არისტოკრატებმა" 35 მილიონი ევრო გადაიხადეს. არიენ რობენში 18 მილიონი, ხოლო კარვალიუ და ფერეირა ერტად 48 მილიონი დაჯდა. გუნდში აგრეთვე მატეა კეჟმანი, პეტრ ჩეხი და ტიაგუ მოვიდნენ. კონკურენტებს არ ჩამორჩა "ლივერპული" და საფრანგეთის "ოსერს" ჯიბრაილ სისეს სანაცვლოდ 21 მილიონი ევრო გადაუხადა. ეს მაშინ, როცა ხაბი ალონზო კლუბს 16 მილიონი ევრო დაუჯდა.

გერმანიაში მიუნხენის "ბაიერნმა" ლუსიოს, ტორსტენ ფრინგსის, ვაჰიდ ჰაშემიანის და ანდრეას ჰერლიტცის ტრანსფერებში ერთად 25 მილიონი ევრო გადაიდახა. მიროსლავ კლოზემ ბრემენის "ვერდერის" რიგები შეავსო, ხოლო აილტონი "შალკე 04"-ში გადავიდა. თუმცა ამ შეთანხმებაში დიდი ფული არ ფიგურირებდა.

კრივი

# კრივის სამყაროში



ოსკარ დე ლა ჰოია შეიძლება კონსტანტინ ცზიუს ეჩხუბოს.

ქვესაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი კონსტანტინ ცზიუ მომდევნო ბრძოლაში შეიძლება ოსკარ დე ლა ჰოიას შეხვდეს. თუ მოკრივეთა მენეჯერები მოილაპარაკებენ, ბრძოლა, სავარაუდოდ, 2005 წელს მოსკოვში გაიმართება. რაც შეეხება მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონს, უკრაინელ ვიტალი კლიჩკოს, ის, შესაძლოა, ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ჰასიმ რახმანს ეჩხუბოს.

6 ნოემბერს კონსტანტინ ცზიუმ IBF-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიცვა. მან მესამე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა შარმბა მიჩელი. ამის შემდეგ მოკრივემ გამოაქვეყნა თავის ყველაზე სავარაუდო მეტოქეთა ნუსხა. ესენი იყვნენ ელიტარული მებრძოლები: არტურო გატი, ფლოიდ მეიუზერი და კორი სპინქსი.

მართალია, კორი სპინქსის კანდიდატურა სულ მალე არ გამორიცხულა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდო გახდა, რადგან ცნობილ პრომოუტერ დონ კინგს არ სურდა, მისი კლიენტი კონსტანტინ ცზიუს შეხვედროდა. შემდეგ გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ცზიუს შეხვდებოდა ბრიტანელი რიკი ჰატონი, რომელიც IBF-ის რეიტინგის მიხედვით პირველია. ჰატონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უკვე შეხვდნენ ცზიუს ბანაკის წევრებს და შესაძლო ბრძოლის შესახებ სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს. შემდგომში ეს ცნობები უარყოფილ იქნა.

ცზიუს კიდევ ერთი პოტენციური კონკურენტია ოსკარ დე ლა ჰოია, რომელსაც მეტსახელად "ოქროს ბიჭუნას" უწოდებენ. ამერიკელის მენეჯერებმა ავსტრალიურ პრესას განუცხადეს, რომ ასეთი ბრძოლის შანსი "ძალიან, ძალიან კარგია". ასე, მაგალითად, ერიკ გომესმა, კომპანია Golden Boy Promotions-ის ვიცე-პრეზიდენტმა (ეს კომპანია დე ლა ჰოიას ბრძოლებს უწევს ორგანიზაციას) განაცხადა: "ეს დიდი ბრძოლაა. ეს ძალიან დიდი ბრძოლაა. კოსტიას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და საცქერადაც მეტად ტექნიკური მოკრივეა". ცზიუს პერსონა განსაკუთრებით საინტერესოა მექსიკელი მაყურებლისთვის. ისინი მას ხულიო სესარ ჩავესთან ბრძოლით იცნობენ (ის ბრძოლა ცზიუმ მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო).

ამ ფაქტს გომესმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. "მას შემდეგ, რაც კოსტიამ ჩავესი დაამარცხა, მან მრავალი ლათინოამერიკელის ყურადღება მიიპყრო როგორც აშშ-ში, ისე მექსიკაში", - განაცხადა გომესმა. მისი თქმით, ეს გარემოება ამ ბრძოლის წარმატებით ორგანიზების გარანტია იქნება.

ეს პროექტი შეიძლება წარმატებული გამოდგეს კომერციული თვალსაზრისითაც. პრესა მიიჩნევს, რომ ჰონორარი, რომელსაც ცზიუ მიიღებს, სარეკორდო იქნება მთელი მისი კარიერისთვის. ამასთან, ასახელებენ ციფრს - 10 მილიონი დოლარი. თუმცა, დე ლა ჰოია გაცილებით მეტს მიიღებს - 25 მილიონი დოლარი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დე ლა ჰოია ერთ-ერთი ძვირფასი მოკრივეა მსოფლიოში.

სხვათა შორის, დე ლა ჰოია ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში გამოთქვამდა ცზიუსთან შეხვედრის სურვილს. ამასთან, ის ამჩნევდა, რომ ალტერნატიული ვარიანტებიც აქვს. მაგალითად, იმავე სპინქსთან ჩხუბი. თუმცა, ორივე მოკრივეს მართებს, წონას ყურადღება მიაქციოს. ბოლო ბრძოლაში ბერნარდო ჰოპკინსის წინააღმდეგ (მატჩი სექტემბერში გაიმართა) ის 70,3 კილოგრამს იწონიდა. ცზიუს წონა კი მიჩელთან შეხვედრისას 63,5 კილოგრამი იყო.

ორივე მოკრივე ამბობს, რომ მზად არის, საგანგებოდ ამ ბრძოლისთვის წონა შეიცვალოს. ცზიუ ყაბულსაა, გადააცილოს პირველი ქვესაშუალო წონითი კატეგორიის ზღვარს (63 კგ. და 503 გრ.) დე ლა ჰოია კი აპირებს, ქვესაშუალო წონამდე დაიკლოს (66,68 კილოგრამი).

მოკლედ, საბოლოო სიტყვა "ოქროს ბიჭუნაზეა". ის კი ჯერჯერობით ვარიანტებს არჩევს. სპინქსის გარდა, ის შეიძლება ვერნონ ფორესტს, "შუგარ" შეინ მოსლის ან ძველ მეტოქეს ფელიქს ტრინიდადს შეხვდეს.

კიდევ ერთი საინტერესო ცნობა: შესაძლოა, ცზიუმ დე ლა ჰოია მოსკოვში ჩაიყვანოს. "თუ დე ლა ჰოია თავის მეტოქედ კონსტანტინ ცზიუს დაასახელებს, ბრძოლა, ალბათ, ლას ვეგასში გაიმართება. თუმცა, არ უნდა გამოვრიცხოთ ავსტრალია ან მოსკოვი", - წერს Sydney Morning Herald Sport. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ვეგასის კანდიდატურის შეცვლა ძალიან ძნელია, რადგან, როცა დე ლა ჰოია ლას ვეგასში ჩხუბობს, ეს ფინანსური თვალსაზრისით ყოველთვის მომგებიანია.

თანდათან იკვეთება სიტუაცია ვიტალი კლიჩკოს მომდევნო ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელმაც ამას წინათ WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დენი უილიამსთან პაექრობაში დაიცვა. ვიდრე WBC-ის ვერსიის ოფიციალურ კანდიდატთან ტიტულის აუცილებელ დაცვას შეუდგებოდეს, რომელიც ივნისში იგეგმება, კლიჩკო აპირებს, ტიტული კიდევ ერთხელ თავისი ნებით დაიცვას. ეს ბრძოლა მარტში, გერმანიაში უნდა გაიმართოს. შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონის მეტოქე ჰასიმ რახმანი გახდეს. როგორც ძმები კლიჩკოების პრომოუტერული კომპანიის თანამშრომელმა განაცხადა: "ყველაფერი უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში უნდა გადაწყდეს. რახმანს ძალიან კარგად იცნობს ტელეკომპანია "ნვო"-ის მაყურებელი. ტელეკომპანია ამ ბრძოლის გამართვით უაღრესად დაინტერესებულია. დარჩა მხოლოდ ერთი საკითხი. პირობები რახმანის პრომოუტერ დონ კინგთან უნდა შეთანხმდეს. ეს კი ყოველთვის იოლი საქმე როდია. თუმცა, მე ჯერჯერობით ვერავითარ სერიოზულ წინაღობას ვერ ვხედავ".

WBC-ის პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა კი განაცხადა, რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამჟამად მხარეები მოლაპარაკებას აწარმოებენ ერთმანეთთან და შეთანხმებასთან ახლოს არიან.

ქომაგის ტრიბუნა

# მაზიანი

## ქვეყნად არ არსებობს შეჯიბრება, რომლის პროგნოზირება შეუძლებელია

სანდრო ნავერიანი

არის ხალხი, რომელიც დილიდან გვიან ღამემდე ტელევიზორთან ზის, სპორტულ შეჯიბრებებს უყურებს, გამოაქვს დასკვნები, სიამოვნებას იღებს და, რაც მთავარია, პროგნოზებს აკეთებს. თუ პროგნოზი გამართლდა, ქვეყანას მოსდებს, ნახეთ რა მაგარი ვარო, თუ არ გამართლდა - რა ვქნა, გენაცვალე, იმან ამას არც პასი მისცა და არც კარში დაარტყა, თუ არ დაარტყი, გოლს ვერ გაიტანო - თავს გაიმართლებს. ეს პროგნოზისტი იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლისთვისაც უცხოა აზარტი, საკუთარი აზრების უტყუარობაში დარწმუნებული არ არის, ანუ ტოტალიზატორში არ თამაშობს და თავისი აზრების საფასურად ლარებს თუ დოლარებს ჰაერში არ იქნევს.

არიან პროგნოზისტები, რომლებიც თავიანთ აზრს მხოლოდ "მაზავშიკებს" (მათ, ვინც ტოტალიზატორში თამაშობენ) ახვევენ თავს. დილიდან საღამომდე სხედან ტოტალიზატორებში, გადაუშლიათ გაზეთი "მსოფლიო სპორტი" ან "საფეხბურთო ევროპა" და დასკვნები გამოაქვთ. დასკვნებს კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, იმათ უზიარებენ, ვისაც ასდოლარიანები გაუმზადებიათ და სალ აზრს ეძებენ, რაზე ჩავიდნენ ფსონს, რომ ბევრი ფული მოიგონ.

მესამე კატეგორია ყველაზე მეტად იჩაგრება. თუმცა, სამართლიანად იჩაგრება. არავის ბრალი არ არის, რომ ისინი ფულს აგებენ. დაჩაგვრას თავი დავანებოთ და იმას შევხედოთ, თუ რითი შეიძლება ამ ხალხის დახმარება. დახმარება კი იმათ, ვინც "მაზავშიკობის" მანიით არის შეპყრობილი, ნამდვილად სჭირდება.

დაახლოებით ორი წლის წინათ თავად აღმოვჩნდი იმ უტოპიის მსხვერპლი, რომელიც ყველას ითრევს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ითრევს ისე ღრმად, რომ იქიდან ამოსვლა ყველაზე ნებისყოფიან ადამიანსაც კი უჭირს.

იქნებ არ გაინტერესებთ, მაგრამ მაინც გეტყვით, რა მჭირდა იმ დროს, როდესაც კვირაში საშუალოდ ორას-სამას დოლარს ვაგებდი და, იმედი იმისა, რომ ჩემს ქუჩაზეც მოვიდოდა გაზაფხული, მაინც მქონდა. გაზაფხული მართლაც მოვიდა, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ველოდი. ჰო, რაზე ვლაპარაკობდი? რა მჭირდა-მეთქი იმ დროს, როდესაც "მაზაობის" მსხვერპლი ვიყავი. რა მჭირდა და ვერ ვიძინებდი. წიგნების ნაცვლად გაზეთ "მსოფლიო სპორტს" ვკითხულობდი, იმის ნაცვლად, რომ ტანისამოსი მეყიდა, ასდოლარიან ფსონებს ვაკეთებდი. უამრავი ტიკი დამჩემდა. ნერვული. არავისი აზრი ჩემთვის არაფერს ნიშნავდა. ურთიერთობა მქონდა მხოლოდ მასთან, ვინც ჩემ დღეში იყო. მოკლედ, ის პერიოდი ჩემი ცხოვრების ყველაზე ბნელი და აუტანელი ხანაა, რომელმაც არაფერი მომიტანა, გარდა ერთისა - ჭკუა ვისწავლე. აგერ უკვე ორი წელიწადი გავიდა და ტოტალიზატორში არ ჩავსულვარ. არც მინდა.

რომ გითხრათ, ბევრი დავკარგე-მეთქი, მართალი არ ვიქნები. უბრალოდ, დღეს ფეხბურთს ვეღარ ვუყურებ. იმიტომ რომ ჩემთვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს. ეგ არის და ეგ.

როგორც უკვე გითხარით, ორ წელიწადზე მეტია, არ მითამაშია. ჰოდა, დღეს ხალხს ვუყურებ და ვხედავ, რომ ფულის შოვნის (ხშირ შემთხვევაში, ფულის დაკარგვის) ეს უმტკივნეულო საშუალება, რომელიც არანაირ საბუთს არ მოითხოვს, საქმიანობად ექცათ. ზოგიერთი იმდენად შეეთვისა ამ სისტემას, რომ სამსახურს ეძახის. ღმერთმა ხელი მოუმართოს, თავის გზას ეძებენ.

გზას ეძებენ-მეთქი, რომ ვამბობ, მართალია. ბევრი მიხვდა, რომ ეს კარგს არაფერს მოუტანდა, შეეშვა და დღეს გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე აქამდე. გზა აპოვნინა, რა. ისე, ძალიან კარგი იქნება, თუ პირდაპირ სწორ გზას დაადგები.

მე რომ მკითხოთ, ტოტალიზატორი საქართველოში ყველაზე უმტკივნეულო ფულის საჭრელი მანქანაა, ამასთან, ძალიან შემოსავლიანი. არც ის გამიგია სადმე, სახელმწიფოს ფულს ჰპარავენო. ან როგორ უნდა მოპარონ? ამ ხელისუფლების ხელში, მიდი და, თუ ბიჭი ხარ, ნუ გადაიხდი გადასახადებს, ეგრევე დაგიჭერენ, თან პირდაპირ ეთერში. გვიან ღამით კი "რუსთავი 2" და პატრული გაგატელევიზორებს.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ტოტალიზატორი დიდ ფულს აკეთებს, თანაც, უკანონოს არაფერს სჩადის - ხალხი ფულს აგებს. მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს, საიდან აქვს ამ ხალხს ფული. საითაც გინდა გაიხედე, ყველა - მიშველეო, ყვირის, სამსახური მინდაო. დავიჯერო, იმდენ ფულს იგებენ ტოტალიზატორში, რომ ოჯახის სარჩენადაც ყოფნით და სათამაშოდაც? გაიხაროს. უფრო მეტი მოეგოს. კარგია, თუ მართლა ასეა, თუ არა და, მე კი ვიცი, როგორ არის ყველაფერი: ბოლოს ქოხში იცხოვრებს და ყველაფერი სოიოსი ექნება - სოიოს კოტლეტი, სოიოს სუფი, სოიოს პური და სოიოს რძე.

რუბრიკიდან გამომდინარე, მკითხველს ლოგიკური კითხვა გაუჩნდება: კი მაგრამ, "ქომაგის ტრიბუნა" რა შუაშიაო. ჰოდა, გეტყვით, რომ ქომაგი ვარ, "მაზავშიკების" ქომაგი. ვქომაგობ იმაში, რომ შეეშვან ფულის ალბათობაში გადაყრას. თუ ვერ გადაეჩვევიან, მაშინ ბევრი ფულის მოგებაში ვარ მათი ქომაგი.

იმაში გავერკვიეთ, რომ ქომაგი ვარ. დანარჩენი კი, ვფიქრობ, გაურკვეველი და გაუგებარი არაფერია. მთავარი აზრი ის არის, რომ აზარტულობა კარგია, მაგრამ არა ზომაზე მეტი, ისეთი, რომელიც გაგყვლეფს, ადამიანობას და ადამიანებისადმი ნდობას დაგაკარგვინებს. ცოტა ითამაშე, მაგრამ ისე წააგე, რომ ამისგან სიამოვნება იგრძნო. სულ ეს არის, რაც მინდოდა მეთქვა. ვიცი, რომ ახალი არაფერი მითქვამს, მაგრამ... გამეორება ცოდნის დედააო, ამბობენ.

მოკლედ

## ალი ქვირად ღირებული პოეტი გახდა

მუჰამედ ალი ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოკრივის სახელით შევიდა, მაგრამ, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინათ გაირკვა, კრივი არ ყოფილა მისი ერთადერთი მოწოდება. ლექსებს კასიუს კლეის (როგორც მას ისლამის მიღებამდე ეძახდნენ) ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა. ის ლექსად უწინასწარმეტყველებდა თავის მოწინააღდეგეებს, როგორ წარიმართებოდა შეხვედრა, რომელ რაუნდში გაიმარჯვებდა. რაც ყველაზე საინტერესოა, ეს პერიოდული პროგნოზები მართლდებოდა ხოლმე.

ცნობილია, რომ ბევრი პოეტი საგანგებოდ წერდა გრძელ ლექსებს, რადგან გამომცემელი თანხას სტროფების რაოდენობის მიხედვით იხდიდა. კასიუს კლეიმ კი დაამტკიცა, რომ გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა არა მხოლოდ ტალანტის მაჩვენებელია, არამედ წარმატების საწინდარიცაა. შაბათს ინტერნეტ-აუქციონზე eBay ალის მიერ 1979 წელს დაწერილი სასიყვარულო ლექსის ხელნაწერი გაიყიდა. მყიდველმა ერთ სტრიქონში 500 დოლარი გადაიხადა. ლექსი ეძღვნება ქალბატონს, რომელიც მოკრივემ თევზის ბაზარში გაიცნო და რომლითაც ძალიან მოიხიბლა. სიყვარული ცალმხრივი იყო - ქალბატონმა ზურგი აქცია შეყვარებულ ჩემპიონს, სანაცვლოდ კი წლების შემდეგ დიდი მოგება ნახა. AllBoxing-ის ცნობით, ქალი, რომელსაც დიდი ხნის მივიწყებული ჰქონდა მისდამი მიძღვნილი ლექსის არსებობა, რამდენიმე თვის წინათ სრულიად მოულოდნელად წააწყდა ამ ხელნაწერს, როცა ახალ სახლში გადასასვლელად ემზადებოდა და გადაწყვიტა, ამით სარგებელი ენახა. ხელნაწერი eBay-ზე 15 დეკემბერს გამოიტანეს, მაგრამ მას მანამდე არ მიაქციეს ყურადღება, სანამ ეს ისტორია გაზეთის ფურცლებზე არ მოხვდა. იგი აუქციონის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე იყიდეს 499,99 ამერიკულ დოლარად.

## ბენიტესი „ლივერპულს" ვერ შორდება

ინგლისური კლუბის "ლივერპულის" ესპანელ მწვრთნელს რაფაელ ბენიტესს უნდა, კლუბში კიდევ ათ წელიწადს დარჩეს. მისი თქმით, თვითონ და მისი მეუღლე ამ ქალაქზე შეყვარებულები არიან: "ლივერპული ძალიან გვიყვარს. ჩვენი ქალიშვილებიც კარგად მოეწყვნენ. მეუღლემ ჩემზე გაცილებით მეტი იცის ამ ადგილის შესახებ. იცის მუზეუმები, ტაძრები, უნივერსიტეტი. მას რომ ბედნიერს ვხედავ, მეც უკეთ ვახერხებ, მთლიანდ კლუბში მუშაობით ვიყო დაკავებული".

## რუნი შეიძლება დაისაჯოს

BBC-ის ცნობით, ოთხშაბათს გაიმართება ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სხდომა, რომელზეც განიხილება ინგლისელი ფეხბურთელის უეინ რუნის საქციელი. საქმე ეხება კვირას ინგლისის პრემიერ ლიგის თამაშის დროს მომხდარ ინციდენტს, როცა "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა "ბოლტონის" მცველს ტალ ბენ ჰაიმს დაარტყა.

მცველმა BBC-თან საუბარში განაცხადა, რომ "ბოლტონის" მთავარი მწვრთნელის სემ ალარდაისის ინიციატივით ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას რუნის შეწყალება სთხოვა. ამ განცხადების შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა აღნიშნა, რომ უეინ რუნი უდანაშაულოდ მიაჩნია.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### სამშაბათი. 28 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "ინტერი"
14:00 მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 1998-1999. ნახევარფინალი. "იუვენტუსი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 "ბრინჯაოს ფრთები"
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. "პორტსმუტი" - "ჩელსი". პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 თავისუფალი დარტყმა
20:05 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 1998-1999. ფინალი. "ბავარია" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
22:50 რუსეთის ჩემპიონატი - 2004
23:20 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004 - 2005. "პორტუ" - ცსკა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:15, 19:00 პრეს-ცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 12:45 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. კანადა - შვედეთი
13:15 "ორშაბათამდე მივატანთ"
13:45 "რკინის ფაქტორი". "ოცნების თასი" არმრესტლინგში
14:15 "სპორტული გლობუსი" "Trans World Sport წარმოგიდგენთ
14:45 "ჯგუფი". "ლოკომოტივი"
15:15 ტაიკვანდო. "პეტრე დიდის თასი" სანქტ-პეტერბურგში. მეორე ნაწილი
16:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
17:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. კანადა - შვედეთი
19:15 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიიდან. ქალები. გიგანტური სლალომი. მეორე მცდელობა
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. ჩეხეთი - რუსეთი. მატჩის მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 რუსული საჩოგბურთო სეზონი. "უიმბლდონი - 2004". ქალები. ფინალი. სერენა უილიამსი - მარია შარაპოვა
23:45 "ბილიარდის მეუფენი"
00:15 ახალი ამბები
00:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
01:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. ჩეხეთი - რუსეთი. მატჩის მიმოხილვა
01:45 01:45-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. გერმანია - კანადა. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. LG აქტიური სპორტი
11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი
12:00 ფეხბურთი - უეფას თასი
13:00 თავგადასავლების რეიდი
13:30 სპორტული საბალო ცეკვები. ლათინოამერიკული პროგრამა. საკვალიფიკაციო წრე. შეჯიბრება ავსტრიაში
14:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. დანია - თურქეთი
15:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. თურქეთი - უკრაინა
16:30 მულტისპორტი
17:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი
18:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
19:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. გერმანიისა და იტალიის კლუბების საუკეთესო მატჩები
20:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. საფრანგეთისა და ესპანეთის კლუბების საუკეთესო მატჩები
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
22:15 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
02:30 პლანეტის უძლიერესი ადამიანები. ჩემპიონატი თურქეთში

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

# რა გვინდა ახალ წელს

## 97-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელები, ისანი-სამგორის რაიონი

### მარეხ ხარაიშვილი

ძალიან მიყვარს 97-ე საშუალო სკოლა, მასწავლებლები, კლასელები, მაგრამ თვითონ სკოლის შენობა ძველია. მიუხედავად იმისა, რომ გარემონტდა, შემოკავდა, ეზო გალამაზდა, მაგრამ ბავშვები ხშირად ვამბობთ: "კიდევ ერთი ძლიერი მიწისძვრა და რა იცი, რა მოხდებაო" და ვნატრობთ: "ნეტავი ვინმე ისევ ამ ადგილას ახალ შენობას დაგვიდგამდესო".

ჩვენი პრეზიდენტი ხომ ძლიერია, მისი ერთი სიტყვა და ჩვენი ნატვრაც ახდება.

### ნათია გლუნჩაძე

მე მერვეკლასელი ვარ და კარგად მესმის, რომ დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება ჩემი სამშობლოს წინაშე. პირველ რიგში აუცილებლად მიმაჩნია განათლების მიღება. ჩემი დიდი სურვილია ისე მოხდეს, რომ კარგი განათლების მიღება ჩემს საქართველოში შევძლო ისე, რომ სხვაგან არ მომიხდეს წასვლა.

განათლების მინისტრს ვთხოვ, რაც შეიძლება დააჩქაროს უმაღლეს სასწავლებლებში კორუფციისგან წმენდის პროცესი, რათა ჩვენს ცოდნას არავინ და არაფერი აფერხებდეს.

### აკაკი კირკიტაძე

არ მომწონს სკოლაში ნიშნებით შეფასება, ეს ხშირად ხდება უსიამოვნების მიზეზი, აფუჭებს ურთიერთობას ბავშვებს შორის.

კარგი იქნება, თუ განათლების მინისტრი გააუქმებს შეფასების ასეთ პრინციპს.



### ნინო მიქელაძე

უკანონოდ მიმაჩნია ქრთამის აღება. საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი იღებს ქრთამს. ეს განპირობებულია ხალხის ეკონომიური მდგომარეობით. მართალია, ქრთამის აღება კანონის ძალით ისჯება და მართლაც ასე უნდა იყოს, მაგრამ დღეს ამისთვის სახელმწიფო მოხელის დასჯა მკაცრი ადმინისტრაციული, თუ სისხლის სამართლებრივი კოდექსის მიხედვით, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, რადგან დღევანდელ პირობებში, ზოგიერთ შემთხვევაში, თვალის დახუჭვა სჯობს.

სასურველი იქნება სახელმწიფომ ისეთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეუქმნას სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანებს, რომ ეს მანკიერი მხარე თავისთავად ალმოიფხვრას.



### გიორგი დათუნაშვილი

ჯარის დასჯა მიმაჩნია უსამართლოდ. ისინი უამრავ ძალას ხარჯავენ, რომ საქართველო იყოს სრულიად ძლიერი, მაგრამ მათ არა აქვთ საკვები, სასმელი. მათ არ დაუბანიათ სამი თვე. ტელევიზიით გვაჩვენეს მათი ჭუჭყიანი და დაავადებული ხელები. მათ უკვე აღარ შეუძლიათ ამ პირობებში ვარჯიში. რატომ გვაჩვენეს ჯარის ის ნაწილი, რომელთაც აქვთ საჭმელი, სასმელი. ისინი არიან კარგ პირობებში. მოვითხოვ, რომ მთელი ჯარი იყოს ერთნაირად კარგ პირობებში, როგორც სხვა კარგი ჯარები და მინდა, რომ ეს ჯარი არ დაისაჯოს. განსხვავებული პირობები ჯარის სხვადასხვა დანაყოფში ხომ კორუფციას უწყობს ხელს, მშობლები " აწყობენ".

### მერი სხილაძე

არ მომწონს საქართველო დაბინძურებული რომ არის. ქუჩაში რომ გაივლი ნაგავი ყრია. ჩემი აზრით, საქართველო უნდა გასუფთავდეს, გზები უნდა დააგონ. ხალხს გაზი, წყალი და დენი უნდა ჰქონდეს. ყოველი ადამიანი უნდა მუშაობდეს და ოჯახს არჩენდნენ. მე არ მომწონს ტელევიზია ასეთ უზრდელ კინოებს რომ აყურებინებს- დღისით ცუდ კინოებს უშვებენ, ღამე კი კომედიები გადის. პირიქით უნდა იყოს.








### თეიმურაზ ალადაშვილი

1. არ მინდა, რომ ეს ჩვენი საქართველო ასეთი დაჩაგრული იყოს და ხომ შეიძლება რომ აღადგინონ?!

2. მინდა, რომ ასეთი დანაგვიანებული არ იყოს ჩვენი ეზოები.

3. არ მინდა, რომ ქუჩაში ყოველთვის "დანაშაული დადიოდეს" და ეს ყველაფერი კანონიერი იყოს.

4. ვიფიქროთ მოხუცებზე, ბავშვებზე, ინვალიდებზე, უსახლკაროებზე, უმუშევრებზე და საერთოდ, ვიფიქროთ, როგორ მოვუაროთ საქართველოს.



ბატონო მერო, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ყოველთვის ეცნობით მოსწავლეთა გვერდს.

გთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ ქალაქის ყველა რაიონის გამგებელი კითხულობდეს მას, ან რედაქციისგან მათ სახელზე გაგზავნილ ჩვენს წერილებს. ჩვენი წერილები და შეკითხვები ხშირად მათ გასაკეთებელ საქმეებს ეხება და ჩვენ მათ ვეხმარებით, რომ რამე არ გამორჩეთ. გთხოვთ, მომავალი წლიდან, გამოეხმაურონ ჩვენს თხოვნას, შეკითხვას თუ წინადადებას. ჩვენ მთავრობასთან თანამშრომლობა გვინდა.

გილოცავთ ახალ 2005 წელს.

როგორც ყოველთვის თქვენი თანადგომის იმედით "კანონიერების კულტურის" პროექტში მონაწილე თბილისის სკოლების მოსწავლეები.

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

შემდეგი გვერდი გამოვა 11 იანვარს

## ფოტოგალერეა



ლოცვა.

ავტორი: ლევან ხერხეულიძე

## TV პროგრამა

### 28 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ბოიარდის ციხესიმაგრე **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ბოინგი 747" (გ) **15.25** "ქართული ფეხბურთი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** დოკ. ფილმი "თავისუფლების ტყვეობაში" **23.00** მხ. ფილმი "მეოჯახე" (გ) (ნიკოლას კეიჯი) **01.20** პატრული

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ზრდა და ზრდა" (ბი-ბი-სი) **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" - საინფ. პროგრამა **12.20** ანიმაციური ფილმები **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემს გულში" **15.00** "მთავარი" - ოსურ ენაზე **15.30** "მხედრობა" **16.30** დოკ. ფილმი "ავსტრალია" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ -"სენტიმენტალური ბედი" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "პარალელური სამყაროები" **23.00** "პროფესიონალი" **23.30** მხ. ფილმი "ღამე მოდის თან" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "მსახიოებები" (15)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" მე-2 ს. **19.45** ანიმ. სერიალი "კლიფორდი" მე-2 ს. **20.15** "ბაბილინა" **20.30** დოკ. ფილმი **21.20** "ვაკანსია" (ორშაბათის) **21.45** "სარჩევი" **22.40** "ახალი პროექტი" (ოთხშაბ.) **23.10** კინოსეანსი

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "27 დრაკონი" **12.20, 17.10, 23.45, 04.10** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მოკვდა კაცი" (ჟან ლუი ტრენტინიანი) (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "27 დრაკონი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "პირველები" **23.55** მხ. ფილმი "საყვარელი" (18) (ატე დე იონგი) **02.00** მხ. ფილმი "სურვილების ამსრულებელი" (18) (ტიმოთი დალტონი)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავ. ფილმი "სტიუარტ ლიტლი" მე-2 ნ. **10.35** მუსიკა **11.00** "გადარჩენილი სიტყვა" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** "სტარტი" **12.15** მხ. ფილმი "სადგური ორისათვის" **14.45** სათავ. ფილმი "რობინზონ კრუზო" მე-2 ნ. **16.25** მულტფილმი "ნოტრედამელი კუზიანი" **17.35** "ფოლკლორი" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** ფანტასტიკური თრილერი "ექვსი" **20.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "გონების თამაშები" **23.15** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** დრამა "სიყვარულზე"

### კავკასია

**12.00** ტუნ-ემ **14.00** მხ. ფილმი "დინოზავრებზე მონადირე" **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუნ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "სიყვარულის სიმწარე" (გ) **00.30** ტუნ-ემ

---

**18.00** მხ. ფილმი "პატარა მამაკაცი" (გ) **19.30** დოკ. ფილმი **21.40** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "ხაფანგი" (15)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.30** Новости. **09.20** Комедия **"УЗКИЙ МОСТ". 1**-я серия. **10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** "Смехопанорама". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.10** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **13.30** Лариса Удовиченко в комедии **"НА КОГО БОГ ПОШЛЕТ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валентин Гафт в фильме **"ДНИ АНГЕЛА". 1**-я серия. **17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Худ. фильм **"УЗКИЙ МОСТ". 2**-я серия. **22.40** Алексей Булдаков в комедии **"ОСОБЕННОСТИ НАЦИОНАЛЬНОЙ РЫБАЛКИ" 00.40** Алексей Неймышев в мелодраме **"ОТЕЦ И СЫН" 02.20** Джек Леммон в классической комедии **"ПЕРВАЯ ПОЛОСА" 04.20** Остросюжетный сериал **"МОНСТРЫ". 05.20** "Брачные игры животных". Часть 5-я.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ВРЕМЯ - ДЕНЬГИ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.15** "Стресс". Ток-шоу **11.10** Алла Демидова в фильме **"МАЛЕНЬКАЯ ПРИНЦЕССА" 13.35** Мелодрама **"ЦЫГАН". 2**-я серия. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** "Никита Хрущев: перестройка без гласности". **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.35** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО...-2". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Страна и мир" **22.40** Мэл Гибсон в остросюжетном фильме **"ВЕЧНО МОЛОДОЙ" 01.10** Кома: это правда. **01.45** Бильярд. **03.00** Коллекция Национального географического общества. "Животные, меняющие внешний вид". **04.10** Сериал **"ОДИССЕЯ-5". 04.55** Детективный сериал **"10-8". 05.35** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



# დეპარდიე ხამანწკასა და ღვინოს გვთავაზობს



ჟერარ დეპარდიე, რომელმაც ახლახანს საკუთარ თავში ახალი ტალანტი აღმოაჩინა - რესტორნის ბიზნესის ნიჭი - აყვავების ფაზაშია. ფრანგმა მსახიობმა პარიზში უკვე მეორე რესტორანი გახსნა. დაწესებულება სახელწოდებით "ეკაი დე ლა ფონტენ" (ეკაი თარგმანში "ბაკანს" ნიშნავს) სპეციალიზირდება მხოლოდ ხამანწკებზე და ზღვის პროდუქტებისაგან დამზადებულ კერძებზე, რასაც რესტორნის სახელწოდებაც მოწმობს. აქვე წარმოდგენილია ღვინის მდიდარი არჩევანი. ღვინოების უმრავლესობა დეპარდიესა და მისი მეუღლის, ცნობილი მსახიობის, კაროლ ბუკეს საკუთარი ვაზის ყურძნიდან იწურება.

ახალი დაწესებულება გაჩნდა მეორე რესტორნის - "ფონტენ გაიონის" მეზობლად, რომელიც დეპარდიემ და ბუკემ შარშან სექტემბერში გახსნეს. ორივე რესტორანი საფრანგეთის დედაქალაქის ცენტრშია, გრანდ-ოპერის შენობასა და საფრანგეთის ბირჟის ტერიტორიაზე. რესტორნები განლაგებულია ვისკონტის XIX საუკუნის შადრევნის გვერდით.

პირველი საკუთარი დაწესებულების საპატიო სტუმრის რანგში, მსახიობმა განაცხადა, რომ მას სიყვარულით გამზადებული ჭორები უყვარს. თავდაპირველად რესტორანში დეპარდიე ფასებთან დაკავშირებით საკმაოდ ჭკვიანურ პოლიტიკას ატარებდა: ბიზნესლანჩი 36 ევრო ღირდა, ხოლო ვახშამი ერთ ადამიანზე ღვინით - 70 ევროდან იწყებოდა. რესტორნის საფირმო კერძებია; თეთრი სოკოთი შეკაზმული ბატკანი, ომარები ბრიტანულად და შემწვარი იხვი ლეღვით. შემოქმედებითი სიახლის გათავისებაში მსახიობსა და მის მეუღლეს ბორდო ბერნარ მაგრეზის მიერ წარმოებული ღვინო და რესტორატორი ლორან ოლდუ დაეხმარა. თავიდანვე ვარაუდობდნენ, რომ ასეთი დამხმარებით დეპარდიეს წარმატება, - მისი კოლეგის არნოლდ შვარცნეგერისგან განსხვავებით, რომლის "ჰოლივუდის პლანეტა" "წარმატებით" გაკოტრდა, - გარანტირებული იყო.

მით უმეტეს თავად ჟერარს უკვე საქმის მართვაში მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს - მსახიობი უშვებს თავისი მარკის ღვინოს და აგრეთვე მონაწილეობს ნავთობის ბიზნესში. ახლა მსახიობი ამბობს, რომ რესტორნის საქმე მეღვინეობის "ლოგიკურ გაგრძელებაა". რაც შეეხება ბუკეს, იგი არა მხოლოდ ვენახების, აგრეთვე სიცილიაზე გაშენებული ზეთის ხილის პლანტაციის მფლობელადაც გვევლინება, მოცალეობის ჟამს კი დიზაინერობითაა გატაცებული: ორივე რესტორნის ინტერიერი სწორედ მან გააფორმა.

თუმცა, ბიზნესში დეპარდიეს წარმატება, მის სამსახიობო კარიერაში სკანდალს დაემთხვა. სკანდალი მოჰყვა ამბავს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ არტისტი თავის ახალ სპექტაკლში "ნადირი ჯუნგლებში" ელექტრო სუფლიორს იყენებს. 55 წლის დეპარდიე სცენაზე ყურებში ჩამაგრებული ორი მინიატურული მიკროფონით თამაშობს. ერთ-ერთში გადმოიცემა თავად დეპარდიეს რეპლიკები, რომელიც მანამდე მაგნიტოფონზე მის მიერვეა ჩაწერილი, მეორეში კი მოცემულ დროში მომუშავე სუფლიორების კარნახი, რის მიხედვითაც მსახიობი სცენაზე გადაადგილდება.

დეპარდიემ აღიარა, რომ თამაშის პროცესში თანამედროვე ელექტრონულ ტექნიკას იყენებს. "ეს თეატრის მომავალია, დროა, უახლესი ტექნიკა გავითავისოთ", - აცხადებს დეპარდიე ახლახანს მიცემულ ინტერვიუში. რაც შეეხება დეპარდიეს პარტნიორს ამავე სპექტაკლში, არანაკლებ ცნობილ მსახიობს, ფანი არდანს იგი ელექტროსუფლიორის დახმარების გარეშეც ფანტასტიკურად თამაშობს.

# ნაქურდალი იპოვეს



ნაპოვნია წინა კვირას დაკარგული, სხვადასხვა დროს "ბლექ საბათის" მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის დისკები. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მძარცველებმა ნაქურდალი ლონდონის ერთ-ერთ რაიონში ნაგვის კონტეინერებთან დაყარეს.

შეგახსენებთ, ეს დისკები ოზი ოზბორნის პირადი მენეჯერის, პატრიკ მიჰენის სახლის გაქურდვისას დაიკარგა. პოლიციის განცხადებით, რვა დისკი უცნობმა ადამიანმა მიიტანა პოლიციის განყოფილებაში. ორი დისკი: Master of Reality და Paranoid გაცილებით ადრე, მას შემდეგ დაიბრუნა პატრონმა, რაც ქურდებმა ინტერნეტ-აუქციონზე სცადეს მათი გაყიდვა.

სხვათა შორის, ლეგენდარული ჯგუფის წევრები ბოლო დროს ძარცვის ხშირი მსხვერპლნი ხდებიან. წინა თვეში ოზიმ ძლივს მოასწრო ძვირფასეულობის გადარჩენა მის სახლში შეჭრილი მძარცველებისგან.




## პრემიერ-მინისტრი შარდენის ქუჩაზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გუშინ შარდენის ქუჩაზე ნაძვის ხე მორთო.

"პრემიერ-მინისტრი შარდენის ქუჩაზე ფესტივალში - "ძველ თბილისში შობა-ახალი წელი 2005" - მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიეთ. ნაძვისხის მოსართავად ხვალ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძესაც ველით," - განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა, "ეტერე პიარ სააგენტოს" ხელმძღვანელმა ნინო იოსელიანმა. გუშინვე ნაძვის ხის მორთვაში შოუბიზნესის წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

გამოფენები და სანახაობრივი ღონისძიებები შარდენის ქუჩაზე 14 იანვრამდე გაგრძელდება. საახალწლო დღეებში შარდენის ქუჩაზე სანტა კლაუსები ბავშვებისთვის საჩუქრებს დაარიგებენ. საღამოობით კი "შარდენ ბარში" წვეულებები გაიმართება.

"ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია აზიური, ლათინური და ესპანური ფართები. ამით ჩვენ მხიარული და განსხვავებული ახალი წლის დამკვიდრებას ვცდილობთ", - აღნიშნა იოსელიანმა. *ინტერ-პრესი*

## საქველმოქმედო საშობაო გამოფენა-გაყიდვა გრძელდება

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა. გამოფენაზე თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს კამილიელთა ორდენის სარეაბილიტაციო პოლიკლინიკისა და ანუკი და მაიკო ნაცვლიშვილების სტუდიის ბავშვებმა. გამოფენაზე ყველა მონაწილეს სიგელები და საშობაო ნივთები გადაეცა.

საქველმოქმედო საშობაო გამოფენა-გაყიდვა 20 იანვრამდე გაგრძელდება. *მედია-ნიუსი*

## ახალი თეატრის პროექტების გამოფენა

გუშინ ფოთის საგამოფენო დარბაზში ახალი თეატრის პროექტების გამოფენა მოეწყო. ერთი თვის წინათ ჩატარებულ კონკურსს სამი გამარჯვებული ჰყავს. ჟიურიმ ლადო ხმალაძის, ოთარ ნახუცრიშვილისა და მერაბ გაგნიძის საპროექტო წინადადებებიდან საუკეთესო უნდა გამოავლინოს. ჟიურის შემადგენლობაში შედიან ეკონომიკის სამინისტროსა და არქიტექტურის დეპარტამენტის წარმომადგენლები.

ფოთში ახალი თეატრის მშენებლობა გაზაფხულზე დაიწყება. ჟიურის წევრის, ფოთის მთავარი არქიტექტორის ნუკრი ტულუშის თქმით, ახალი თეატრი 450 მაყურებელზე იქნება გათვლილი. *ინტერ-პრესი*

ყურადღება!

სასწრაფოდ იყიდება ძალზე კარგ მდგომარეობაში 1991 წლის "ოპელ ომეგა - უნივერსალი" (ფურგონი) CD - ბრილიანტი. სრული ელექტროპაკეტი, კომპიუტერი, ძრავა 2.0. შინდისფერი. ფასი 4000 დოლარი. ტელ: 899 111616; დათო.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.ჯანაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.